



900

გელათი GELATI

xuroTmoZRvreb
mxatvroba
ganZeul oba

ARCHITECTURE
MURALS
TREASURES

Tbilisi
2007
TBILISI

— გელათელი ბერები ამ წმინდა ადგილზე სამონაზვნო ცხოვრების შეჩერებამდე (1923წ.) ისე დაუკლებლად ასრულებდნენ მონასტერში თავიდანვე დადგენილ სამღვდელმსახურო ტიპიკონს, რომ სწორედ აქ შეიქმნა შესაძლებელი ესტატე კერესელიძის (იგივე წმინდა ექვთიმე აღმსარებლის) მიერ იმ უნიკალური სამუსიკო კრებულების გადართვის ხელშეწყობა, რომელთაც საბოლოოდ 3000-მდე ქართული საგალობელი დაიტეხს. ამით ამ დროს აქ, გელათის მონასტერშივე უნდა დაგვირგვინებულიყოს მესტამბე მაქსიმე შარაძისა და იტალიაში განსწავლული [საოპერო] მომღერლის ფილიმონ ჭორიძის წამოწყებული საქმე — თანაბრად მნიშვნელოვანი როგორც ქართული მუსიკალური კულტურის წარმოსაჩენად, ისე საქართველოს ეკლესიის ცხოვრების წარსამართავადაც.

გელათს, „ყოვლად შემკობილსა საყოფელსა დედისა ღმრთისასა“, „დიდსა და ხეშთა აღმატებულსა და ცათა მობაძავსა ახლისა იერუსალიმისა დიდსა მონასტერსა“, დაარსების დღიდანვე დაჰყვა საღვთო და საამსოფლო მსახურების, „ღვაწლის მძღუ“ ბერთა და სწავლულთა არცთუ ჩვეულებრივი ერთობის მადლი.

სულაც არ არის გასაკვირი, მეფე დავით IV აღმაშენებელს, მას, ვისაც 1106 წლისთვის მტკიცე ხელმწიფური ნებით თითქმის მთელი ისტორიული საქართველო გაეერთიანებინა და დარჩენილ ნაწილსაც შემოერთებდას უპირებდა, თავის ძვალთ შესალაგად მონასტერი დაეფუძნებინა. ქვეყნის ბრძენი მმართველის მიერ არც სასწავლებლის გახსნა იყო საიმდროოდ უმაგალითო. მაგრამ რატომ არ ააგო დავით IV-მ „სამარხავი თხის და საძვალე შვილთა მისთა“ ქუთაისში, თავის მაშინდელ დედაქალაქში, როგორც ამას თუნდაც საქრისტიანოს იმპერატორი „სახის მიმცემი“ ბიზანტიის იმპერატორები იქმოდნენ? გვიანანტიკური თუ შუა საუკუნეების მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, რატომ მოაშორა მან ქალაქს უმაღლესი სკოლა?

იქნებ აქ ტრადიციის ძალამ იჩინა თავი? თბილისსაც ხომ არასოდეს — არც აღმოსავლ-

— That the listing of the unique music collections by Estate Kereselidze, also known as St Ekvtime the Confessor, of approximately three thousand Georgian ecclesiastical hymns, appeared possible in the Monastery of Gelati itself in the 1970s was thanks to the ardent fulfillment of the liturgical typikon by the local monks before the cessation of the monastic life here in 1923. This accomplishment must have crowned the efforts initiated by the printer Maksime Sharadze and the opera singer Philomon Koridze, which were equally important for presenting Georgian musical culture and guiding the ecclesiastical life of the Georgian church.

Gelati, 'the place endowed with every beauty' and 'the magnificent monastery resembling new Jerusalem, great and heavenly, was blessed with the rare combination of divine and secular activities, of its zealous monks and scholars.

It is no wonder that King Davit IV Aghmashenebeli (David the Builder), having by the year 1106 almost entirely consolidated the historic territories of Georgia thanks to his strong will and determined to regain the rest of the country's former lands, undertook to found a monastery later to become his place of burial. Neither would the establishment of a learning centre be uncommon for an astute leader. But why did the king choose Gelati as his 'burial place and the cemetery of his progeny' rather than Kutaisi, the latter being the capital of the country at that time, thus acting contrary to the custom of Byzantine emperors, who used to set an example for the entire Christendom to follow. This is a question that remains open. Why did he decide to isolate the centre of learning from the city, an act very atypical of late Antique and medieval countries?

Maybe it was the power of tradition. Tbilisi has never assumed the function of an ecclesiastical leader — even at times when it was the capital of East Georgia or that of the united country. The Church was from the earliest times headed by a Catholicos, who was Archbishop of Mtskheta (ancient town near Tbilisi). The same refers to West Georgia: while the kings resided in Anakopia and Kutaisi, the ecclesiastical leaders stayed at Bitchvinta Cathedral of St Andrew

ლეთი და არც „ერთობილი“ საქართველოს დედაქალაქად უოფნისას, — ჰქონია სასულიერო-საეკლესიო წინამძღოლობა-მწვემსმთავრობა კათალიკოსს, მცხეთის მთავარეპისკოპოსს ეკუთვნოდა მუდამ. დასავლეთითაც თუ მეფეები ანაკოფიასა და ქუთაისის ისხდნენ, ეკლესიის საჭეთმპყრობელნი — წმინდა ანდრია პირველწოდებულის საყდრად წოდებულ ბიჭვინტას. არც დავით მეფის პაპის პაპამ, ბაგრატ III-მ იწევა ქუთაისს, სულაც თავისივე აგებული ტაძარი განსასვენებლად და — ბედიას დაიმარხა.

უცილობელი ერთია: დავით მეფემ, მან „უნარჩევსმან მონამან უოველთა ქრისტესთამან“ (როგორც იგი უწოდებდა თავს) „დაამტკიცა“ მონასტერი ადგილსა, „რომელიცა გამოირჩია მადლმანსაღმერთომან“, ქუთაისთან ახლოს და მაინც მისგან მოცილებით, მთის ფერდობზე, ოღონდ მის წამოზიდულსა და როგორცაც ზეაწვდილ ბაქანზე; ბუნების წიად, მაგრამ მისგან განუყოფილად, ადამიანთა საცხოვრისთან და თან განკერძოებით.

უჩვეულო არც მონასტერში მწიგნობრობის კერის არსებობაა. მაგრამ ძალზე იშვიათია სხვა სავანე, რომელსაც დაარსებიდან ასიოდე წელიწადში „ელადი“ ეწოდოს (იოანე შავთელი). იქნებ მეფე დავით აღმაშენებელი ამ მხრივაც წინამორბედ სწავლულ ბერთა გზას ადგას?! თუ უფრო ადრე არა, VIII-IX საუკუნეებიდან, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანიდან ხომ მაინც, საქართველოს ეკლესია ტერტულიანეს დარად ხელალებით კი არ უარყოფდა ძველი ბერძნების წარმართულ („ათენის“) სიბრძნეს, არამედ, დიდი კაპადოკიელი მამებისა თუ წმინდა იოანე დამასკელის კვალად, უოველივე მართებულს ქრისტიანული ჭეშმარიტების განსამტკიცებლად, დასადასტურებლად მოიხმობდა. და ახალნერგი გელათიც არა მარტო „იერუსალიმად“ მკვიდრდება, არამედ „სხვა ათინადაც“, მხოლოდ „ფრიად უადრეს მისსა საღმერთთა შინა წესთა“, ესე იგი საეკლესიო მოძღვრებით ამაღლებულ და განწმენდილ „ათინად“.

სწავლებაგელათშიეილინურ-რომაულიტრადიციისამებრ „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ სისტემით მიმდინარეობდა, რაც აქ უთუოდ კონსტანტინოპოლის გამოცდილებით უნდა შემოედოთ. ბიზანტიურ ტრადიციას მიჰყვება გელათი უფლებრივი თვალსაზრისითაც — იგი ჩვენში მანამდე არარსებულ „სამეფო მონასტრად“ დაარსდა, რომლის წინამძღვარსაც მეფე ამტკიცებდა.

ბიზანტიისკენ მიპყრობილ მხერას მოწმობს, ალბათ, მეფის მიერ აგებული ღმრთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველში ჩვენი სახვითი ხელოვნებისთვის იშვიათი მოზაიკის გამოყენებაც. იქნებ ბიზანტიისადმი თავისებური პატივის მიგებაა ისიც, გელათის ეკლესიების კედლები ჩუქურთმებით ასე ძუნწად

the First Called (known as the see). Neither did the great grandfather of King Davit IV, Bagrat III, wish to be buried in the church which he built in Kutaisi, but preferred Bedia as his burial place.

One thing is indisputable: King Davit IV, ‘the most worthless slave of all Christians’, as he called himself, established the monastery on a spot ‘distinguished by divine grace’, nearby Kutaisi and yet away from it, on a mountain slope and yet on protruding land and on elevated platform, within a natural environment and yet away from it, near the settlement and yet at a certain distance from it.

Neither was the presence of a school in a monastery unusual at that time. But it would be difficult to find another monastery designated as ‘Hellas’ within a century from its foundation (Ioane Shavteli). Maybe King Davit again followed the path paved by the learned Georgian monks. Beginning from the 8th-9th century, in the period when St Grigol Khandzeli (Gregory of Khandzta) undertook his monastic movement, if not earlier, the Georgian Church, following the great Capadocian fathers and St John of Damascus referred to all kinds of wisdom to reinforce the Christian truth, unlike Tertullian, who denounced the pagan philosophy of ancient Greeks. And newly founded Gelati developed gradually not only into a ‘second Jerusalem’, but also into ‘another Athens’, though ‘in strict compliance with religious teachings, i.e. ‘Athens’ enhanced and purified through ecclesiastical teachings.

The teaching at Gelati followed the system of the seven liberal arts, most probably imported from Constantinople. Byzantine was also the legal example adopted by Gelati — it was founded as a ‘royal monastery’, the abbot of which was approved by the king.

The adornment of the sanctuary of the Church of the Virgin, built by the king, with mosaic, the latter being very rare among Georgian pieces of fine art, also points to the Byzantine influence. The lack of ornaments on the walls of Gelati Church might likewise be considered homage paid to Byzantium.

Meanwhile, designating one and the same person as a leader of the church and a learning centre simultaneously was not a Byzantine tradition. The architecture of Byzantium, unlike that of Gelati, was characterised by a lack of such voluminous and plastic forms. Also, the walls of Byzantine churches would be arranged with bright tesserae; at Gelati, on the other hand, the non-smooth surfaces embellished with murals prevailed. The tradition adopted, like always and in any other sphere, was ‘translated’ into Georgian, fitted to the local pattern and transformed on the local soil.

Throughout the centuries, Gelati was maintained by the Bagrationi royal house. Along with writing theological books and glorifying saints, the local scribes

რომ არის შემკული.

ამასთანავე კი, ბიზანტიისთვის თითქოს უცხოა წესი, რომლის თანახმადაც მონასტრის თავკაცი და სასწავლებლის ხელმძღვანელი — მოძღვართმოდღვარი შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება იყოს. გელათისგან განსხვავებით, იქ ვერც ამგვარ მოცულობრივ — პლასტიკურ ხუროთმოძღვრებას იხილავთ და მოციალე კენჭებით გაწყობილ მონაკვეთებსაც გელათში დიდად აჭარბებს მოხატულობით დაფარული ხაოიანი ზედაპირები. გარედან შემოსული, როგორც ყოველთვის და ყველაფერში, აქაც „გადმოქართულებულია“, საკუთარ უაღრესად გაწყობილი, ადგილობრივ ნიადაგზე გარდასახული.

გელათს ბაგრატიონთა სამეფო სახლი საუკუნეთა მანძილზე პატრონობდა. აქაური მწიგნობარნი, საღვთისმეტყველო წიგნებისა და წმინდანთა შესხმა-სადიდებლების შექმნასთან ერთად, არც ერისკაცთა ცხოვრებას ივიწყებდნენ. ქართველ მეფეთა ყოველდღიური ყოფის უზუსტესი განაწესი — „ხელმწიფის კარის გარიგება“, როგორც ჩანს, აქ, გელათში უნდა იყოს შედგენილი.

გამოხდა ხანი და უამთა სიავის გამო პოლიტიკურად დაქუცმაცებულ, დაძაბუნებულ ქვეყანაში დასავლეთ საქართველოს მეფეთა ხელისუფლება დასაყრდენად ვედარც მთელ ეკლესიას გამოადგებოდა და, კერძოდ, ვერც გელათის მონასტერს; პირიქით, ახლა თვით სახელმწიფოს ესაჭიროებოდა ისინი, როგორც განმამტკიცებელი ზნეობრივი საყრდენი. სწორედ ამიტომ, საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის მოსაღონიერებლად, გელათში ახლა მისი სულიერი საწყისი განსაკუთრებით უნდა გამოკვეთილიყო.

XVI საუკუნეში გელათი საეპისკოპოსოდ აქციეს და აქვე (ისევ და ისევ აქ და არა ქუთაისში!) გადმოვიდა აშლილი აფხაზეთიდან ბიჭვინტის საკათალიკოსო კათედრა; და მაშინვე გელათში დამკვიდრებულ მთავარ სიწმინდეს, ხახულის მომინანქრებულ ღმრთისმშობლის ხატს, ბიჭვინტისა და აწყურის ღმრთისმშობლის ხატებიც შემოემატა. დაუცადებლად გრძელდება ძვირფასი ხელნაწერების დამზადება; იჭედება ხატ-ჯვრები, ოსტატურად კვეთენ ხეზე. ცხადია, ეს საიმსოფლო ღვწა არც საამქვეყნოდ ყოფილა უნაყოფო — სხვა თუ არაფერი, იგი ცოდნის, აზროვნების, შემოქმედების გარკვეული დონის შენარჩუნებას ემსახურებოდა. ამასთან, გენათელი თუ ბიჭვინტელი მღვდელმთავრები, წინამძღვარნი თუ მოწესენი როგორც მეურნენი, სჯულის მდებელნი და კანონის განმხორციელებელნი, როგორც შინა თუ საგარეო ვითარებათა მომწესრიგებელნი, უშუალოდ მონაწილეობდნენ საერო ცხოვრებაში. ნურც ის დაგვაიწყდება, რომ, წმინდანთა „ცხოვრებებისა“ და კონდაკების გარდა, გელათში იოსებ ფლაბიოსის „მოთხრობანი

never forgot the laymen. The precise rules of the everyday life of Georgian kings Khelmtsipsis Karis Garigeba must have been drawn up here, in Gelati.

Time passed and having gone through a lot of hardship the country fell apart and became enfeebled. The authority of the kings of West Georgia would no more be a reliable support for the Church in general and Gelati Monastery in particular. However, the state needed them as its moral support. New spiritual power was to emerge in Gelati to strengthen the Christian Church of Georgia.

In the 16th century, Gelati was made an episcopal see and again, Gelati (and not Kutaisi) became the shelter for the catholicos' seat, transferred from Bitchvinta. This move was accompanied by the transfer of Bitchvinta and Atsquri icons of the Virgin to Gelati which from beginning held the enamelled icon of the Virgin from Kakhuli, the main treasure of the monastery. The writing of manuscripts was continued zealously, icons and crosses were chased, masterful wood-carvings were made. It is obvious that these efforts were not regarded as unimportant in secular life as they enhanced knowledge, learning and creativity. At the same time, Genati and Bitchvinta archpriests, deans and monks as managers, lawgivers and judges, as people taking care of internal and external affairs, were directly involved in the daily routine. It should also be remembered that in addition to the lives of saints and contaktions, Antiquities of the Jews by Flavious Josephus was also copied, and at the turn of the 17th century, an illuminated copy of Kartlis Tskhovreba (an old Georgian collection of chronicles) was contributed to the monastery along with liturgical books.

That the glory of Gelati was in these later centuries duly appreciated in East Georgia is, among much other evidence, attested by the fact that the son of the king of Kartli and nephew of the ruler of the Kakhetians, later Catholicos Anton I, became a monk at Gelati. Meanwhile, at that time and also, in the 19th century, this prominent monastery was primarily considered as a treasure of spiritual and material wealth, sacred items and the national memory. With the machinations of various invaders or 'treacherous well-wishers', it did not escape pillage and destruction, but yet, it would be hard to find another church or a monastery, palace or fortress, which would manage to preserve so much treasure.

Gelati preserves its beauty even after severe hardships. When the visible candles were quenched in its chapels, the treasure was looted and the only privilege the monument received was its listing under the status of a 'monument of culture', those entering the churchyard would not even feel its sufferings...

And this is due to the original creative power that existed and continues to exist in this place. The spiritual might of the monastery, founded by the great king, is reflected in its architecture, in Gelati churches,

იუდაებრივისა სიტყუადასაბამისანიც” გადაიწერა, ხოლო XVII საუკუნის დამდეგს მონასტერს, სამღვდელმსახურო წიგნებთან ერთად, „ქართლის ცხოვრება დახატულიც” შემოსწირეს.

გელათის დიდება რომ ამ მოგვიანო საუკუნეებში არც ლიხს გადმოღმა დავიწყნიათ, თუნდაც ქართლის მეფის ძისა და კახთა ბატონის ძმისწულის, მომავალი კათალიკოსის, ანტონი I-ის აქ შემონახვება გვიდასტურებს. ამასთან, მაშინაც და კიდევ უფრო მეტად XIX საუკუნეში ეს სახელგანთქმული სავანე, უწინარეს უოვლისა, ალბათ მაინც განძთსაცავი, სულიერი და ნივთიერი საუნჯის, საეკლესიო სიწმინდეთა და ერის ისტორიის სახსოვართა შესანახი იყო. და მართლაც, თუმც ბევრი რამ მარბიელ-ამწიოკებელთა თუ „გაიძვერამოყვარეთა” მეცადინეობით აქაც გაიძარცვა და განადგურდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება სხვა ისეთი ეკლესია-მონასტერი, სასახლე და ციხე-დარბაზი, რომელსაც ჩვენი სულიერი საგანძურიდან ამდენი რამ გადაერჩინოს.

გელათს მიმზიდველობა არც მაშინ დაკლებია, როცა მრავალმა ისტორიულმა ქარიშხალმა მის ტაძრებში შვიდი ათეული წლით დააქრო ხილული სანთლები, განაზნია მისი განძეულობა და მისთვის მხოლოდ „კულტურის ძეგლად” მოხსენიების „პატივილა” გაიმეტა. მეტიც, გელათის ეზოში შესული ვერც გრძნობდა, მას თუ რამ უჭირდა...

ეს იმიტომ, რომ აქ გაუნელებლად ფეთქავდა და ახლაც ფეთქავს პირვანდელი შემოქმედებითი მუხტი. დიდი ხელმწიფის მიერ დაარსებული მონასტრის სულისმიერი სიძლიერე მის ხუროთმოძღვრებაშიც შეიცნობა, იმით, თუ როგორ „აყურადებენ” ერთიმეორეს ორასი წლის განმავლობაში ნაშენები გელათური ეკლესიები — ერთმანეთს შეფარდებულნი და ხმაშეწყობილნი, ერთი ნებითა და ძალისხმევით ამოზრდილნი. მათ მიერ მოფარგლულსა და განაკვეთულ სივრცეში აღარც არის წარსული და აწმყო, აქ მარტოოდენ წარმავლობას გამორიდებული სიწმინდე, კეთილშობილება, ღირსება, სისადავე სუფევს. ხოლო თუ აკადემიის დიდრონი სარკმლებიდან გაიხედავთ, თვალწინ იმერეთის ლამის შავ ზღვამდე მიწვენილი სერები და მინდორ-ველები გადაგეშლებათ, თითქოსდა საქართველოს გამაერთიანებელი წმინდა მეფის სურვილისამებრ მისი სამარადუამო სამკვიდრებლის კარად გაშლილი.

built within two centuries, 'listening to each other', arranged in harmony and coming from the same will. The space enclosed by them bears no distinction between past and present; only purity, nobility, virtue and simplicity, isolated from the transitional world, govern the area. Looking through the large windows of the Academy, you will enjoy a marvellous view of valleys and fields almost reaching the Black Sea, extended before the sacred place by the will of the saint king — he who was the consolidator of Georgia.

„ქორონიკონსა ტკჳ [1106 წელი] აჟა დავით გელათი დაიწყო“ (შემოქმედის გულანი).

„მთის ჩრდილოს კერძოდ და წყალწითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია უოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდშუენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილ-შუენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველსა გენათი, და აწ უწოდებენ გელათს“ (ბატონიშვილი ვახუშტი).

გელათის მონასტრის ხანგრძლივ და მრავალფეროვან ისტორიას, წერილობით წყაროებთან ერთად, მისი ნაგებობები და მონასტრობები, მეფეთა, სამეფო ოჯახთა და სასულიერო პირთა პორტრეტები და საფლავის ქვები, საქტიტორო წარწერები, გელათში შექმნილი თუ მისდამი შეწირული ჯვრები და ხატები, სამღვდელმსახურო ნივთები, წიგნები და სიგელ-გუჯრები მოგვითხრობენ.

დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში მონასტერში ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ძირითადი ნაგებობა, აკადემია, წყარო და კარიბჭე აშენდა. არსებობს გადმოცემა, რომ აღმაშენებელს ორი უხარმაზარი ჭვა თავისი ხელით ჩაუდგამს ტაძრის კედელში, XV საუკუნის ერთ-ერთი საბუთი კი ამბობს: „როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა... გალავნიდალმა გარდმოვარდა“-ო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მეფემ მონასტერი „აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა უოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნად საპოვნელთა“; შესწირა მამულები, „დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი... გვრგვნი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი...“ და ღმრთისმშობლის ტაძარს „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“. დავითმა ხახულიდან სახელგანთქმული ღმრთისმშობლის ხატიც ჩამოასვენა, რომელიც მონასტრის მთავარი სიწმინდე გახდა და, შემდგომ, „ხახულისა და გელათის საკურთხეველის ხატად“ იწოდებოდა.

„In the year 1006 Davit started building here Gelati [Shemokmedi Gulani]“.

‘To the north of the mountain and east of the River Tsqaltsitela, on a beautiful spot and on the slope of a hill, stands the domed Church of the Virgin, magnificently built and adorned with Sophio’s pebbles (teserae – transl.). It was built by King Davit Aghmashenebeli and called Genaati, and is now referred to as Gelati’ (Vakhushti Batonishvili).

The long and eventful history of Gelati Monastery is, apart from written records, witnessed by surviving buildings and wall paintings, portraits of local kings, royal families and ecclesiastical bodies and their tombstones, donors’ inscriptions, and crosses and icons created in Gelati or donated to the monastery, as well as other ecclesiastical items, books and deeds.

Under the reign of King Davit Aghmashenebeli (David the Builder) the Church of the Nativity of the Virgin, the main building of the monastery, the academy, the well and the porch were built. Tradition holds it that the king himself inserted two huge stones in the wall. According to a 15th century source, ‘while building Gelati ... Aghmashenebeli nearly fell from the surrounding wall’.

According to the chronicler of Davit Aghmashenebeli, the king ‘filled the monastery with the holy relics of saints, icons and items for divine services and other rare objects’; donated lands and ‘the royal thrones, candlesticks and various lamps... crowns and collars, bowls and drinking vessels used by the great kings...’ and ensured a food supply for the Church of the Virgin. King Davit also arranged for the transfer of the celebrated icon of the Virgin of Khakhuli, which later became the main relic of the monastery and came to be designated as the ‘altar icon of Khakhuli and Gelati’.

Davit Aghmashenebeli invited the best theologians and scholars not only from the local monasteries but also from abroad by selecting the most honorable men, those endowed with all the virtues. The academy he established, apart from providing ecclesias-

აღმაშენებელმა გელათში საუკეთესო ღვთისმეტყველნი და სწავლულნი შეკრიბა, და არა მხოლოდ თავის „სამეფოსა შინა პოვნისნი“, არამედ უცხოეთის მონასტრებში მოღვაწე ცნობილი, „სულიერითა და კორციელითა სათნოებითა აღსავსე“ მწიგნობარნიც. მის მიერ დაარსებულ აკადემიაში საეკლესიო მოძღვრებასთან ერთად, საერო მეცნიერებაც — გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, ფილოსოფია, რიტორიკა და ასტრონომია — ისწავლებოდა. აკადემიას მოძღვართმოდვარი მართავდა.

1125 წელს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა. მონასტრის გასრულება დიდმა მეფემ თავის ვაჟს, დემეტრე I-ს უანდერდა: „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძულე შვილთა ჩემთა უსრულად... აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ-ჟჳოს განასრულოს ყოვლითურთ უნაკლულად საუკუნოდ ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს“. მეფე დავით IV მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში დაკრძალეს, სადაც მაშინ ქუთაისის გზა მოდიოდა. მონასტერში კი იმ დროიდან, აღმაშენებლის ანდერძისამებრ, მისი შთამომავლები იმარხებოდნენ.

მონასტერი გასრულდა:

1130 წელს დემეტრემ ღმრთისმშობლის ტაძარი აკურთხა, რომელსაც დასავლეთიდან ნართექსი ჰქონდა მიშენებული და დიდებული მოზაიკითა და ფერწერით იყო შემკული. ტაძარს მალევე სამხრეთით მიუმატეს კარიბჭე და ორი ეგვტერი, XIII საუკუნის პირველ ნახევარში კი ჩრდილოეთი მინაშენიც ააგეს.

დემეტრე I-მა სახელგანთქმული ხახულის ღმრთისმშობლის ხატი ახალ, ოქროს ბუდეში ჩაასვენა და ძვირფასი ქვებით, მინაშენის ჯვრებითა და ხატებით გაამშვენა; 1139 წელს განძადან ნადავლად წამოღებული რკინის კარიც მონასტერს შესწირა და მის სამხრეთ კარიბჭეში, დავითის საფლავთან, დაჰკიდა.

1195 წელს შამქორის ომის შემდეგ, თამარმა „დროშა იგი ხალიფასი... წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი).

გელათის აღმშენებლობა გაგრძელდა XIII საუკუნეშიც, მონღოლთა შემოსევების დროს, მაშინ როცა ქვეყანა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ გაიყო:

საუკუნის პირველ ნახევარში, ღმრთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთით წმინდა გიორგის გუმბათიანი ეკლესია, ე. წ. „სადედოფლო“, აიგო და მოიხატა.

საუკუნის მეორე ნახევარში, დავით აღმაშენებლის დროინდელ წყაროს სამრეკლო დაადგეს. საუკუნის ბოლოს, ღმრთისმშობლის ტაძრის

tic knowledge, also taught secular sciences, such as geometry, arithmetic, music, philosophy, rhetoric and astronomy. The academy was administered by the abbot of the monastery.

In 1125, Davit Aghmashenebeli died. The great king had willed his son, Demetre I, to complete the monastery: ‘The monastery, my resting place and the burial chamber of my descendants is left unfinished... Let my son, King Demetre, improve it for me and for himself and also for my progeny’. King Davit IV was buried in the south porch of the monastery, the road running through which used to lead to Kutaisi. From that time on, the descendants of King Davit were buried in the monastery, as was willed by the king himself.

The monastery was completed:

in 1130, King Demetre consecrated the Church of the Virgin, which had a narthex on the west and was adorned with brilliant mosaic and painted compositions. Soon, a porch and two chapels were added to the church on the south. An extension was added to the north in the first half of the 13th century;

King Demetre I had the renowned icon of Khakhuli placed in a gold case and adorned with gems, enamel crosses and icons; in 1139, he donated the iron gate taken as a trophy in Gandza and hung it in the south porch of the monastery, by the grave of King Davit.

After the battle at Shamkori of 1195, Queen Tamar ‘donated the banner of the Caliph to the great monastery for the Khakhuli icon of the Virgin, as did her great grandfather’ (Istorianini da azmani sharavandetani – chronicles written by the historian of Queen Tamar)

The building of Gelati continued well into the 13th century, under the invasion of the Mongols, when the country was split into West and East Georgia.

In the first half of the 13th century, the domed Church of St George standing to the east of the Church of the Virgin, the so-called ‘Queen’s Church’ was built and adorned with murals.

In the second part of the same century, a bell-tower was erected over the well dating from the time of Davit Aghmashenebeli.

Towards the end of the century, a two-storey domed Church of St Nicholas was erected to the west of the Church of the Virgin.

At the turn of the 14th century, a porch was added to the building of the academy.

In the period 1292 to 1293, a chapel to the southeast of the Church of the Virgin was repainted by order of King Davit Narin (1245-1293) who, presumably, was later buried in the church together with members of his family.

In the 14th century, despite the inroads of Tamerlane, King Bagrat V (1360-1396) renewed the paint-

დასავლეთით წმინდა ნიკოლოზის ორსართულიანი გუმბათური ეკლესია აშენდა. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აკადემიის შენობას კარიბჭე დაუმატეს.

დაახლოებით 1292-1293 წლებში, ღმრთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერი მეფე დავით ნარინმა (1245-1293) მეორედ მოხატა და, სავარაუდოდ, თავის ოჯახის წევრებთან ერთად აქვე დაიმარხა.

XIV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში თემურლენგის თარეშის მიუხედავად, ბაგრატ V-მ (1360-1396) ტაძრის სამხრეთი კარიბჭის მოხატულობა განაახლა და განავრცო, საქტიტორო პორტრეტს დართულ სავედრებულ წარწერაში კი განსაცდელში ჩავარდნილი ერის ხსნა შესთხოვა ღმრთისმშობელს: „შენს მიერ შენდობილი ბაგრატ... ადიდე ძეთა გიორგითა, შენი ერით“.

გელათის აკადემიაც განაგრძობდა არსებობას. XIII-XIV საუკუნეებიდან ორი მოძღვართ-მოძღვარია ცნობილი — ანტონი და საბა. XIV საუკუნეში დაწერილი „ხელმწიფის კარის გარიგებაც“ გელათს უკავშირდება.

XV საუკუნეში გელათი იმერეთის სამეფოს სამფლობელოში შევიდა და, ამიერიდან, „სამარხო პაპათა და მამათა“ იმერთა მეფეების სამარხავი გახდა.

„ქორონიკონსა რუჟ [1510 წელი] მოვიდა თათარი ნოემბერსა კგ [23] და დაწუჟ საყდარი ქუთათისა და გელათი“, „დასწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ“ — ეს ამბავი თითქმის ყველა იმდროინდელმა საბუთმა და მინაწერმა შემოინახა. გელათის „მეორედ აღშენებას“ 1510 წელს ტახტზე ასული იმერეთის მეფე ბაგრატ III შეუდგა. მის შემდეგაც, თითქმის ყველა მეფე თუ მღვდელმთავარი მონასტრის გასრულებას ცდილობდა რითაც ძალუძდა — დიდითა თუ მცირედით.

1519 წელს ბაგრატ III-მ „ჰყო გელათი საეპისკოპოსოდ“. მალევე, საუკუნის შუა წლებში, მან დასავლეთი საქართველოს კათალიკოსის კათედრაც ბიჭვინტიდან გელათს გადმოატანინა — მის მიერ აღდგენილ და სამარხოდ დამკვიდრებულ წმ. გიორგის ტაძარში, რომელიც საიმდროოდ მოშლილიყო. დიდი წინაპრის, მეფე დავით აღმაშენებლის, მსგავსად ბაგრატმა წმინდა ხატებიც გადმოსვენა: სახელგანთქმული აწყურის ღმრთისმშობლისა და ბიჭვინტის ღმრთისმშობლისა.

ბაგრატ III ღმრთისმშობლის ტაძრის შემკობასაც შეუდგა: ჯერ, სავარაუდოდ 1520-იან წლებში — საკურთხეველი, გუმბათი და კარები მოახატვინა; იმავე დროს, საკურთხეველი ტრაპეზით, საეპისკოპოსო საყდრითა და მხატვრობით ეპისკოპოსმა მელქიხედეკ საყვარელიძემ განასრულა; სავარაუდოდ 1550-იან

ing of the south porch of the church and added lines to the supplicatory inscription accompanying the donor's portrait, asking the Virgin to save the nation: 'exalt Bagrat, to whom you showed mercy, and his son Giorgi and your nation'.

The Gelati Academy also continued functioning. The names of two abbots – Anthony and Sabas –who ruled the academy survive from the period between the 13th and 14th centuries. The regulations governing the royal court, written in the 14th century, also relate to Gelati.

In the 15th century, Gelati was incorporated in the kingdom of Imereti and from that time on became the 'burial place of grandfathers and fathers' of Imeretian kings.

'On November 23, in the year 1510, the Tatars came and burnt down the church of Kutaisi and Gelati', 'burnt the great monastery of Gelati both the exterior and interior' – almost all records and inscriptions of that time preserve notes on this disaster. The 'second building' of Gelati was undertaken by King Bagrat III of Imereti, who ascended the throne in 1510. All the kings and abbots afterwards spared no effort to complete and enhance the monastery.

In 1519, King Bagrat III 'made Gelati the episcopal see'. Soon after, in the middle of the same century, he ordered the Catholics' seat to be transferred from Bitcvinta to Gelati, to the Church of St George, which he himself had restored by him and established as his burial place, after it had been badly damaged. Following the example of his great ancestor, King Davit Aghmashenebeli, King Bagrat ordered two holy icons to be transferred here: the renowned icons of the Atsquri Virgin and the Bitchvinta Virgin.

King Bagrat III further embellished the church: first, in the 1520s, he commissioned the painting of the sanctuary, the dome and the doors; the sanctuary with an altar stone, episcopal seat and murals was finished by Bishop Melchisedec Saqvarelidze about that time. Presumably, towards the late 1550s, Bagrat undertook the repainting of the Church of the Virgin. His son, King Giorgi II (1565-1583) continued adorning the walls with paintings. King Giorgi II and the Catholicos, Evdemon Chkhetidze (1557-15778), commissioned the painting of the Church of St George.

Between 1578 and 1583, Bishop Anton Matsqvereli had the north porch of the Church of the Virgin repaired and painted.

Bishop, later Catholicos, Zakaria Kvariani, had the northwest chapel repainted between 1639 and 1657. Shortly after, from 1657 to 1660, he arranged for the completion of the west arm of the Church of the Virgin.

King Alexandre III (1639-1660) built a baldachin

წლების ბოლოს, ბაგრატმა ღმრთისმშობლის ტაძრის ხელმეორედ მოხატვა დაიწყო. მოხატვა მისმა ძემ, მეფე გიორგი II-მ (1565-1583) განაგრძო მამის გარდაცვალების შემდეგ. გიორგი II-მ და კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ (1557-1578) წმ. გიორგის ეკლესიაც შეამკობინეს მხატვრობით.

1578-1583 წლებში ეპისკოპოსმა ანტონი მაწყვერელმა ღმრთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭე შეაკეთა და მოახატვინა.

მეფე გიორგი III-მ (1604-1639) ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერი ირჩია ოჯახის საძვალედ და მხატვრობითაც შეამკო იგი.

ეპისკოპოსმა, შემდგომ კი კათალიკოსმა, ზაქარია ქვარიანმა ჯერ, 1639-1657 წლებში, ჩრდილო-დასავლეთი ეგვტერი მოხატა ხელახლა, მალევე კი, 1657-1660 წლებში — ღმრთისმშობლის ტაძრის დასავლეთი მკლავი განასრულა.

მეფე ალექსანდრე III-მ (1639-1660) ნართექსში ჩაადგმევინა თავისი სამარხი სალხინებელი და მხატვრობით შეამკობინა.

სამრეთ-დასავლეთი ეგვტერიც არაერთგზის მოხატა, XIV-XV და XVI საუკუნეების დღეს უცნობი მეფეების მიერ.

მონასტრისა და მისი სიწმინდეებისათვის, საკუთარი და ოჯახის საძვალე-სამწირველებისათვის ძღვენის მირთმევაც, მამათა და პაპათა მსგავსად, უკლებლივ ყველას სურდა — მამულების, „ოქროთ მოჭედილი და მოთვალმომარგალიტული“ ხატების, ჯვრების, ბარძიმ-ფეშხუმების, გვირგვინების; ოქროქსოვილი ომფორების, ბისონების, ოლარების, ენჭერებისა და სტიხარების, შემკული კონდაკებისა და გულანების, და კიდევ მრავალი სხვის:

აწყურის ღმრთისმშობლის ხატი გიორგი II-მ შემოსა ხელახლა, მოგვიანებით, ცოტა რამ სოლომონ I-მაც დაუმატა; ბაგრატ III-მ და დედოფალმა ელენემ გელათის ღმრთისმშობლის ხატი შეაქმნევინეს; ევდემონ ჩხეტიძემ ბიჭვინტისა; ბაგრატ III-ს დანათესავებულმა მხეცისძეებმაც არაერთი ხატი მოჭედეს; გიორგი II-ის მეუღლემ, თამარყოფილმა ქრისტიანმა თავისი ნამზითვი ძვირფასეულობისაგან მოაჭედინა და შეამკობინა თვალმარგალიტით მაცხოვრის ხატი გელათისათვის.

ზაქარია ქვარიანმა ხახულის ღმრთისმშობელს თავისი მამულები შესწირა, გელათისათვის მისი ნებით მოქარგულმა გარდამოხსნამაც მოაღწია დღემდე; შემორჩენილია ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი კათალიკოსების: ევდემონ ჩხეტიძის, ეფთვიმი სავარელიძისა (1578-1616) და მალაქია გურიელის (1616-1639) მიერ მირთმეული მდიდარი შეწირულობების ნუსხები. შემონახულია არაერთი ხელნაწერი,

in the narthex as his commemorative chapel and adorned it with paintings.

The southwest chapel was also painted many times by anonymous kings of the 14th, 15th and 16th centuries.

The donation to the monastery and to family burial places of estates, icons ‘chased with gold and studded with gems’, crosses, chalices and patens, crowns, omophorions adorned with gold, and sakkoses was frequent.

The Atsquri Icon of the Virgin was readorned by King Giorgi III, to which King Solomon I also added embellishments; Bagrat III and Queen Elene commissioned the Gelati Icon of the Virgin, and Evdemon Chkhetidze that of Bitchvinta; numerous icons were chased by the Chkhetidze who became related to King Bagrat III; King Giorgi II and his wife Christine, whose maiden name was Tamar, for Gelati had an icon chased and adorned with precious metals and jewels from her own dowry.

Zakaria Kvariani donated his lands to the Khakhuli Icon of the Virgin. An epitaphion which he commissioned to be embroidered for Gelati still exists. The lists of the rich donations to the Icon of the Bitchvinta Virgin made by the catholicoses Evdemon Chkhetidze, Eptvimi Saqvarelidze (1578-1616) and Malakia Gurieli (1616-1639) survive. In addition to this, numerous manuscripts were commissioned by the bishops of Gelati, such as Evdemon Chkhetidze, Zakaria Kvariani, Eptvimi Saqvarelidze and Gedeon Lortkipanidze.

The Russian envoys who visited Imereti between 1650 and 1652 were amazed by the precious, silver-plated and gilt icons bedecked with gems, crosses, ecclesiastical vessels and books. Some chests contained treasure which had belonged to previous kings.

In 1757, Imereti was invaded by the Lezgians who set Gelati on fire. According to contemporary sources, the monastery was then ‘devastated’ and the ‘church razed to the ground. All Orthodox Christians who had seen Gelati were in tears’. The rebuilding of the monastery was then undertaken.

King Solomon I (1752-1784) and Solomon II (1789-1810) substantially repaired and enriched the monastery. Before that, King Alexandre V (1720-1746, 1749-1752) had consecrated a neglected chapel to St Andrew the First Called and allocated funds for it. Metropolitan Ioseb, Catholicos between 1769 and 1776, restored the catholical throne of the Church of the Virgin in 1760. In the 1770s, Zakaria Gabashvili, having settled in Gelati, founded a school of calligraphy and art, and together with his heirs, left a large number of manuscripts and icons to the monastery. Gelati, reduced from the status of an episcopal see to an ordinary church by the Russian authorities, received numerous donations in the 1880s and ‘90s

რომელთა მომგებელნიც, ასევე, გელათელი მღვდელმთავრები არიან: ევდემონ ჩხეტიძე, ზაქარია ქვარიანი, ეფთვიმი საყვარელიძე და გედეონ ლორთქიფანიძე (1623 წლამდე ეპისკოპოსი).

1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსთა ელჩები განცვიფრებულნი იყვნენ გელათის უძვირფასესი, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და თვალმარგალიტით შემკული ხატებით, ჯვრებით, საეკლესიო ჭურჭლითა და წიგნებით. საგანგებო კიდობანში წინანდელი მეფეების განძიც ყოფილა შენახული.

1757 წელს იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა და გელათი გადაწვა. თანამედროვეთა ცნობით, მონასტერი მაშინ „წარხდა“, „ეკლესია გაოხრებული იყო. ყოველნი მართლმადიდებელი ქრისტიანენი ვინც იყო და გელათი ენახათ იმ ჟამად სტიროდენ“. მონასტრის აღდგენას კვლავ შეუდგნენ:

სოლომონ I-მა (1752-1784) და სოლომონ II-მ (1789-1810) ბევრი რამ შეაკეთეს და ბევრიც შესწირეს. უფრო ადრე, ალექსანდრე V-მ (1720-1746, 1749-1752) გელათის საიმდროოდ დავიწყებული ეგვტერი წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელზე აკურთხებინა და შესაწირავი განუჩინა. მიტროპოლიტმა იოსებმა (1769-1776 წლებში კათალიკოსი) ღმრთისმშობლის ტაძარში მდგომი საეპისკოპოსო საუდარი აღადგინა 1760 წელს. 1770-იან წლებში გელათს დამკვიდრებულმა ზაქარია გაბაშვილმა კალიგრაფიული და სამხატვრო სკოლა შექმნა და, თავის მემკვიდრეებთან ერთად, არაერთი ხელნაწერი და ხატი დაუტოვა მონასტერს. რუსთა ხელისუფლების მიერ საეპისკოპოსოდან რიგით მონასტრად დამცრობილ გელათს 1880-1890-იან წლებშიც, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) თაოსნობით, არაერთი რამ შეემატა. 1923 წელს კომუნისტების მიერ მონასტრის გაუქმებამდე, გელათის სალარო სხვა ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გამოტანილი ძვირფასი ნივთებითაც ივსებოდა. თუმცა, გელათურ საგანძურს ბევრი რამ მაშინაც მოაკლდა: ზოგი XIX საუკუნეში დაიკარგა, ზოგიც — XX-ში.


მიუხედავად ჟამთა სვლისა, გელათის მთავარი სიწმინდეები, არაერთი გელათური ხატი, ჯვარი, ხელნაწერი, სამღვდელმსახურო ნივთი თუ ქსოვილი გადარჩა. დღემდე მოღწეული ეს ყოველივე საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში ინახება, როგორც წარსულის უძვირფასესი ნაშთი და მემკვიდრეობა. დროთა განმავლობაში, გელათში განსვენებულთაგან ბევრის საფლავი დაიკარგა, ზოგის აღარც სახელია ცნობილი, მაგრამ შემონახული — „სამეფო სამარხოში“ დაკრძალულ დიდებულ მეფეთა და მღვდელმთავართა სახელებიცა და საფლავებიც, ცოტა როდია.

1988 წლიდან გელათის მონასტერი კვლავ მოქმედია.

thanks to the efforts of Bishop Gabriel Kikodze. Before the abolition of the monastery by the Communists in 1923, the Gelati treasure chests were filled with precious items brought here from other churches and monasteries. However, the treasure of the monastery also suffered losses both in the 19th and 20th centuries.

Despite hard times, the main relics of Gelati, numerous icons, crosses, manuscripts, liturgical objects and cloths survive and are kept in the museums and depositories of Georgia as valuable treasures and a legacy of the past. Over the centuries, some of the graves of those buried in Gelati were lost, and some have become anonymous, but what survives – the names and graves of great kings and high priests – is important.

Gelati restarted functioning as a monastery in 1988.


























































































































































































ΥΑΧΕ ΤΩΝ ΤΕΤΑΡΤΩΝ
ΤΩΝ ΤΕΤΑΡΤΩΝ

ΗΓΕΝΙΣΤΟ
ΤΟΝ ΠΡΟΔΡΟΜΟΝ











































































































































































































































































































































ღმრთისმშობლის შობის ტაძარი

—— მონასტრის მთავარი ნაგებობაა ღმრთისმშობლის შობის ტაძარი, რომლის მშენებლობა დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დაიწყო და დემეტრე I-მა 1130 წელს დაამთავრა. ეზოს შუაში მდგარი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი მთელი არქიტექტურული ანსამბლის ცენტრია და ზომითაც დიდად ჭარბობს სხვა შენობებს. გუმბათის მხრივ ის სამართლმადიდებლობაში იმხანად გავრცელებული, საქართველოში კი VII საუკუნიდან ცნობილი „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა. აი, მისი ფართო, ხალვათი, უხვად განათებული სივრცე, სადაც სიმაღლესთან ერთად განიც შეიგრძნობა, ჩვეულებრივი სულაც არ არის. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კედლების კუთხეებსა და ორ მსხვილ ბურჯს (ტიპის ეს რედაქცია ჩვენში XI საუკუნიდან დამკვიდრდა). დასავლეთით ტაძარს VII საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი ქართული ეკლესიის მსგავსად, მეორე სართულის გალერეა — პატრონიკე აქვს, რომელზეც ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში კედლის სისქეში მოწყობილი ორი კიბე ადის.

საკურთხეველში შუა სარკმლის ქვეშ არის საეპისკოპოსო საყდარი რვასაფეხურიანი კიბით, რომელიც ააგებინა ეპისკოპოსმა (1519 წლიდან) მელქისედეკმა (საყვარელიძე). მასვე გაუმართავს ტაძრის კანკელი, რომელიც აღარ არსებობს — ახლა აქ 1990-იან წლებში გაკეთებული ახალი კანკელი დგას. აფსიდის ორ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნაა. ქვის ტრაპეზი სამკვეთლოს აფსიდში, ზედ ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, ასევე ეპისკოპოს მელქისედეკის დროინდელია. ეპისკოპოსის დასაჯდომი სვეტებიანი საყდარი ჩრდილოეთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს გაკეთებულია 1760 წელს მიტროპოლიტ (შემდგომში კათალიკოს) იოსების მიერ.

გარედან ტაძარი მოპირკეთებულია ეკლარის კირქვის სუფთად თლილი კვადრებით, რომელთაგან ზოგი ძალიან დიდია. ხალხური გადმოცემით, ისინი თვით დავით აღმაშენებელს დაუწყვია. დროთა განმავლობაში ქვებმა მუქი ქვიშისფერი

CHURCH OF THE NATIVITY OF THE VIRGIN

—— The Church of the Nativity of the Virgin, being the main building of the monastery, was begun by King Davit IV Aghmashenebeli in 1106 and completed under King Demetre I in 1130. This cross-domed church, erected in the centre of the churchyard and exceeding the rest of the structures, is the hub of the entire architectural ensemble. The church is inscribed-cross in plan, the type which characterised the ecclesiastical architecture of Orthodox Christendom at that time and began to be applied in Georgia in the 7th century. Unusual is its wide, spacious, lavishly lighted space, in which the width is equally perceptible as the height. The dome rests on the corners of the apse walls and two strong piers, the composition typical of Georgian wall paintings from the 11th century onwards. To the west, the church, like a number of other Georgian churches dating from the 7th century onwards, has a gallery along the first-floor level, the northwest and southwest corner walls of which are furnished with two stairways.

The episcopal throne, elevated on eight steps below the middle window in the sanctuary, was commissioned in 1519 by Bishop Melchisedec Saqvelidze. The chancel barrier, which does not survive, was also been made by his order. The present chancel barrier dates from the 1990s. The apse is flanked by a prothesis and diaconicon. A stone altar in the prothesis, according to the inscription carved on it, dates also from the time of Bishop Melchisedec. The baldachin over the episcopal seat, to the east of the north pier, was commissioned by Metropolitan, later Catholicos, Ioseb in 1760.

The facing of the church is of smoothly finished limestone blocks, some of which are very large. According to tradition, they were placed there by King Davit Aghmashenebeli himself. Over the centuries, the stones, which originally must have been whitish, have acquired a dark sandy shade. The east façade has three apses projecting in pentagons, while the cross-arms and the drum are furnished with decorative arches. Ornamentation is rare and is visible only on certain elements of

ტონი მიიღო, თავიდან ისინი მოთეთრო უნდა უოფილიყო. აღმოსავლეთ ფასადზე სამი ხუთ-წახნაგად შვერილი აფსიდი. შენობის მკლავები და გუმბათის ქელი დეკორატიული თაღებით არის გაფორმებული. ორნამენტი ფასადებზე მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის გამოკვეთილი (მაგალითად, დეკორატიულ გირჩზე საკურთხევლის შუა სარკმლის ქვეშ). კარნიზებისა და საპირეები, დავით აღმაშენებლის ეპოქის მკაცრი სტილის შესაბამისად, მოუჩუქურთმებელია. ამავე დროს, მათი რთული მრავალფეროვანი პროფილები ხუროთმოძღვართა ღრმა განსწავლულობას მოწმობს და გამორჩეული პლასტიკურობით ფასადებს გამომსახველობასაც ანიჭებს. დავით აღმაშენებლის დროს დაწყებული სამმხრივი თაღოვანი გალერეა ტაძრის გარშემო დაუსრულებელი დარჩა. უკვე მშენებლობის პროცესში თავდაპირველი ჩანაფიქრი შეიცვალა და ტაძარს მხოლოდ ნართექსი მიშენდა დასავლეთიდან. ის წარმოადგენს გრძელ დახურულ სათავსს, რომლიდანაც სამი დიდი კარი გადის ტაძარში. ოთხსვეტიანი თაღოვანი ბალდახინი ნართექსის სამხრეთ ნაწილში 1660 წლის ახლოსაა ჩადგმული. სამხრეთიდან ტაძარს 1130-40-იან წლებში მიაშენეს კარიბჭე ორი მიმდებარე სათავსით. აღმოსავლეთ სათავსში, რომელსაც აქვს შვერილი ხუთწახნაგა აფსიდი, მოწყობილია წმ. ანდრია პირველწოდებულის ეგვტერი; დასავლეთის უაფსიდო სათავსში — წმ. მარინეს ეგვტერი. ჩრდილოეთიდან XIII საუკუნის პირველ ნახევარში ტაძარს მიშენდა კარიბჭე და მის აღმოსავლეთით მაცხოვრის ეგვტერი, ასევე შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით, ხოლო ცოტა მოგვიანებით — წმ. მარინეს მეორე ეგვტერი კარიბჭის დასავლეთით და მისი პორტიკი (თავიდან ის თაღებით იყო გახსნილი, მოგვიანებით თაღები ამოავსეს), რომელიც უკავშირდება ტაძრის ნართექსს. მინაშენების საფასადო გაფორმება კარგად არის შეთანხმებული თვით ტაძრის გარე სახესთან.

სურ. 1-22, 48-49

ტაძრის უზარმაზარ შიდა სივრცეში ამკარად უოველმხრივ ბატონობს საკურთხევლის კონქის მოზაიკა — სახეიმი გამოსახულება ფეხზე მდგომი ჩვილუდი ღმრთისმშობლისა მის ორსავ მხარეს განთავსებული თითო მთავარანგელოზით. ტაძარში შესულთ უმაღლე ხიზლავს ამ გამოსახულებათა „არამიწიერი“ ელვარება, მათი მნიშვნელოვანება, ძლიერი სულიერი მუხტი, განსაკუთრებით კი ღმრთისმშობლის მომწუხებავი, სევდით აღსავსე თვალები.

გელათის მოზაიკა დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება — მის დროს იგი თუ დაწყებული არა, ჩაფიქრებული მაინც იქნებოდა. ალბათ, სწორედ მას ხელეწიფებოდა დაესახა მიზნად ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელსაც თავისი ბრწყინვალეობითა და მშვენიერებით ტოლი არ უნდა დაედო კონსტანტინეპოლის სახელგანთქმული მოზაიკებისათვის. უთუოდ, შესანიშნავად ესადაგება მის მხედრულ წარმატებებს ღმრთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი — „ნიკოპეა“, როგორც მომავალ გამარჯვებათა საწინდარი.

the façades, e.g. on a decorative boss under the middle window of the sanctuary. The cornices and frames are plain, as was typical of the austere style of King Davit's epoch. However, their complex profiles reveal the professionalism of the masters and lend expressiveness to the façades.

The three-lateral arched stoa, begun under Davit Aghmashenebeli, remained unfinished. The original concept was changed during construction in favour of adding only a narthex to the west. The narthex, a long, covered compartment, has three large doors leading to the church. The arched baldachin, resting on four pillars, to the south of the narthex, was built around 1660. A two-chamber porch was added to the south of the church between 1130 and 1140s. The Chapel of St Andrew the First Called, with an apse projecting in a pentagon, is in the east of the porch, and the hall-type Chapel of St Marina is in the west. The north porch and the Chapel of the Saviour to the east, are of the early 13th century. A second Chapel of St Marina and a portico, to the west of the porch, were added later. The portico, the original arches of which have been filled with masonry, is connected to the narthex. The façade adornment of the extension is in harmony with the external appearance of the church.

ill. 1-22, 48-49

The huge space of the naos is dominated by a mosaic painting, featuring a standing Virgin and Child attended by the archangels. Upon entering the church, the viewer is fascinated by the unearthly radiance of the images, their significance the strong emotional loading, and especially eyes of the Virgin, saturated with deep sorrow.

The mosaic of Gelati was conceived, if not begun, under King Davit Aghmashenebeli (David the Builder). Probably, it was only he who could undertake the creation of a work that could rival the well-known mosaics of Constantinople. Virgin Nikopea is the iconographic type of the Virgin that most adequately corresponded to the military achievements of the king, implying future victories.

The mosaic of Gelati, remarkable for its high level of execution, was made between 1125 and 1130 by a Georgian master profoundly cognizant in Byzantine-Metropolitan craftsmanship, whose perception of the world lent distinguished loading to the composition relying on Byzantine principles, but still taking its roots in Georgian culture.

ill. 24-26

The majority of the paintings adorning the Church of the Virgin date from the period after 1510, the year when Gelati was set on fire by the Turks. The lower layer paintings in the altar apse, displaying the half figures of Holy Warriors and an ornamented strip, were presumably commissioned by Bagrat III, King of Imereti, in the 1520s (a large inscription in asomtavruli script commemorating King Bagrat, Queen Elene and their sons survives at the bottom of the apse). The painting adorning the dome, such as Christ Pantokrator with apocalyp-

გელათის მოზაიკა მალალი დონის ნაწარმოებია, შესრულებული 1125-1130 წლებში ბიზანტიურ-დედაქალაქურ ოსტატობას ბრწყინვალედ დაუფლებული ქართველი ოსტატის მიერ, რომლის საკუთარი მსოფლგანცდა სულ სხვა უღერადობას ანიჭებს ბიზანტიურ პრინციპებით აგებულ, თუმცა ქართული ხელოვნების წიაღში აღმოცენებულ, ამ კომპოზიციას.

სურ. 24-26

ღმრთისმშობლის ტაძრის მოხატულობის უდიდესი ნაწილი 1510 წლებს თურქთა მიერ გელათის გადაწვის შემდგომი ხანისაა. საკურთხევლის აფსიდის მხატვრობის ქვედა ფენა: წმ. მოწამეთა ნახევარფიგურები და ორნამენტული ზოლი სავარაუდოდ XVI საუკუნის 20-იან წწ-შია შესრულებული იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის დაკვეთით (აფსიდის ძირში ბაგრატ მეფის, ელენე დედოფლისა და მათ ძეთა მოსახსენიებელი დიდი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული). ამავე დროს უნდა იყოს შესრულებული გუმბათის მოხატულობაც: გუმბათის ცაში — ქრისტე ყოვლისმპყრობელი აპოკალიფსურ სიმბოლოებთან ერთად, ეულში — საღმრთო ლიტურგია და წინასწარმეტყველთა რიგი (აქვე შემორჩენილი წარწერა, სავარაუდოდ, მომხატველს — თეოდოროს იხსენიებს). თანადროულია სადიაკვნედან საკურთხეველში გასასვლელი კარის წირთხლის მხატვრობაც ღმრთისმშობლის წინაშე მდგომ ეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძის გამოსახულებით. ეს მოხატულობები (ამავე ჯგუფისაა ნართექსიდან ტაძარში შესასვლელი კარისა და ჩრდილო-დასავლეთი კარიბჭის ტიმპანების მხატვრობა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერის კართან გამოსახული ბაგრატ III-ის მეფედკურთხევის სცენა) პოსტბიზანტიური ხანის პროფესიული ნაკადის ერთგვარ გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს. მათი გარკვეული მსგავსება ნიკორწმინდისა და სამთავისის ტაძართა გუმბათების მოხატულობასთან XVI ს-ის I ნახევრის ქართულ მხატვრობაში ე. წ. პროფესიული და ხალხური ნაკადების შუალედური წრის არსებობას ცხადყოფს.

სურ. 23, 27-30

მთავარი სივრცის მოხატულობის ძირითადი ნაწილი XVI საუკუნის მეორე ნახევარშია ორ ეტაპად შესრულებული: საკურთხევლის აფსიდი და ბემა (ბემის გამოსახულებების ნაწილი XVIII ს-შია გადაწერილი) და ტაძრის მკლავების ზედა რეგისტრები ბაგრატ III-ის დაკვეთით არის მოხატული 1550-იანი წწ-ის ბოლოს; ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების ქვედა რეგისტრები და დასავლეთი მკლავის ნაწილი, პატრონიკის დონემდე, მისმა ძემ მეფე გიორგი II-მ შეამკობინა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1565-1578 წწ-ში. აფსიდში საღმრთო ლიტურგია და მოციქულთა ზიარებაა გამოსახული, ბემაში — ღმრთისმშობლის ყრმობის ციკლი, ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში — საუფლო დღესასწაულები, დასავლეთით — ზემოთ ვნებები, ქვემოთ — ღმრთისმშობლის მიცვალებისა და დაუჯდომელის სცენები (ღმრთისმშობლის ქების დიდი კომპოზიციის

ტიკ სიმბოლები ცაში, ღვთაებური ლიტურგია და პროფეტების რიგი ერთნაირი თარიღის უნდა იყოს. An inscription mentioning Teodoro, presumably the painter of the church, can be seen nearby. The murals on the jamb of the door leading from the diaconicon to the sanctuary, featuring Bishop Melchisedec Saqvarelidze, standing in front of the Virgin, can be assigned to the same period. These paintings on the door leading to the church from the narthex and the tympana of the north-west porch and the scene of the crowning of King Bagrat III by the north-east chapel represent a simplified version of the professional trend of Post-Byzantine painting. The similarity of these paintings with those of Nikortsminda and Samtavisi churches attests to the presence of a meeting point between the so-called 'professional' and 'vernacular' styles.

ill. 23, 27-30

The bulk of the paintings in the main body of the church were made in the second half of the 16th century in two stages: the altar apse, the chancel bay, the representations of which were retouched in the 18th century, and the upper registers of the arms, dating from the late 1550s, were commissioned by Bagrat III; the lower registers of the north and south arms and part of the west arm upto the level of the gallery, were commissioned by King Giorgi II after the death of his father, between 1565 and 1578. The apse contains representations of The Divine Liturgy and The Communion of the Apostles, the chancel bay has a cycle of the scenes from the life of the Virgin, the north and south arms display the Great Feasts, above the west arm are the Passions and below it scenes of the Dormition and Akathistos Hymn. The south wall is taken up by a composition of Glorification of the Virgin. Being classic examples of post-Byzantine art, these murals executed by different artists, are remarkable for their individual styles. The tectonic arrangement of the murals may be reflective of the initial adornment of the church. The portrait representing Catholicos Evdemon Chkhetidze and family-members of kings Bagrat III and Giorgi II, including his first wife Rusudan and their son Bagrat, is remarkable for the image of King Davit Aghmashenebeli depicted along with them. The inclusion of the founder of Gelati Monastery in the 16th century donors' portrait illustrates the importance of their ancestry to the members of the Imeretian royal court, as well as their attitude towards the monastery, and the respect for the past evidenced in Georgian culture from the 16th-17th centuries onwards.

ill. 31-43

The paintings in the lower segment of the west arm were commissioned by Zakaria Kvariani, after the year 1657, during his rule as catholicos. The south pier features the portrait of the Catholicos, which is furnished with an inscription in asomtavruli script. The paintings reflect the transition from the Middle Ages to modern times, which appears obvious taking into account the selection of the passions as a narrative subject and the character of the images represented with their stocky figures, overall treatment, 'closed contour and marked geometrisation of the drapery.'

ill. 44-47

სამხრეთ კედელზეა გამოსახული). მოხატულობა იმ დროის პოსტბიზანტიური მხატვრობის პროფესიული ნაკადის დამახასიათებელი ნიმუშია და, ამასთანავე, საინტერესო ხელწერისმიერ სხვაობებს წარმოაჩენს. მისი გარკვეული არქიტექტონიკურობა, შესაძლოა, ტაძრის თავდაპირველ შემკულობას ეხმიანებოდეს. ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი ჯგუფური პორტრეტი, მეფეთა ბაგრატ III-ისა და გიორგი II-ის ოჯახების (ბაგრატის მეუღლე დედოფალი ელენე, გიორგი II-ის პირველი მეუღლე დედოფალი რუსუდანი და ძე ბაგრატ) და კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის გამოსახულებებით, (სამხრეთ მკლავში გენათელი დომენტი ჩხეტიძე არის დახატული) საქტიტორო რიგში გელათის დამაარსებლის, მეფე დავით აღმაშენებლის ჩართვით არის საგულისხმო: ეს, ერთი მხრივ, იმერეთის სამეფო კარის წვერთათვის მათი ჩამომავლობის — ერთიანი საქართველოს მმართველი ბაგრატიონებისგან მემკვიდრეობის — მნიშვნელობასა და გელათისადმი მათ დამოკიდებულებაზე მეტყველებს და, ამავე დროს, XVI-XVII საუკუნეებიდან ქართულ კულტურაში გაცხადებულ, წარსულისადმი საგანგებო უზრადღეობასაც ასახავს.
სურ. 31-43

დასავლეთი მკლავის ქვედა ნაწილი ზაქარია ქვარციანის დაკვეთით არის შესრულებული, მისი კათალიკოსობის დროს, 1657-ის შემდეგ. სამხრეთ ბურჯზე თავად კათალიკოსის პორტრეტია გამოსახული, თანმხლები ასომთავრული მოსახსენიებელი წარწერით. მოხატულობაში მკაფიოდ ჩანს შუა საუკუნეებიდან ახალი დროზე გარდამავალი ხანის ნიშნები — სეჟეტურ გამოსახულებებზე მაცხოვრის ვნებათა შერჩევითაც და გამოსახულებათა ხასიათითაც (ფიგურათა დამჯდარი პროპორცია, ზოგადი დამუშავება, „შეკრული“ კონტური და დრამირების ხაზგასმული გეომეტრიზება).
სურ. 44-47

საკათალიკოსო საყდრის კედელზე ეპისკოპოს ანტონი მაწვერელის საკმაოდ დაზიანებული პორტრეტი არის გამოსახული. საყდრის გვერდით, ტაძრის ჩრდილოეთ ბურჯზე XVII ს-ის უცნობი სასულიერო პირის გამოსახულებაა.

ნართექსის მოხატულობა (1125-1230) ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. კამარის ცენტრში გამოსახულია — „ანგელოზთა მიერ ჯვრის აღმადგენი“, კამარასა და კედელთა ზედა რეგისტრებში — მსოფლიო შვიდი საეკლესიო კრება, სარკმელში — „წმ. ეფემიას სასწაული ქალკედონის კრებაზე“, დასავლეთი კარის ტიმპანში — მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, აღმოსავლეთი გვერდითა კარების ტიმპანებში მოციქულების პეტრესა და პავლეს, ჩრდილოეთისა და სამხრეთ კართა ტიმპანებში — მთავარანგელოზთა ნახევარფიგურები. ბიზანტიისაგან განსხვავებით ქართულ საეკლესიო მხატვრობაში საეკლესიო კრებათა გამოსახულებები არ გავრცელდა. გელათის გარდა ეს სცენები, ისევე როგორც წმ. ეფემიას სასწაული სხვაგან, არ დასტურდება.

The wall of the catholicos' seat displays a damaged portrait of Bishop Anton Matsqvereli. The north pier next to it bears an image of an unknown ecclesiastic figure.
ill. 80-90

The plain and emotional paintings which adorn St Marina's Chapel on the southwest belong to the so-called 'folk' trend, which prevailed in West Georgia in the 16th century. The selection of the representations (The Deesis, The Crucifixion, The Deposition, The Harrowing of the Hell) indicates that the chamber was adorned to serve as a burial place. These 'folk' murals must also have been a royal commission, which provides further evidence of the presence of social cohesion of medieval Georgian culture and society. The paintings on the lower layer at the junction of the north and west walls, showing images of royal family members (the names of the king's children Tinatin and Visi can be deciphered), must have been executed in the 14th-15th century. The murals, revealing the experience of Palaeologan art and the so-called 'folk' trend provide substantial evidence for the study of the interrelation of various artistic styles in medieval Georgia.
ill. 73-79

The wall paintings adorning the narthex, executed between 1125 and 1130, survive in fragments. The centre of the vault features the Ascension of the Cross by the Archangels, the vault and the upper registers of the walls display the seven ecumenical councils, the window has St Euphemia's Miracle at the Council of Chalcedon, the tympanum of the west door - the mandylion, the tympana of the east lateral doors - the Apostles Peter and Paul, and the tympana of the north and east doors - the half-figures of the archangels. Unlike the case in Byzantine art, scenes of ecumenical councils did not find fertile soil in Georgian ecclesiastical painting. Gelati is the only place where these scenes, as well as St Euphemia's Miracle, can be seen. The location of the ecumenical councils in the narthex and their iconographic peculiarities reveal the influence of the Byzantine tradition. However, this theme is represented together with the local iconographic theme (the Ascension of the Cross). The selection of the world ecumenical councils reflects the dispute between the Monophysites and Diophysites in the Caucasus at that time and the ecclesiastical councils convened by King Davit Aghmashenebeli between 1103 and 1123-1125, the latter of which marked the pronouncement of orthodoxy of the Georgian Church. The paintings highlight the Council of Chalcedon which denounced Monophysitism. This council is represented twice, among the councils and in St Euphemia's Miracle. Gelati Monastery, with its academy, took active part in the dispute between the Chalcedonic-Diophysites and anti-Chalcedonic-Monophysites. The monastery also kept a book of ecclesiastical regulations, translated by Arsen Iqaltoeli, with the decrees and acts of the ecclesiastical councils, which enhanced the knowledge of ecclesiastical councils. This fact is attested by the extended explanatory inscriptions in asomtavruli script accompanying the scenes. It is possible that miniatures were used as samples for creating paintings. These tectonic and monumental murals are

საკლესიო კრებების ლოკალიზაცია (ნართექსი) და მათი იკონოგრაფიული თავისებურებები ბიზანტიურ ტრადიციას მისდევს. ამავე დროს ეს თემა ადგილობრივ იკონოგრაფიულ თემასთან (ჯვრის ამალღება) ერთადაა წარმოდგენილი. საკლესიო კრებების შერჩევა დაკავშირებულია იმ ხანად კავკასიაში მიმდინარე მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გამწვავებულ დავასთან და დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელსა და 1123 — 1125 წლებს შორის მოწვეულ საეკლესიო კრებებთან — უკანასკნელზე საგანგებოდ აღიარეს ქართული ეკლესიის ორთოდოქსულობა. მოხატულობაში საგანგებოდაა აქცენტირებული ქალკედონის კრება, რომელზეც მონოფიზიტობა გაიკიცხა. ეს კრება ორჯერაა გამოსახული — კრებათა შორისაც და კიდევ წმ. ეფემიას სასწაულის სახით. გელათის მონასტერი, მისი აკადემია აქტიურად მონაწილეობდა ქალკედონიტ-დიოფიზიტებსა და ანტიქალკედონიტ-მონოფიზიტებს შორის პოლემიკაში. აქ ინახებოდა არსენ იყალთოელის ნათარგმნი დიდი სჯულის კანონიკ საეკლესიო კრებათა დადგენილებებითა და აქტებით. ამან განსაზღვრა საეკლესიო კრებების ღრმა ცოდნა, რასაც სცენების თანმხლები ვრცელი განმარტებითი ასომთავრული წარწერებაც ადასტურებს. ნართექსის მოხატულობა გელათის მონასტრის ერთიანი შემოქმედების ნაყოფია. არ არის გამორიცხული, რომ მოხატულობის ნიმუშად მინიატურებს იყენებდნენ. მოხატულობა ტექტონური, მონუმენტური ხასიათისაა. დამახასიათებელია წერის ხაზობრივი მანერა, რბილი შუქ-ჩრდილით მოდელირება, დახვეწილი კოლორიტი, გამოსახულებათა ინდივიდუალობა. თავისი სტილითა და ოსტატობის მაღალი დონით მოხატულობა ე.წ. „დედაქალაქურ“ მხატვრულ ტრადიციებს იზიარებს და XII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ნართექსის აღმოსავლეთ კედელზე კარის ორსაც მხარეს მეომართა ფიგურები XIV საუკუნეშია შესრულებული. ცენტრალური კარის ტიმპანის მოხატულობა (მათავარანგელოზთა შორის წარმოდგენილი ჩვილედი ღმრთისმშობელი) XVI ს-ის 20-იანი წლებით თარიღდება.

ნართექსის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახული გელათელი კანდელაკის, დიმიტრის, პორტრეტი XVII ს-ით შუა ხანაში უნდა იყოს შესრულებული (აშკარაა გამოსახულების მსგავსება ჩრდილოდასავლეთი ეგვიპტის ზაქარია ჭვარიანისეულ მოხატულობასთან).

1650-იან წწ-ის ბოლოს მეფე ალექსანდრე III-ის მიერ ნართექსში სამარხოდ აგებული საღვინებლის საკმაოდ მდიდრულ მოხატულობაში სამხრეთ კედელზე გამოსახული ალექსანდრე მეფისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის სადღესობად დახიანებული-სახეცვლილი პორტრეტები გამოირჩევა, გამოსახულებათა ხაზგასმით დიდი ზომითაც და უხვად შემკული სამოსის პომპეზურობითაც. მოხატულობის პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. ცალკემდგომ ფიგურათა

characterised by their linear manner of drawing, the use of soft shades for modelling, refined colour and the individuality of the representations. The style and high level of craftsmanship reveal the influence of the Georgian 'metropolitan' traditions and cause these murals to be ranked among the best samples of 12th century Georgian wall paintings.

The figures of the warriors, flanking the door in the east wall of the narthex, date from the 14th century. The paintings adorning the tympanum of the central door with The Virgin with Child Attended by the Archangels, are ascribed to the 1520s.

The portrait of the Gelati sacristan, Dimitri, on the east wall of the narthex, should be attributed to the mid-17th century as the mural reveals an obvious affinity with the paintings by Zakaria Kvariani, located in northwest chapel.

Among the rich paintings in the baldachin built by King Aleksandre III in the narthex as his commemorative chapel in the late 1650s the most outstanding are the damaged and altered portraits of King Alexandre and Queen Nestan-Darejan, located on the south wall. The figures are notable for their large size and pompous attire. The painting programme abounds in representations. Along with the separately standing figures, it features the extended composition of The Deesis in the dome, The Virgin Eleusa between the Apostles and the Amnos by the altar on the east wall, the scenes of the Virgin and the Annunciation of Ioakim and Ana on the outer face of the baldachin. The paintings are characterised by bright colouring and the refinement of execution of the small figures. The style in which the paintings are executed (unified treatment, alignment of the drawing), as well as highlighted presentation of the secular portraits, reflects the trend of the transition from the Middle Ages to modern times characteristic of Georgian culture of that period.

ill.50-62

The paintings in the southeast chapel, dating from the period between 1291 and 1292, survive in a damaged state. The programme is laconic: the altar apse has The Deesis, the half-figures of the Apostles and the Church Fathers; the vault displays the four prophets and a badly damaged portrait of a king (believed to be as Davit Narin or King Vakhtang II). The walls are adorned with the scenes of the Hospitality of Abraham, the figures of the Holy Warriors, the royal portrait of Davit Narin standing in front of the half-figure of the Saviour and a portrait of Davit Narin as a monk. An inscription furnishing both representations can be discerned: 'The King of Kings, son of Rusudan'. The lunette and the jamb of the door display the figures of the Holy Women accompanied by an inscription in asomtavruli script. The painting programme is of the eschatological type. The figures are interrelated so as to refer to the waiting for the Last Judgement and the hope of salvation. The murals are typical examples of developed Palaeologan art. The expressiveness of the figures, the exaggeration of the proportions and forms, the modelling with

გარდა, გამოსახულია: გუმბათში — ვედრების გაგრცობილი კომპოზიცია; აღმოსავლეთ კედელზე, ტრაპეზთან — ღმრთისმშობელი ელუსა მოციქულებს შორის და მსხვერპლის თაყვანისცემა; სალხინელის გარეთა პირზე — ღმრთისმშობლისა და იოაკიმესა და ანას ხარების სცენები. მოხატულობა უღერადი ფერადოვნებითა და მცირე ზომის გამოსახულებათა შესრულების სიფაქიხით იპყრობს უურადლებას. აღსანიშნავია შესრულებაშიაც (დამუშავების გამთლიანება, ნახატის შეკვრა-გასწორება) და საერო პორტრეტის ხაზგასმულ მნიშვნელოვანებაშიც გამიჯნეული შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდამავლობის ნიშნები, რაც იმდროინდელი ქართული კულტურის ზოგადი მახასიათებელია. სურ. 50-62

სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერის მოხატულობა (1291-1292) საკმაოდ დაზიანებულია. მისი პროგრამა ლაკონიურია: საკურთხევის აფსიდში — „ვედრება“, მოციქულთა ნახევარფიგურები და ეკლესიის მამათა გამოსახულებები. კამარაზე — ოთხი წინასწარმეტყველი და ძალზე დაზიანებული მეფის პორტრეტი (იდენტიფიცირებულია როგორც დავით ნარინი, ან ვახტანგ II). კედლებზე „აბრაამის სტუმართმოყვარობა“, წმინდა მეომართა ფიგურები, მაცხოვრის ნახევარფიგურის წინაშე მდგომარე დავით ნარინის სამეფო პორტრეტი და დავით ნარინის სამონაზვნო პორტრეტი. ორივე გამოსახულებასთან იკითხება წარწერა: „მეფეთ მეფე დავით ძე რუსუდანიისი.“ კარის ლბუნეტსა და წირთხლში წმინდა დედათა ფიგურები. გამოსახულებებს ახლავს ასომთავრული წარწერები. მოხატულობის პროგრამა ესჭატოლოგიური ხასიათისაა. გამოსახულებათა ურთიერთმიმართებით განკითხვის დღის მოლოდინი და სულის შენდობისთვის ზრუნვაა გამოხატული. მოხატულობა ტიპიურად პალეოლოგოსური სტილის ძეგლია. დამახასიათებელია გამოსახულებათა ექსპრესიულობა, პროპორციათა და ფორმათა უტრირება, მკვეთრი შუქ-ჩრდილით მოდელირება, მარაოსებრი გამოთეთრებები სახეზე, ცივი და კონტრასტული კოლორიტი, ფერადოვანი ლაქების თეთრათი ინტენსიური მოდელირება. მოხატულობა XIII საუკუნის ერთადერთი მკაფიოდ გამოხატული პალეოლოგოსური სტილის ქართული ძეგლია, რომელსაც პარალელები XIV საუკუნის პალეოლოგოსური მიმართულების ქართულ და ბაზანტიურ მხატვრობათა შორის მოეძებნება. ეგვტერის მომხატველი ოსტატები ბიზანტიური ნიმუშებით საზრდოობდნენ. დავით ნარინის ბაზანტიაში გავრცელებული ტრადიციით საფლავის ორმაგი პორტრეტის სახით გადმოცემაც ბიზანტიური ნიმუშების გამოყენებას მიუთითებს. საგვებით კანონზომიერია პალეოლოგოსური მიმართულების მოხატულობის გაჩენა გელათში, რომელიც ყოველთვის ბიზანტიურ კულტურულ ტრადიციებზე იყო ორიენტირებული. მოხატულობის დამკვეთი დავით ნარინია, რომელსაც პოლიტიკურის გარდა პირადი ურთიერთობებიც აკავშირებდა იმპერიასთან (დავით ნარინის მეუღლე მიხეილ VIII პალეოლოგოსის ან მისი

sharp shades, fan-like highlights on the face, cold and contrasting colours, intensive modelling with coloured spots of white are characteristic. The paintings are the only obvious samples of the Palaeologan art from the 13th-century which find parallels with Georgian and Byzantine Paleologan works of the 14th century. The painters of the chapel were inspired by Byzantine murals. The representation of Davit Narin in a double funeral portrait is also reflective of Byzantine influence. The appearance of Palaeologan paintings in Gelati can be easily explained by the orientation of the latter on Byzantine cultural traditions. The murals were commissioned by Davit Narin, who apart from political contacts, also forged personal relations with the Empire (the wife of Davit Narin was the daughter of Michael VIII of Palaeologos or his brother John Palaeologos. In the 13th century, the chapel was a burial place of Davit Narin and his family.

Fragments of the original murals can be discerned among the damaged sections of the paintings contemporary of Davit Narin (the altar apse, the west wall and the vault).
ill. 63-69

The porch preserves the fragments of the large composition of the Last Judgement, some parts of which are most likely contemporary with the paintings in the southeast chapel (13th century). In the late 14th century, under King Bagrat V (1360-1393), the paintings were retouched. The north wall displays King Bagrat in supplication before the Virgin. The donation is accompanied by a fairly large inscription 'God glorify the King of Kings Bagrat in both lives'. The portrait survives in a badly damaged state. It appears to have been repainted later. The iconographic programme of the paintings reflects the function of the porch as a burial chapel of Bagrat V.
ill. 70-72

The west wall of the porch, adorned with the half-figures of the Holy Martyrs, date from the 16th century.

The paintings adorning the north porch, the commemorative inscription of which can be seen on the top of the door leading from the porch to the church were presumably executed between 1578 and 1583, by the order of Bishop Anton Matsqvereli. The paintings cover the scenes from the life of St John the Baptist and the miracle of The Feeding of the Five Thousand by Christ. King Giorgi II and Queen Tamar used to be portrayed by the door leading to the northeast chapel. The portraits have been removed from the walls and are kept in the monastery. The 'academic' execution of these paintings is remarkable for its treatment of colour using a pattern with green as a dominant colour. The murals were most probably executed by a Greek master. His nationality seems likely to be evidenced by the abundance of the Greek inscriptions (the same is not the case with other murals in Gelati, although, Greek texts can be found in the naos and narthex, as well as in the south-east and north-east chapels and the church of St. George).

ძმის იოანე პალეოლოგოსის ასული იყო). XIII საუკუნეში ეგვიპტური დავით ნარინისა და მისი ოჯახის წევრთა საძვალე იყო.

დავით ნარინის დროინდელი მოხატულობის დაზიანებულ ადგილებში (საკურთხევლის აფსიდი, დასავლეთი კედელი, კამარა) პირვანდელი ფერწერის (XII ს.) ფრაგმენტები იკითხება.

სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია „განკითხვის დღის“ დიდი კომპოზიციის ფრაგმენტები, რომლის ცალკეული ნაწილები სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვიპტის მოხატულობის თანადროული (XIII ს. ბოლო) უნდა იყოს. XIV საუკუნის მიწურულს, ბაგრატ V-ის ზეობაში (1360-1393 წწ.) ეს მოხატულობა ნაწილობრივ გადაწერეს. ამავე პერიოდშია შესრულებული ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილია ღმრთისმშობლის წინაშე მავედრებელი ბაგრატ V, რომელიც დედა ღვთისას შეწირულობის აქტს გადასცემს. შეწირულობის საკმაოდ ვრცელი ტექსტი იქვე კედელზეა გამოცემული. მეფის პორტრეტს ახლავს წარწერა: „ადიდენ ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებასა მეფეთა მეფე ბაგრატ“. პორტრეტი ძლიერ დაზიანებულია. მოგვიანებით იგი საკმაოდ უხეშადაა განახლებული. სავარაუდოდ ბაგრატ V ამ კარიბჭეშია დაკრძალული. მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამაც სავსებით პასუხობს კარიბჭის, როგორც საძვალის ფუნქციას.

სურ. 70-72

კარიბჭის დასავლეთ კედელზე წმინდა მოწამეთა ნახევარფიგურები XVI საუკუნით თარიღდება.

სამხრეთ-დასავლეთი, წმ. მარინეს ეგვიპტის სადა და ემოციური მხატვრობა XVI საუკუნის საქართველოში გავრცელებული ე. წ. ხალხური ნაკადის ძირითადი ნიშნებით ხასიათდება. სხუ-ჟეტური გამოსახულებების შერჩევა (ვედრება, ჯვარცმა, გარდამოხსნა, ჯოჯოხეთის წარმოტყვევება) ცხადყოფს, რომ სათავსი საძვალედ იყო შემკული. ეს ხალხური მოხატულობა, უთუოდ, ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი სამეფო ოჯახის დაკვეთით არის შესრულებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გვიანი შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და საზოგადოების სოციალურ მთლიანობას. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედელთა შესაყარზე შემორჩენილი ქვედა ფენის მხატვრობა სამეფო ოჯახის გამოსახულებით (იკითხება მეფისწულთა სახელები: თინათინი და ვისი), სავარაუდოდ, XIV-XV ს-ში უნდა იყოს შესრულებული. მოხატულობა, სტილში გამუდავებული პალეოლოგოსური მხატვრობის გამოცდილებით და ე. წ. ხალხური ნაკადის ნიშნებით, ძალზე საგულისხმოა საქართველოში შუა საუკუნეების მხატვრობის სტილური ნაკადების (ე. წ. პროფესიული და ხალხური) მიმართების ისტორიისათვის.

სურ. 73-79

ჩრდილოეთი კარიბჭის მხატვრობა სავარაუდოდ 1578-1583 წწ-ში, ეპისკოპოს ანტონი მაწყვერელის დაკვეთით არის შესრულებული (მოსახედეები წარწერა კარიბჭიდან ტაძარში

The lower layer paintings on the door of the chapel contain an unusual representation of the crowning of King Bagrat III. The 'historical' symbolism of this scene points to the penetration of the features of modern times into the medieval Georgian culture of the 16th century. The heavenly Jerusalem presented in the scene might be perceived as a symbol implying the rescue of Golgotha Church at Jerusalem by Bagrat. Depicted to conjure up the image of Bagrat's Cathedral, it definitely reminds the viewer of Gelati being another Jerusalem and of King Bagrat III, the 'second builder' of Gelati.

Murals in the Saviour's Chapel, in the northeast, were commissioned by the Imeretian King Giorgi III (1604-1639) as an adornment of his family and ancestral burial place. Represented are: Giorgi III (mentioned as a 'painter' of the chapel in the contemporary inscription), his wife Tamar and their descendants Alexander, Bagrat, Khvaramze and Mamia in the south; the parents of Giorgi III, Constantine (son of Bagrat III) and Elene, and his brother Prince Svimon (Genateli) in the north; the portrait of King Rostom, brother of Giorgi III, in the west. The chancel of the chapel has a representation of the Deesis, while the compositions of the naos feature the Great Feasts. The paintings are remarkable for their bright colours and decorativeness. The Great Feasts follow the style of Athonian-Cretan samples, but they appear to be plainer and flatter as was traditional for Georgian art. Separately represented images show novel integrity of the lesser detailed form.

The openwork iconostasis in the chapel, with only a part of the icons preserved (The Passions, Doubting Thomas, The Harrowing of the Hell, The Last Judgement, The Holy Warriors) must have been produced in Gelati as some of the representations were obviously made in imitation of paintings adorning the church wall. The icons, as well as the templon featuring the Great Feasts, in the northwest chapel, are thought to be related to the calligraphic and painting school established in Gelati in the late 18th century by the famous ecclesiastic figure Zakaria Gabashvili. The iconostasis and the templon remain among the most significant examples of Georgian art, reflecting the transition from the Middle Ages to modern times, and indicating the strength of medieval Georgian traditions and the unity of ecclesiastic and secular arts. Some of the representations reveal the influence of European engravings. These works also show an affinity with 17th and 18th century Georgian miniatures, as well as icon paintings and woodcarvings.

ill. 84-90

The scene of The Deesis preserved on the tympanum of the door leading from the northwest porch to the church must be from the 1520s.

The paintings in St Marina's Chapel in the northwest were commissioned by Bishop Zakaria Kvariani between 1639 and 1657. The compositions mainly depict the Great Feasts. The most outstanding are the representations of Christ The High Priest and the Vision of St Nicholas in the sanctuary, and the Trinity of the Old Tes-

შესასვლელი კარის თავზეა მოთავსებული). მოხატულობის საფუძვლურ გამოსახულებები წმ. იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებისა და მაცხოვრის მიერ პურთა გამრავლების სასწაულის სცენებს მოიცავს. ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერის შესასვლელ კართან იმერეთის მეფე გიორგი II-ისა და დედოფალ თამარის პორტრეტები იყო გამოსახული (ჩამოხსნილი პორტრეტები მონასტერში ინახება). პოსტიზანტიური უაიდის „აკადემიური“ მხატვრობის შესრულება კოლორისტული გადაწყვეტით იქცევს უურადლებას (ფერადოვანი რიტმი მწვანის დომინირებაზეა აგებული). მოხატულობა, სავარაუდოდ, ბერძენი ოსტატის ნახელავი უნდა იყოს. მის წარმომავლობაზე, შესაძლოა, ქართულთან ერთად, ბერძნული წარწერების სიმრავლეც მიგვითითებს, თუმცა სხვა გელათურ მოხატულობებში ზედაწერილების ენა (ბერძნულს ვნახავთ ღმრთისმშობლის ტაძრის მთავარ სივრცეშიც, მაგ., საკურთხეველში, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერებშიც, წმ. გიორგის ეკლესიაშიც) მხატვრის წარმომავლობაზე ვერაფერს გვეტყვის.

მხატვრობის ქვედა ფენაზე ეგვტერის კართან ბაგრატ III-ის მეფედკურთხევის უჩვეული იკონოგრაფიის სცენაა წარმოდგენილი. მისი „ისტორიული“ სიმბოლიკა XVI ს-ის ქართულ შუასაუკუნოვან კულტურაში ახალი დროის ნიშნების შექონვის დასტურია. სცენაში გამოსახული ზეციური იერუსალიმი შესაძლოა ბაგრატის მიერ იერუსალიმის გოლგოთის ტაძრის გამოხსნას მიუთითებდეს, ზეციური იერუსალიმის გამოსახულებაში აშკარად საცნობი გელათის ტაძარი გელათის მეორე იერუსალიმობასაც ახსენებს მხილველს და მეფე ბაგრატ III-ის „მეორე აღმაშენებლობასაც“.

სურ. 80

ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი, მაცხოვრის ეგვტერი იმერეთის მეფის, გიორგი III-ის (1604-1639) დაკვეთით მოხატა როგორც მისი ოჯახის საძვალე. სამხრეთით გამოსახულნი არიან: გიორგი III (თანდართულ წარწერაში იგი ეგვტერის მომხატველად იხსენიება), მისი მეუღლე თამარ, შვილები ალექსანდრე, ბაგრატ, ხვარამზე და მამია; ჩრდილოეთით — გიორგი III-ის მშობლები კონსტანტინე (ბაგრატ III-ის ძე) და ელენე, და ძმა ბატონიშვილი სვიმონი (გენათელი); დასავლეთით მისივე ძმის, მეფე როსტომის პორტრეტია. ეგვტერის საკურთხეველში ვედრების გამოსახულება, დარბაზის საფუძვლურ კომპოზიციები კი საუფლო დღესასწაულებს წარმოადგენს. მოხატულობა უღერადი ფერადოვნებითა და დეკორატიულობით გამოირჩევა. საუფლო სცენებისათვის XVI ს-ის ათონურ-კრეტული ნიმუშებია გამოყენებული, რომლებიც ქართული მხატვრობისთვის ტრადიციულად არის გასადავებულ-გასიბრტყოვნებული. აღსანიშნავია ცალკემდგომ გამოსახულებებში გამუდავებული ფორმის ახლებურად გამთლიანების ნიშნები.

ეგვტერის ხის ჭვირული იკონოსტასი, რომლის

tament on the west wall of the naos. Among the saints, the figure of St Nino can also be seen. The portrait of the bishop himself is shown on the north wall, by the apse. The style of the painting points to the penetration of the so-called 'vernacular' elements in the professional painting of the 17th century. 'Swollen' forms of the figures and the use of a pink hue in the treatment of the body attests to the emergence of the traits of new realism. The paintings adorning the chancel are contemporary with the chapel, while the templon, as well as the iconostasis in the northeast chapel, were most probably made in Gelati in the 1770s.

The south arch preserves badly damaged paintings in the lower layer with the images of the Holy Women, which date from the 13th century.

ill. 91-93



The church was a burial place of the royal family of the Bagrationis, Western Georgian catholicoses and Gelati bishops. According to written sources, apart from the grave of Davit Aghmashenebeli, it also contained the graves of the following Georgian monarchs: Demetre I (1125-1156), Giorgi III (1156-1184), Tamar (1184-1213), Giorgi IV Lasha (1213-1223), Rusudan (1223-1245), Vakhtang II (1289-1293), Davit IX (1346-1360), and Bagrat VI (1463-1478). Several kings of Imereti were also buried here, including Alexandre II (1484-1510), Giorgi II (1565-1585), Bagrat IV (1660-1681). Unfortunately, all these graves are lost. The graves of Rostom I (1590-1604), Giorgi III (1604-1639) and Giorgi VI (1703-1713, †1720), all kings of Imereti, are to be found in the Chapel of the Saviour. Davit VI Narin (1245-1293) was buried in the Chapel of St Andrew the First-Called. Nearby are the graves of the king of Imereti, Alexandre V (1722-1752) and of his wife Mariam (†1742). The narthex shelters the graves of the king of Imereti, Alexandre III (1639-1659), his wife Nestan-Darejan (†1668), archimandrites Svimon Tsulukidze (†1852) and Serapion Akhvlediani (†1911). The chamber next to the narthex houses the grave of Bishop Gedeon Lortkipanidze (†1623), while the grave of Catholicos Zakaria (Kvariani, 1657-1660) can be seen in the north porch. The church itself contains the graves of the Imeretian kings Solo-

ხატთაგან მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი (მაცხოვრის ვნებები, თომას ურწმუნოება, ჯოჯოხეთის წარმოტყვევება, განკითხვის დღე, წმ. მეომრები), უთუოდ, გელათშია შესრულებული (ცალკეულ გამოსახულებებში აშკარად ჩანს ნიმუშად ტაძრის მხატვრობის გამოყენება). ხატები, ისევე, როგორც ჩრდილო-დასავლეთი ეგვტერის ტემპლონი (გამოსახულია საუფლო დღესასწაულები), 1770-იან წწ-დან მონასტერში დამკვიდრებული ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ზაქარია გაბაშვილის მიერ შექმნილ კალიგრაფიულ და სამხატვრო სკოლას უნდა უკავშირდებოდეს. იკონოსტასი და ტემპლონი შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდამავალი ხანის ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშებია, რომლებიც ქართული შუასაუკუნოვანი ტრადიციების სიმყარესაც ცხადყოფს და საეკლესიო და საერო ხელოვნების მთლიანობასაც, ცალკეული გამოსახულებებისათვის აშკარაა ევროპული გრავირებით ხელმძღვანელობა. აღსანიშნავია თვალსაჩინო კავშირი XVII-XVIII სს-ის ქართულ მინიატურებთან, ხატწერასა და ხეხეკეთილობასთან.

სურ. 84-90

ჩრდილო-დასავლეთი კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის ტიპაზში შემორჩენილი ევდრების გამოსახულება 1520-იან წწ-ში უნდა იყოს შესრულებული.

ჩრდილო-დასავლეთი, წმ. მარინეს ეგვტერი ზაქარია ჭვარიანის ნებით არის მოხატული, მისი ეპისკოპოსობისას, 1639-1657 წწ-ში. მოხატულობის სბუჟეტური კომპოზიციები, ძირითადად, საუფლო დღესასწაულებს მოიცავს. აღსანიშნავია საკურთხეველში წარმოდგენილი ქრისტე მღვდელმთავარი და წმ. ნიკოლოზის ხილვა, და დარბაზის დასავლეთ კედელზე გამოსახული ძველი აღთქმის სამება, წმინდანთა შორის წმ. ნინოს ფიგურაცაა. თავად ეპისკოპოსის პორტრეტი ჩრდილოეთ კედელზე, აფსიდთან არის გამოსახული. მოხატულობის სტილი XVII ს-ის პროფესიულ მხატვრობაში ე. წ. ხალხური ელემენტების შესვლის მაგალითია, ფიგურათა „დაბერილი“ ფორმები და სხეულის დამუშავებაში ვარდისფერი ტონის გამოყენება ახლებური კონკრეტულობის ნიშნების გაჩენასაც ცხადყოფს. კანკელის მოხატულობა ეგვტერის თანადროულია, ტემპლონი, ისევე, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერის იკონოსტასი, 1770-იან წწ-ში უნდა იყოს გელათშივე შესრულებული. სამხრეთით თაღში შემორჩენილი ჭვედა ფენის ძლიერ დაზიანებული მხატვრობა წმ. დედათა გამოსახულებებით XIII ს-ით თარიღდება.

სურ. 91-93

ტაძარში ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისა და გენათელი ეპისკოპოსების საძვალეს წარმოადგენდა. წერილობით წყაროთა ცნობებით აქ, გარდა დავით აღმაშენებლისა, განისვენებენ გაერთიანებული საქართველოს მეფეები დემეტრე I (1125-1156), გიორგი III (1156-1184), თამარი (1184-1213), გიორ-

mon I (1752-1784) and Solomon II (1789-1810, †1815), whose remains were transferred from Trabzon in 1990, and Bishop St Gabriel (Kikodze, †1896).

CHURCH OF ST GEORGE

— Over the years, the main church of Gelati extended to incorporate new buildings. In the first half of the 13th century, the Church of St George was erected to its east. The architecture of this church is a smaller copy of the main church, though it shows some departures from the original, such as more elevated proportions, which affiliates it with the typical samples of Georgian architecture of the 12th and 13th centuries. Unlike the main church, it has no gallery, while the dome rests on two round monolithic columns. The three-arched porch to the west is almost of the same date. The church façade is characterised by more lavish adornment – although only the altar apse is embellished with an arcade. The west and southwest windows, as well as some other details, are ornamented. The Church of St George was damaged during the 1510 invasion by the Turks but was renovated by King Bagrat III. The small chapels arranged at the south and north edges of the porch are of a later period. A painted sculpture of St George can be seen in a niche on the west façade of the porch which, according to the inscription, was carved by the priest Ioanne Bakhtadze (†850), whose grave survives in the churchyard, towards the northwest corner of the church.

Originally, St George's was built as a 'Queen's' church, which was most likely a praying chapel or a burial place of the queens of Georgia and later those of Imereti. Under Catholicos Evdemon Chkhetidze (557-1578), after the transfer of the see of the Bitchvinta Catholicos to Gelati, the church became a cathedral. King Bagrat III (1510-1565), his wife Queen Elene, and Catholicos Evdemon Chkhetidze (1557-1578) were buried in the Church of St George. The exact location of the graves remains unknown.

ill. 167-175

The walls of the church were painted in 1565/69-1583 by order of the Catholicos Evdemon I Chkhetidze and King Giorgi II. The painting programme highlights the importance of the church as a cathedral and royal burial place: the dome is taken up by the theme of the Glory of Christ; the conch depicts the Nikopeia-type Virgin flanked by the apostles Peter and Paul; the apse and the chancel bay feature the themes of the eucharistic sacrifice and the resurrection (The Three Children among the Prophets, The Harrowing of Hell, The Myrrhbearing Women at Christ's Tomb, the Amons). Along with the extended cycle of the Great Feasts, scenes from the life of St George are also displayed. Among the figures of the prophets and saints, the Georgian martyrs Davit and Constantine can be observed. The lower register of the paintings is almost fully dedicated to secular portraits: King Giorgi II, Queen Tamar and Prince Alexan-

გი IV ლაშა (1213-1223), რუსუდანი (1223-1245), ვახტანგ II (1289-1293), დავით IX (1346-1360), ბაგრატ VI (1463-1478); იმერეთის მეფეები ალექსანდრე II (1484-1510), გიორგი II (1565-1585), ბაგრატ IV (1660-1681), მაგრამ მათი საფლავები დაკარგულია. მთავარი ტაძრის მაცხოვრის ეგვტერში დაკრძალულნი არიან იმერეთის მეფეები როსტომ I (1590-1604), გიორგი III (1604--1639) და გიორგი VI (1703-1713, ქ.1720). წმ. ანდრია პირველწოდებულის ეგვტერში დაიკრძალა დავით VI ნარინი (1245-1293). აქვეა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-სა (1721-1752) და მისი მეუღლის დედოფალ მარიამის (ქ.1742) საფლავები. ტაძრის ნართექსში დაკრძალულნი არიან იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1659), მისი მეუღლე დედოფალი ნესტან-დარეჯანი (ქ.1668), არქიმანდრიტები სვიმონი (წულუკიძე, ქ.1852) და სერაპიონი (ახვლედიანი, ქ.1911), ნართექსის ჩრდილოეთიდან მიმდებარე სათავსოში — ეპისკოპოსი გედეონი (ლორთქიფანიძე, ქ.1623), ჩრდილოეთის კარიბჭეში — კათალიკოსი ზაქარია (ჭვარიანი, 1657-1660). შიგ ტაძარში არის იმერეთის მეფეების სოლომონ I-სა (1752-1784) და სოლომონ II-ს (1789-1810, ქ.1815, გადმოასვენეს ტრაპზონიდან 1990 წ.) და ეპისკოპოს გაბრიელის (ჭიქოძე, ქ.1896) საფლავები.

წმინდა გიორგის ტაძარი

— დროთა განმავლობაში გელათის მთავარ ტაძარს რამდენიმე შენობა დაემატა. XIII საუკუნის პირველ ნახევარში მის აღმოსავლეთით აშენდა წმ. გიორგის ეკლესია. მისი არქიტექტურა შემცირებული ზომით იმეორებს მთავარი ტაძრისას, ოღონდ უფრო შემადლებული პროპორციებით, რითაც ის უფრო ახლოსაა XII—XIII საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში მიღებულ ნორმებთან. ტაძრისგან განსხვავებით, აქ არ არის პატრონიკე, ხოლო გუმბათი რვაწახნაგა მონოლითურ ბურჯებს ეყრდნობა. დაახლოებით თანადროულია ეკლესიის დასავლეთი სამთაღიანი კარიბჭე. ამას გარდა, აქ მეტია საფასადო სამკაულიც — თუ თაღნარი მხოლოდ საკურთხეველის აფსიდს დაუყვება, სამაგიეროდ მოჩუქურთმებულია დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის სარკმლები, ზოგი სხვა დეტალიც. წმ. გიორგის ეკლესია დაზიანდა 1510 წელს, როცა გელათი გადაწვეს შემოსეულმა თურქებმა. შენობა ბაგრატ III-მ შეაკეთა. კარიბჭის სამხრეთ და ჩრდილოეთ კიდეებში მოწყობილი პატარა ეგვტერები კიდევ უფრო გვიანდელი ხანისაა. კარიბჭის დასავლეთ ფასადზე ნიშაში ჩადგმულია წმ. გიორგის პატარა შელებილი ჭანდაკება, რომელიც, წარწერის მიხედვით, დაუკვეთავს მღვდელ იოანე ბახტაძეს (ქ.1850). მისი საფლავი იქვეა, ეზოში, ეკლესიის ჩრდილოდასავლეთ კუთხესთან.

თავიდან წმ. გიორგის ეკლესია „სადედოფლო“ იყო, ე. ი. საქართველოს (მოგვიანებით — იმერეთის) დედოფალთა სალოცავს ან, იქნებ განსასვენებელს წარმოადგენდა. კათალიკოს ევდემო-

dre in the north arm; Catholicos Evdemon I, King Bagrat III and Queen Elene in the south arm; Constantine and Teimuraz, sons of King Bagrat III, in the area between the southwest and northwest arms. The paintings make lavish use of ornamental motifs.
ill. 176-194

The high level of professionalism affiliates these paintings with the best samples of oriental Christendom and of Mount Athos. They are characterised by signs of Post-Byzantine style and essentially rely on late Palaeologan art. Meanwhile, the relatively laconic representation and tectonic compositional structure are indicative of local traditions. The paintings reveal a certain similarity with contemporary paintings in the churches at Akhali Shuamta, Matani, Alvani and Nekresi, commissioned by Levan, King of Kakhetians (East Georgia), and the adornment of the main church executed by order of Giorgi II.
ill. 176-194

The badly damaged murals in the southwest chapel featuring The Ascension, images of the saints and an unknown donor, date from the first half of the 13th century.

CHURCH OF ST NIKOLAS

— The Church of St Nicholas, standing 10 metres to the west of the main church, dates from the late 13th century. The church is two-storeyed, which makes it different from the majority of Georgian churches. All four walls of the lower level consist of arches, supported by corner piers. For this reason, the building, in old records, is referred to as a “four-columned church”. Tall single arches intersect the latitudinal walls and double arches, the longitudinal walls. In the middle, each of them rests on a smaller, cruciform pier. The upper floor is a small domed church. Although based on a cruciform plan, the church has very short cross-arms. Only the altar apse, adorned with a blind arcade, projects sharply forming a pentagon from the outside. The windows are furnished with neatly profiled frames, and the arms have tiny flat arched between them, the latter presumably being the most original plastic adornment of the church. Originally, the church must have been accessed through a wooden staircase. A stone stairway leading to the north seems to be of a later date.
ill. 199-200

In the 16th century, the Church of St Nicholas was granted to the Ksani Eristavis. In 1650, when Russian ambassadors arrived in Gelati, the church had already been neglected. In 1770, it was restored by Catholicos Ioseb and later, in 1787, by Metropolitan Ekvtime.
ill. 199-200

ნის (ჩხეტიძე, 1557-1578) დროს კათალიკოსის კათედრის ბიჭვინტიდან გელათში გადმოტანის შემდეგ, ეკლესია საკათალიკოსო გახდა.
სურ. 167-175

ეკლესიის მოხატულობა 1565/69-1583 წწ-შია შესრულებული კათალიკოს ევდემონ I ჩხეტიძისა და მეფე გიორგი II-ის თაოსნობით. მხატვრობის პროგრამა ტაძრის, როგორც საკათალიკოსო საყდრისა და სამეფო საძვალის მნიშვნელობას უსვამს ხაზს: გუმბათი ქრისტეს დიდების თემას ეთმობა; საკურთხევლის კონქში გამოსახულია ღმრთისმშობელი ნიკოპეა პეტრე და პავლე მოციქულებს შორის; აფსიდსა და ბემაში ევქარისტული მსხვერპლისა და აღდგომის თემებია წარმოდგენილი (სამი ყრმა წინასწარმეტყველებს შორის, კოჯოხეთის წარმოდგენა, მენელსაცხებლე დედანი მაცხოვრის საფლავთან, მსხვერპლის თავანისცემა). ტაძრის სივრცეში საუფლო დღესასწაულთა გავრცობილ ციკლთან ერთად წმ. გიორგის ცხოვრების სცენებია გამოსახული; წინასწარმეტყველთა და წმინდანთა ფიგურებს შორის ქართველი წმინდანების — მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს გამოსახულებებიც არის. მხატვრობის ქვედა რეგისტრი, თითქმის მთლიანად, საერო პორტრეტებს ეთმობა. გამოსახულნი არიან: ჩრდილოეთ მკლავში მეფე გიორგი II, დედოფალი თამარი და უფლისწული ალექსანდრე; სამხრეთ მკლავში — კათალიკოსი ევდემონ I, მეფე ბაგრატ III და დედოფალი ელენე; სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მკლავთაშორის არეებში — ბაგრატის III-ის ძევი, კონსტანტინე და თეიმურაზი. მხატვრობაში უხვად არის გამოყენებული მრავალფეროვანი ორნამენტული მოტივები.

შესრულების მაღალპროფესიულობით მოხატულობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ათონის მთის გამორჩეულ ნიმუშებთან ამუღავნებს სიახლოვეს. იგი პოსტიზმანტიური სტილის ძირითად ნიშნებს ატარებს და, არსებითად, გვიანპალეოლოგოსურ ხელოვნებას ეფუძნება. ამავე დროს, მისი პროგრამის შედარებითი ლაკონიურობა და კომპოზიციური აგების ტექტონიკურობა ადგილობრივ ტრადიციებს ეხმიანება. მხატვრობა შესრულების თავისებურებებით გარკვეულ მსგავსებას ამუღავნებს ლევან კახთა მეფის დაკვეთით შესრულებულ, თანადროულ მოხატულობებთან (ახალი შუამთა, მატანი, ალვანი, ნეკრესი) და მთავარი ტაძრის გიორგი II-ისეულ შემკულობასთან.

სურ. 176-194

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ეგეტერში შემორჩენილი ძლიერ დაზიანებული მხატვრობა (ამაღლების სცენა, ცალკეულ წმინდანთა და უცნობი ქტიტორის გამოსახულებები) XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

წმ. გიორგის ეკლესიაში დაიკრძალნენ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565), მისი მეუღლე დედოფალი ელენე და კათალიკოსი ევდემონი (ჩხეტიძე, 1557-1578. საფლავების ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია).

BELL-TOWER

— A pool and a spring to the northwest of the main church, dating from the time of the foundation of the monastery, receives water from outside the monastery. The pool was covered with a square planned structure, open through arches on three sides. The building was altered in the second half of the 13th century to accommodate a bell-tower above it. This is one of the oldest bell-towers in Georgia, though structures of similar type and appearance, dating from the middle of the same century, can be observed in other places. A stone stairway leading to the upper floors was made in the wall. The first floor, above the spring, shelters a low, vaulted room with a fireplace and two windows. Imeretian kings sometimes used this room as a prison. For example, in 1546, King Bagrat III imprisoned Levan Dadiani, a ruler of Samegrelo, here. In the last years of his life, Catholicos Ioseb (1769-1776) enclosed himself in this room as a protest against his brother, King Solomon I, who arrested the noble, Rostom Eristavi, in breach of an earlier promise. The second floor is occupied by a tall, round arched octagonal belfry.

ill. 201-203



ACADEMY

— The Gelati churches and bell-tower, being the main structures of the monastery, create the effect of an integrated architectural ensemble due to their highly artistic arrangement and co-ordinated ornamentation of sand-coloured stonework, blind arches on the façades, and protruding apses. A large, oblong hall of rectangular plan, standing to the west of the Church of St Nicholas which, according to established opinion, sheltered Gelati Academy, fits well into this ensemble. The structure therefore dates back to the year of the foundation of the monastery and the academy. The hall is built of roughly cut stone. The west wall, which rises from the edge of a cliff, is pierced with eight large, arched windows, three of which are hidden by buttresses added

— XIII საუკუნის ბოლოს მთავარი ტაძრიდან 10-იოდე მ-ით დასავლეთით აშენდა წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ის ორსართულიანია, რაც საქართველოში საკმაოდ იშვიათია. მისი ქვედა სართული ოთხმხრივ გახსნილია თაღებით, რომლებიც კუთხის ბურჯებს ეყრდნობა. ამის გამო ძველ საბუთებში ეკლესიას „ოთხსვეტოვან საყდარს“ უწოდებენ. განივ კედლებზე თითო მაღალი თაღია, გრძივ კედლებზე ორ-ორი, ბევრად უფრო დაბალი. შუაში ისინი დამატებით თითო უფრო მცირე, ჯრისებრი გეგმის ბურჯს ეფუძნება. ზედა სართულს შეადგენს პატარა გუმბათიანი ეკლესია. მას ჯვრული აგებულება აქვს, მაგრამ მკლავები ძალიან მოკლეა, მკვეთრად არის გამოშვებული მხოლოდ საკურთხევის აფსიდი, რომელსაც გარედან ხუთწახნაგა ფორმა აქვს და დეკორატიული თაღნარი ამკობს. სარკმლების ფაქიზად პროფილირებული საპირეები ეკლება, მკლავებს შორის კი მომცრო, ზედაპირმეორევეული ჩანართებია — ალბათ, ტაძრის მშენებლის ყველაზე ორიგინალური პლასტიკური მონაფიქრი. თავიდან ეკლესიაში, როგორც ჩანს, ხის კიბით ადიოდნენ. ქვის კიბე ჩრდილოეთი მხრიდან მოგვიანებით არის მიშენებული.

XVI საუკუნეში წმ. ნიკოლოზის ეკლესია ქსნის ერისთავებს ეზოდა. 1650 წელს, როცა გელათში რუსი ელჩები ჩავიდნენ, ეკლესია მიტოვებული იყო. ის 1770 წლის ახლოს აღადგინა იოსებ კათალიკოსმა და შემდეგ კიდევ ერთხელ 1787 წელს — ექვთიმე მიტროპოლიტმა.
სურ. 199-200

სამრეკლო

— მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით მონასტრის დაარსების დროიდან არსებობდა აუზი და წყარო, რომელიც მონასტრის გარედან გამოჟვანილი წყლით მარაგდებოდა. ის გადახურული იყო სამ მხარეს თაღებით გახსნილი კვადრატული გეგმის ნაგებობით. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ნაგებობა გადაკეთდა და მასზე სამრეკლო დაშენდა — ჩვენს ქვეყანაში ერთი უძველესთაგანი, თუმც იმ ტიპისა და ზოგადი იერის, როგორსაც თავიდან, იმავე XIII საუკუნის შუა ხნიდან სხვაგანაც ვხედავთ. ჩრდილოეთი კედლის სისქეში მოეწყო ზედა სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. წყაროს ზემოთ, მეორე სართულზე კამარით გადახურული დაბალი ოთახია ბუხრითა და ორი მცირე სარკმლით. იმერეთის მეფეები ამ ოთახს ზოგჯერ საპურობილედ იყენებდნენ — 1546 წელს აქ გამოამწვედია ბაგრატ III-მ დატყვევებული ლევან დადიანი. ამ ოთახში გამოიკეტა სიცოცხლის ბოლო წლებში იოსებ კათალიკოსი (1769-1776) მას შემდეგ, რაც მისმა ძმამ მეფე სოლომონ I-მა ფიცი გატეხა და შეიპყრო იოსების მიერ შემორიგებული განდგომილი

later, and which command a spectacular view of the gorge. The east wall has three doors, the central one being the largest. A broad area for seating runs along the walls, above which niches can be observed. The hall probably had a vault later replaced by a timber roof, of which, unfortunately, nothing remains.

At the turn of the 14th century, an arched porch was added to the central entrance, which is to the east of the building. Covered by a highly ornate scalloped vault, its arches rest on very low quatrefoil piers in the form of bundled shafts, and are adorned with different ornaments and topped with wide, massive capitals, the northeastern of which bears the carved image of a lion on its western face. An ornamental rosette, framed with a thick fillet, can be seen above the arch on the east façade of the porch. The academy used to have another porch to the west, of which only ruined walls remain.



ეკლესია გელათის მიდამოებში
Small church near the Gelati monastery

In the 16th century, the hall was converted into a refectory, in which in 1651 Alexandre III, king of Imereti, arranged a feast for Russian ambassadors. In the early 19th century the building collapsed, after which it was neglected. Conservation and partial restoration works were carried out between 1962 and 1963.
ill. 204-206

To the north of the academy can be found the remains of a small rectangular structure built of rubble stone, which probably served as an oil press; to the south stands the single-storey house of Bishop, St Gabriel Kikodze, built by Isidore Berekashvili between 1893 and 1894. In 1882, another house was built by Levan, Mose, Grigol and Simon Berekashvili to the north of the church, over the ruins of a medieval structure.

GATE

— A wall, presumably of the same age as the monastery itself, encloses the monastery premises, which cover an area of four hectares. This is the wall from which, according to tradition, King Davit Aghmash-

თავადი როსტომ ერისთავი. მესამე სართულს შეადგენს საკუთრივ სამრეკლოს მრგვალი, რვა, ჩვეულებსამებრ გარედან ლილვებზემოვლებული, თალით გახსნილი მაღალი ფანჩატური. სურ. 201-203

აკადემია

— გელათის მონასტრის ძირითადი ნაგებობები — ეკლესიები და სამრეკლო მხატვრულად გააზრებული განლაგებისა და მსგავსი გაფორმების (ქვიშისფერი ქვის პერანგი, საფასადო დეკორაციული თალები, წახნაგოვანი შვერილი აფსიდები) წყალობით ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან. მასში კარგად ეწერება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით მდგარი წაგრძელებული მართკუთხა გეგმის დიდი დარბაზიც, რომელშიც, დამკვიდრებული აზრით, გელათის აკადემიის შენობად ითვლება. შესაბამისად, ის მონასტრისა და აკადემიის დაარსების ხანით თარიღდება. დარბაზი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. დასავლეთ კედელში, რომელიც ქარაფის პირზეა აღმართული, რვა დიდი თაღოვანი სარკმელია (სამი მათგანი გარედან დაფარულია მოგვიანებით მიშენებული კონტრაფორსებით). აქედან ფართო ხედი იხსნება ხეობაზე. მოპირდაპირე აღმოსავლეთ კედელში გაკეთებულია სამი კარი, რომელთაგან შუა გვერდითზე ბევრად დიდია. მის ჩრდილოეთით მდებარე კარს ახლა მასიური კონტრაფორსი ფარავს. შიგნით კედლების გასწვრივ მოწყობილია ფართო დასაჯდომი, ხოლო მის ზემოთ ნიშებია გაკეთებული. თავიდან დარბაზს, ალბათ, კამარა ხურავდა. მოგვიანებით ის ხის კოჭოვანი გადახურვით შეცვალეს. ამჟამად გადახურვა მთლიანად ჩანგრეულია.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აღმოსავლეთი ცენტრალური შესასვლელის წინ აკადემიას მიაშენეს თაღოვანი კარიბჭე. ის გადახურულია უხეშად მოჩუქურთმებული ვარსკვლავისებრი კამარით. თალები ეყრდნობა ოთხ ძალიან დაბალ ბურჯს, რომლებსაც ფართო მასიური კაპიტელები ადგას. ყოველი ბურჯი წარმოადგენს ოთხი სვეტის კონას და სხვადასხვაგვარადაა გაფორმებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის კაპიტელის დასავლეთ წახნაგზე გამოკვეთილია ლომის ფიგურა. კარიბჭის აღმოსავლეთ ფასადზე თაღის ზემოთ ორნამენტული ვარდულია მსხვილი ლილვით გამოყვანილ ჩარჩოში, რომლის ფორმა ფრონტონის მოხაზულობას შეესაბამება. დასავლეთიდან აკადემიას ჰქონდა მეორე კარიბჭეც, რომლისგანაც კედლების ნაწილი შემორჩა.

XVI საუკუნიდან აკადემიის დარბაზი მონასტრის სატრაპეზოს დანიშნულებას ასრულებდა. 1651 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ აქ გაუმართა პურობა რუს ელჩებს. XIX საუკუნის დასაწყისში შენობა ჩაინგრა და მას შემდეგ აღარ გამოიყენებოდა. 1962-63 წლებში მას ჩაუტარდა კონსერვაციისა და ნაწილობრივი რესტავრაციის

enebeli once fell during one of his visits to watch the progress of the construction works. The wall, which was repaired by Isidore Berekashvili between 1895 and 1896, also serves as a retaining wall in the north and, partly, in the west. It is furnished with two gates. Having undergone numerous alterations, the southern gate, which is of an earlier date, has taken on the shape of an elongated, vaulted passage with wide, open arches to the north and south. In the centre is the grave of Davit Aghmashenebeli, whose huge tombstone is carved with the following inscription: 'This is my resting place forever: here will I dwell for I desired so'. The stone is positioned so that those who wish to enter the porch have to step onto it. Tradition holds that this was the wish of King Davit himself. In the late Middle Ages it served as a Chapel of St Demetre. Above the passage is a low first floor.

Preserved in the gate is an iron door which, according to its Arabic inscription, was commissioned by the Emir of Gandza Abu-I-Asvari (1029-1067) and constructed in 1062 by the blacksmith Al-Hadad Ibrahim. It was presented to Gelati by the Georgian king, Demetre I, who took it as a trophy in 1139, during a campaign in Gandza. The king's name could be seen in a Georgian inscription on the second half of the door. Unfortunately, this part of the door was badly damaged in the 1770s, but fragments of the inscription survive.

The paintings in the gate survive in fragments. Together with the separately standing figures, and the Great Feasts of the Nativity and the Raising of Lazarus, the representations of the miracle of the Calming of the Sea by Christ and the Tree of Jesse, are also remarkable. The paintings reveal similarity with the murals in the west arm of the main church, which allows to date them as belonging to the second half of the 17th century. ill. 214-216

Another gateway on the north-eastern side, which is smaller, has served as the main entrance to the monastery ever since the 17th century.

INVIRONS OF THE MONASTERY

— The environs of Gelati Monastery preserve numerous historical sites. East of the monastery, towards the motorway, stands the Church of the Virgin, known as 'the Spring of Life'. It has plain façades, constructed of hewn blocks, and only one door, which faces west. About 10 metres to the south of the church is a well, which leads down to a central cistern, the water pipes of which probably of the same age as the monastery, and the cistern us is an underground chamber made of stone, which receives spring water from the cliff rocks. From here the water drains through narrow, 180 metre long pipes which lead to the monastery. During the 1903 renovation, 'the Spring of Life' was repaired and the original clay pipes were replaced with ones of glazed clay. In the village it is also called St Marina's. It

სამუშაოები.
სურ. 204-205

აკადემიის ჩრდილოეთით ნატეხი ქვით ნაგები მომცრო მართკუთხა შენობის (სავარაუდოდ ზეთსახდელის) ნაშთია, სამხრეთით — გაბრიელ ეპისკოპოსის ერთსართულიანი სახლი, რომელიც 1893-1894 წლებში ააგო ისიდორე ბერეკაშვილი. სახლი მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით 1882 წელს დააშენეს შუა საუკუნეების ნაგებობის ნაშთზე ლევან, მოსე, გრიგოლ და სიმონ ბერეკაშვილებმა.

მონასტრის ბჭი

—— მონასტრის ეზოს (ფართობი — 4 ჰა) ფარგლავს მაღალი გალავანი, რომელიც სავარაუდოდ მონასტრის თანადროულია. გადმოცემით, მშენებლობის სანახავად მოსული დავით აღმაშენებელი ერთხელ კიდევ გადმოგარდნილა გალავნიდან. 1895-1896 წლებში ისიდორე ბერეკაშვილი. ჩრდილოეთ და ნაწილობრივ დასავლეთ მხარეს გალავანი საყრდენი კედლის ფუნქციასაც ასრულებს. გალავანში ორი კარიბჭეა დატანებული. მათგან უფრო ძველია სამხრეთისა, რომელიც მრავალი გადაკეთების შემდეგ წარმოადგენს ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ფართო თაღებით გახსნილ გრძელ კამაროვან გასასვლელს. მის შუა ნაწილში მდებარეობს დავით აღმაშენებლის საფლავი ზედ ამოკვეთილი წარწერით: „ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს ამას დავემკვიდრო მე“. საფლავის უზარმაზარი ქვა განივად დევს გასასვლელში ისე, რომ კარიბჭეში შემსვლელმა მასზე უნდა გადაიაროს — გადმოცემით, ასეთი იყო დავითის სურვილი. გვიან შუა საუკუნეებში აქ წმ. დემეტრეს სამლოცველო იყო მოწყობილი. გასასვლელის ზემოთ არის დაბალი მეორე სართული.

კარიბჭეში ინახება რკინით მოჭედილი კარი, რომელიც, ზედ დატანილი არაბული წარწერის მიხედვით, დამზადებულია განძის ამირას აბულ-ასვარის (1029-1067) ბრძანებით მჭედელ ალ-ჰადად იბრაჰიმის მიერ 1062 წელს. საქართველოს მეფემ დემეტრე II-მ 1139 წელს განძის დალაშქრვის შემდეგ ალაფად წამოიღო და გელათს შესწირა. მისი სახელი იხსენიებოდა კარის მეორე ფრთაზე გაკეთებულ ქართულ წარწერაში (ეს ფრთა განადგურდა 1770-იან წლებში, შემორჩა წარწერის ფრაგმენტები).

კარიბჭეში შემორჩენილი მხატვრობა საკმაოდ ფრაგმენტულია. აქ წარმოდგენილ ცალკემდგომ ფიგურებთან და რამდენიმე საუფლო სცენასთან ერთად აღსანიშნავია მაცხოვრის მიერ გალილის ზღვაზე სასწაულისა და იესეს ძირის კომპოზიციათა გამოსახვა. მოხატულობა მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის მხატვრობასთან ამულავნებს მსგავსებას და, შესაბამისად, XVII ს-

was built in the 17th century and was renewed in 1903 according to an inscription containing this information carved on the west façade.

A group of structures, commonly called Sokhasteri, is located on an elevated valley 250km northeast of the monastery. It can be assumed that it originally served as a shelter for the sick, and, according to the chronicles, was built by Davit Aghmashenebeli. Later, a separate monastery appeared here. Sokhasteri has two yards, encircled by a wall. To the west of the larger one, on an elevated platform made of thick blocks, stands a small, 12th century, single-nave church faced with hewn stone. Chapels were arranged along the whole length of the building on both the south side and the north. In the 16th century, an open-arched narthex and an exonarthex were added to the west. The damaged fragments, surviving from the initial paintings, reveal traces of the donor's portrait of the so-called 'folk' trend of the 16th century and the remains of a 16th century figure.

To the north of the church is a monastic cemetery, and a three-storey residential tower stands 5 metres to the east. The southern section of a large courtyard used to be flanked with cells, but now only small ruins survive. By the 20th century, Sokhasteri was already an abandoned ruin, although the church and the tower masonry were partly restored between 1968 and 1972, the restorer being V. Tsintsadze.
ill. 217

The remains of a two-storey church can be found on a slope, 50 metres south of the grave of Davit Aghmashenebeli. The lower storey, which functioned as a burial chamber, is now completely buried and is, therefore, in a better state of preservation. The low chamber of an elongated rectangular plan is covered with a rubblestone vault. It has no windows and is lit only through a door installed in the west wall. The upper floor used to be a church of which only a few stones remain.

Beginning from the foundation of the monastery, monks lived outside it, to the south and south-east of the monastery, on a forested slope. Three small, single-nave churches were built in this area during the 12th-13th centuries. Each of them is built of roughly cut stone of various sizes, with large blocks inserted haphazardly.

The Church of St Elijah stands at 400 metres from the monastery. In the 16th century, north and east annexes were added to the original building and the main body was connected to the north part through a wide arch. The regular face-work of neatly hewn blocks of the north annex is the result of the 19th century renovation. The adornment of the west door with the blind arch above the paired engaged colonettes probably dates from the same period.

The paintings adorning the church, executed in the 16th century, reflect the 'folk' trend of Georgian murals. According to a supplicatory inscription on the west wall, the paintings were made by Giorgi Jokhtoberidze, who was also responsible for the painting of two churches

ის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.
სურ. 214-216

მეორე კარიბჭე გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უფრო პატარაა. XVII საუკუნიდან ბოლო დრომდე ის მონასტრის მთავარი შესასვლელის ფუნქციას ასრულებდა.

მონასტრის მიწა-მოვლა

— გელათის მონასტრის შემოგარენში სიძველეს მრავალი ნაშთია. მონასტრის აღმოსავლეთით, სამანქანო გზის პირას დგას ღმრთისმშობლის ეკლესია, რომელიც ცნობილია „წუარო ცხოვრებისა“-ს სახელით (სოფელში მას წმ. მარინესაც უწოდებენ). ის აშენდა XVII საუკუნეში და განახლდა 1903 წელს (ამის მაუწყებელი წარწერა დასავლეთ ფასადზეა). თლილი ფილებით მოპირკეთებული ფასადები შეუმკობელია. ერთადერთი კარი შენობას დასავლეთიდან აქვს. ეკლესიიდან 10-იოდე მ-ით სამხრეთით არის წყალსადენის სათავე ნაგებობაში ჩასასვლელი ჭა. წყალსადენი სავარაუდოდ მონასტრის დაარსების დროსვე გაკეთდა. მისი სათავე ნაგებობა წარმოადგენს ჭვით გამოყვანილ მიწისქვეშა დარბაზს, რომელშიც გროვდება კლდის ქანებიდან გამომავალი წყაროს წყალი. აქედან ის 180 მ სიგრძის ვიწრო გვირაბის იატაკში ჩაწყობილი მილებით მიედინება მონასტრისაკენ. „წუარო ცხოვრებისა“-ს ეკლესიის განახლებისას 1903 წელს შეაკეთეს წყალსადენიც და ძველი თიხის მილები მოჭიქული თიხის მილებით შეცვალეს.

მონასტრიდან 250 მ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით შემალლებულ მინდორზე მდებარეობს სოხასტერის სახელით ცნობილი ნაგებობათა ჯგუფი. სავარაუდოა, რომ თავიდან ის წამოადგენდა დავრდომილთა თავშესაფარს (ქსენონს), რომელიც, მატინეს ცნობით, დავით აღმაშენებელმა ააშენა. მოგვიანებით აქ ცალკე მონასტერი გაჩნდა. სოხასტერს აქვს გალავნით მოფარგლული ორი, დიდი და მცირე ეზო. დიდი ეზოს დასავლეთით, მსხვილი ბლოკებით ამოყვანილ შემალლებულ ბაქანზე დგას თლილი ქვით მოპირკეთებული პატარა დარბაზული ეკლესია, რომელიც XII საუკუნით თარიღდება. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკლესიას მთელ სიგრძეზე ეგვტერები ეკვრის. XVI საუკუნეში მათ დასავლეთიდან მიშენდა ნართექსი და თაღებით გახსნილი ექსონარტექსი. მოხატულობისგან შემორჩენილ დაზიანებულ ფრაგმენტებში XVI საუკუნის ე. წ. ხალხური ნაკადის საქტიტორო პორტრეტის კვალი და XVII საუკუნის ფიგურის ნაშთი ამოიცნობა.

ეკლესიის ჩრდილოეთით მონასტრის სასაფლაოა. აღმოსავლეთით ხუთიოდე მ-ზე დგას ჩანგრეული სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი. დიდი ეზოს სამხრეთ მონაკვეთს ორი მხრიდან ეკვროდა სენაკები, რომელთაგან მცირე ნაშთები

in Imereti, those at Tselkhevi and Ilemi, both bearing inscriptions.

The painting programme and the arrangement of large, widely outstretched representations is laconic and clear. The conch displays Christ in Majesty, while the naos shows six scenes from the Great Feasts: The Annunciation, The Nativity, The Presentation, The Transfiguration, The Ascension and The Crucifixion the latter being highlighted by being depicted in the second register of the west wall - and the figures of the Holy Martyrs. The lower register is taken up by full-size portraits 'standing' on the ground. The figures of Ivane Didebuli, his wife Guldami and sons Merab and Zviad, with an inscription in asomtavruli script, survive to the present day. Local traditions and motifs, typical of Post-Byzantine art, are represented with the plainness and simplicity characteristic of 'folk' paintings and atypical of the so-called 'professional' trend. The representations are plain and flat, the forms are rough, the drawing lacks refinement, and colours lack gradations, while the figures of secular persons are concretely rendered.

ill. 221-225

The nearest church, standing to the east of the monastery, is St Saba's, which is now ruined and was presumably built during the 12th-13th centuries. Inside, a large portion of the floor is taken up by graves, and there are three small niches in the apse. The apse is fitted with three shelves. The face-work stones are more faceted than those of the other two. Three plain crosses are carved above the east and south windows and on the lintel of the west door. The church has a tall, profiled cornice.



კიბე წმ. ელიას ეკლესიასთან

Small church near the Gelati monastery

Another small, single-nave church, built of roughly treated stone survives higher on the same slope. The vault and the upper portions of the walls are in ruins, and of the apseless annex which was later added to the southern end of the church, only the wall foundations survive.

An old, ruined fortress, traditionally ascribed to St Davit Aghmashenebeli, stands on 'Davit's Cape', 300 metres southwest of the monastery. Having a strategic location, this fortress used to control the main road running along

შემოინახა.
სურ. 217

XX საუკუნეში სოხასტერი მიტოვებული და დანგრეული იყო. 1968-1972 წლებში არქიტექტორმა ვ. ცინცაძემ ჩაატარა კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოები. ნაწილობრივ აღადგინეს ეკლესიისა და კოშკის საფასადო წყობა.

დავით აღმაშენებლის საფლავიდან 50 მ-ით სამხრეთით ფერდობზე არის ორსართულიანი ეკლესიის ნაშთი. ქვედა სართული, რომელიც საძვალეს წარმოადგენდა, ახლა მთლიანად მიწაშია ჩაფლული და უკეთ შემოინახა. ის შეიცავს მართკუთხა გეგმის წაგრძელებულ დაბალ სათავსს, რომელიც ნატეხი ქვის კამარით არის გადახურული. სათავსს სარკმლები არა აქვს და მხოლოდ დასავლეთ კედელში მოწყობილი კარიდან ნათდება. საკუთრივ ეკლესია შეადგენდა ზედა სართულს. ამჟამად მისგან მხოლოდ რამდენიმე ქვაა დარჩენილი.

უკვე მონასტრის დაარსების დროიდან ბერები ცხოვრობდნენ მის გარეთაც, ტუიან ფერდობზე მონასტრის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. XII-XIII საუკუნეებში აქ სამი პატარა დარბაზული ეკლესია აშენდა. სამივე ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით, ალაგ-ალაგ დიდი ლოდების გამოყენებით. მონასტრიდან 400-იოდე მ-ზე წმ. ელიას ეკლესია. XVI საუკუნეში მას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები დაამატეს და ძირითადი სივრცე ჩრდილოეთ ნაწილს ფართო თაღით დაუკავშირეს. სუფთად თლილი კვადრების რეგულარული წყობა ჩრდილოეთი მინაშენის ფასადებზე XIX საუკუნის განახლების შედეგია. ამდროინდელია დასავლეთი კარის გაფორმებაც შეწყვილებული ლილვით გამოყვანილი თაღით. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით შემოინახა კლდეზე მიშენებული რამდენიმე სათავსის ნაშთები.

ეკლესიის მოხატულობა ე. წ. ხალხური ნაკადის დამახასიათებელი ნიმუშია და XVI ს-ში არის შესრულებული. დასავლეთ კედელზე მოთავსებული სავედრებელი წარწერა ცხადყოფს, რომ ტაძრის მხატვარი გიორგი ჯოხტობერიძეა, რომლის მოხატული კიდეც ორი წარწერიანი ეკლესიაა შემორჩენილი იმერეთში — წითელხევსა და ილემში.

მოხატულობის პროგრამა და საგანგებოდ დიდი ზომის, ფართოდ გაშლილ გამოსახულებათა განაწილება უაღრესად ლაკონური და მკაფიოა. საკურთხევლის კონქში უფლის დიდებაა გამოსახული, დარბაზში — ექვსი საუფლო სცენა (ხარება, შობა, მირქმა, ფერისცვალება, ამაღლება და, დასავლეთი კედლის მეორე რეგისტრში მოთავსებით გამორჩეულად აქცენტირებული, ჯვარცმა) და წმ. მოწამეთა ფიგურები. ქვედა რეგისტრს, მთლიანად, იატაკის დონეზე „მდგომ“ ქტიტორთა ნატურალური ზომის პორტრეტები მოიცავს — გამოსახულთაგან შემორჩენილია

the Tsqaltsitela Gorge. It consists of a round tower built of large stones, a vaulted stockroom and a small cistern of rectangular plan, the inside walls of which are plastered with waterproof mortar. It is assumed that the fortress was destroyed during the 1759 invasion of the Lezgians, since which it has not been restored.

Nine old bridges can be found within the environs of Gelati, which are in various degrees of preservation. Of these, five are on the Tsqaltsitela River, three on the Korena and one on the Sakire stream. A 17th century three-span bridge on the Tsqaltsitela, renewed around 1850 by the priest Ioane Bakhtadze, is notable for its size. The bridge collapsed in 1888 and was finally taken away by flood water in 1968. Only the piers of the structure survive. A single-span bridge on the Korena, 3.5 kilometres northwest of the monastery, is in a better state of preservation.

ill. 210



St John Chrysostom. A Commentary on St John's Gospel

Parchment
45x30cm
1048
KMHE

The comments on the New Testament, by St John Chrysostom, being one of the most authoritative in all Christendom, was translated into Georgian by St Eptvime Mtatsmindeli (Eptvime of Mtatsminda) in the early years of the 11th century. The copy of the manuscript, preserved in Gelati, was commissioned by Liparit Eristavi to a certain Gabriel, in Manglisi. The former is identified with the Eristavi or governor of Kldekari, Liparit Baghvashi, who was a rival of Bagrat IV, the grandfather of King Davit Aghmashenebeli, and one of the tutors of his father, King Giorgi II. Bound in a leathered wood cover, the codex, is written in nuskhuri (minuscule) script, and is arranged in two columns. The manuscript is plain - only the asomtavruli (old Georgian capital) letters and initial letters of the paragraphs are highlighted in vermilion.

ივანე დიდბულის, მისი მეუღლე გულდამის და ვაჟების, მერაბასა და ზვიადის ფიგურები თანმხლები ასომთავრული წარწერებით. მოხატულობაში პოსტიზანტიური ხელოვნებისათვის ტიპური მოტივები და მხატვრული ხერხები ე. წ. პროფესიული ნაკადისგან არსებითად განსხვავებული, „უბრალე“ ხედვით არის გარდასახული, რაც „ხალხური“ მოხატულობების საერთო ნიშანია. გამოსახულებები ხაზგასმით სადა და სიბრტყოვანია, ფორმები — მოუხეშავი, ნახატი — სინატიფეს მოკლებული, ფერადოვანი ლაქები — ლოკალური, საერო პირთა ზოგად ტიპში კი თვალშისაცემი კონკრეტულობა გამოსჭვივის. სურ. 221-225

მონასტერთან ყველაზე ახლოს მდებარე წმ. საბას ეკლესია ახლა ჩანგრეულია. შიგნით იატაკის დიდი ნაწილი საფლავებს უკავია. აფსიდში სამი თახჩაა. გარე პერანგის ქვები სხვა ორ ეკლესიასთან შედარებით აქ უფრო დაკუთხვილია. ფასადებზე გამოკვეთილია სამი სადა ჯვარი: აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლების თავზე და დასავლეთი კარის ზღუდარზე. ეკლესიას აქვს თაროს პროფილის მაღალი კარნიზი.

ამავე ფერდობზე, უფრო მაღლა არის კიდევ ერთი პატარა დარბაზული ეკლესია. მისი კამარა და კედლების ზედა ნაწილები ჩანგრეულია. ეკლესიას სამხრეთიდან ჰქონდა უფრო გვიანდელი უაფსიდო მინაშენი, რომლისგანაც მხოლოდ კედლის ძირი დარჩა.

მონასტრიდან 300-იოდემ-ითსამხრეთ-დასავლეთით, დავითის კონცხზე არის XII საუკუნის ციხე, რომლის აგება ტრადიციით დავით აღმაშენებლის მიეწერება. სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ციხე, რომელიც წყალწითელას ხეობაში გამავალ მთავარ გზას აკონტროლებდა, მოიცავს კარგად დამუშავებული დიდრონი ქვებით ნაგებ მრგვალ კოშკს, საკვების შესანახ კამაროვან სათავსს და მართკუთხა გეგმის პატარა ცისტერნას, რომლის კედლები შიგნით წყალგაუმტარი ხსნარით არის შელესილი. წყალი ცისტერნას მიეწოდებოდა კერამიკული მილების წყალსადენით. ციხე, როგორც ჩანს, დაინგრა 1759 წელს ლეკების შემოსევის დროს და მას შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

გელათის მიდამოებში ცხრა მეტნაკლებად შემონახული ძველი ხიდია, ხუთი — მდ. წყალწითელაზე, სამი — მდ. ჭორენაზე და ერთი, პატარა — საკირის ლელეზე. თავისი ზომებით გამოირჩევა სამშალიანი ხიდი წყალწითელაზე, რომელიც XVII საუკუნეში აიგო, 1850 წლის ახლოს კი ის მღვდელმა იოანე ბახტაძემ განაახლა; 1888 წელს ხიდი დაინგრა და საბოლოოდ 1968 წელს ადიდებულია მდინარემ წაიღო. ახლა მისგან მხოლოდ ბურჯებია შემორჩენილი. უკეთ შემოინახა ერთმალისანი ხიდი ჭორენაზე მონასტრიდან 3,5 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთით.

წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანება იოანეს საბარებისა

ეტრატ

St John Chrysostom. A Commentary on Matthew's Gospel

Parchment

45x30cm

1053

KMHE

This book by St John Chrysostom was also translated by St Epvtime Mtatsmindeli, though earlier, at the end of the 10th century. It was copied by the same Gabriel again as a commission of Liparit eristavi or eristavis, though five years later and in Atsquri. Later the manuscript was kept in Katskhi Church from which it was transferred to Gelati. Similar to the comments on St John's Gospel, it is also plain its artistic value being attributed to the beauty of the writing with vermilion highlights.

St. Maximus the confessor, Works

Purchment

12th century

KMHE

Strange enough, but for quite a long spell, works, by St. Maximus, 7th c. great theologian, were not popular among the Georgians. However, in the 12th c. they were translated in Gelati, not for from the place, were St. Maximus had passed away - Lechkhumi (western Georgian highlands, which were under the Byzantine zule at that epoch).

It seems likely that the recuile was compiled by Arseni Ikaltoeli, one of the most prominent Georgian ecclesiastical figures active in Gelati, or the circle linked with him; likewise possible seems compilation of the recuile by Catholikos Nikoloz Gulaberidze, author of "Sermos on the lifegiving Pier", a treatise of particular significance for the Georgian literature, theology and historiosophy. Anyway, this humble book, written in nuskhuri script, with the remarks ("learnings" an they were called then) leaving no spare space on the margins, bears the best evidence of the particular care for the philosophical thought maintained in Gelati.

ill. 211

Dogmaticon

Parchment

33,6x25,5

13th century

KMHE

The polycephalon, entitled Dogmaticoni, uniting the works revealing the principal dogmas of Christianity and containing criticism of heretical viewpoints of the latter, was drawn up by Arsen Iqaltoeli (Arsen of Iqalto) at the turn of the 12th century. This large, 458 page book, written in nuskhuri script, indicates that such treatises were important even in later centuries to the Gelati brotherhood, including to students of the Gelati Academy.

ill. 213

45 X 30 სმ.

1048 წ.

ქიემ

წმ. იოანე ოქროპირის ახალი აღთქმის განმარტება, სამართლმადიდებლოში, ერთი ყველაზე ავტორიტეტული, XI საუკუნის პირველ წლებში წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა გადმოაქართულა. გელათში დაცული ეს ნუსხა ვინმე გაბრიელს მანგლისს გადაუწერია, ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის დაკვეთით — ეს უთუოდ კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღუაშია, დავით აღმაშენებლის პაპის, ბაგრატ IV-ის მუდმივი მეტოქე, ერთხანს კი, მამამისის, გიორგი II-ის მეურვე. ტყავგადაკრულ ხის უდაში ჩასმული, ნუსხურით ორ სვეტად ნაწერი კოდექსი სრულიად სადაა — მხოლოდ ასომთავრული სათაურები და აბზაცთა პირველი მთავრული ასოებია სინგურით გამოყოფილი. სურ. 210

წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანება მათეს სახარებისა

ეტრატე

45 X 30 სმ.

1053 წ.

ქიემ

წმ. იოანე ოქროპირის ეს თხზულებაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის ნათარგმნია, ოღონდ უფრო ადრე, X საუკუნის ბოლოს. ეს წიგნიც გაბრიელის გადანუსხულია, იმავე ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის ნებით, თუმცა ხუთი წლით გვიან და ამჯერად — აწყურში. ვიცით, რომ მოგვიანებით ხელნაწერი კაცხის ტაძარში ყოიფილა, იქიდან კი გელათს გადმოიტანეს. იოანეს სახარების განმარტების მსგავსად, ისიც სადაა, მისი მხატვრული ღირსებანიც ნაწერის სილამაზითა და სინგურის მახვილების მასთან შეფარდებით განსაზღვრება. სურ. 211

წმ. მაქსიმე აღმსარებელი, თხზულებანი

ეტრატე

XII ს.

ქიემ

VII ს-ის დიდი საეკლესიო მოაზროვნის, წმ. მაქსიმეს თხზულებებს ქართველები დიდხანს, რატომღაც ნაკლებად ეტანებოდნენ. XII ს-ში კი მისი ნაწერები აქ, გელათში ითარგმნა, არცთუ შორს იმ ადგილიდან, სადაც იგი, იმხანად ბიზანტიელთა გამგებლობაში მყოფ დასავლეთ ქართულ მთიან კუთხეში, ლეჩხუმში გარდაიცვალა. შესაძლოა, კრებული უთვალსაჩინოესი ქართველი, კერძოდ, გელათელი მწიგნობრის, არსენი იყალთოელისა თუ მისი წრის ნამუშავევია. ისიც შესაძლებელია, ის ქართული მწერლობისა, საღვთისმეტყველო თუ საისტორიო აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი თხზულების „საკითხავი სუეტისა ცხოველისანი“ დამწერის, კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერიძის ნაღვაწიც იყოს. ასეა თუ ისე, ნუსხურით ნაწერი ეს სადა წიგნი, შენიშვნებით (მაშინ იტყოდნენ, „შეისწავებთის“) აჭრელებული ოლეუ-

**Stole
Embroidery
1669-1673
KMHE**

This stole or epitrachelion, a liturgical vestment from Gelati, is, according to an inscription, a donation by Catholicos Epvtime, the latter being generally identified with Epvtime Saqvarelidze, who lived in the second half of the 17th century. It is plain with the Azma Christi and two flourishing crosses, all embroidered in silver. These laconic, plainly executed representations are supposedly related to stole symbolism, and show the two duties of priesthood, the performance of the Holy Eucharist and service to the congregation.

ill. 196-197

**Kontakion
Parchment
Dimensions: 800 x 22,3 cm.
16th century
KMHE**

This manuscript of the Divine Liturgy of St Basil and St John Chrysostom, executed in gold ink, also contains writings by St Gregory the Great. The manuscript, although copied at a later period, is executed in an ancient style, and is written on a scroll wound around a stick (kontax in Greek, which is where the Greek name of the polycephalon – Kontakion – derives). This richly adorned kontakion, possibly a special commission, is illuminated. Four of the twelve pages show representations of the Saviour, the apostles and the Last Supper, made by a skilful hand. All of them, and particularly the latter, are perceived as indicating the central theme of the Christian liturgy, the Eucharist, established during the Last Supper.

ill. 151

**The Khakhuli Triptych
Georgian work of the first half of the 12th century
Dimensions: when open – 1,47x2,02cm
Museum of Fine Arts**

The celebrated Khakhuli triptych is the most significant among the works of art making up the Gelati treasure. This harmonic ensemble is lavishly adorned with repoussé ornaments, precious and semi-precious stones, as well as numerous cloisonné enamels dating from the 8th century to the first half of the 12th century, and with painted enamel pieces attributed to the later period. The Khakhuli triptych may remind us of the famous Pala d'Oro of Venice – both of the works are truly distinguished and highly original. They find parallels neither in terms of size, of adornment, nor of brilliance. The richness of the Khakhuli triptych is also reflected in the materials of which it is made. It is amazing that the central part of such a large triptych is of pure gold.

The work was a royal commission – according to an asomtavruli inscription on the lower portion of the triptych wings – it was undertaken by King Davit Aghmashenebeli (David the Builder) and executed under the reign

ბით, გელათში ფილოსოფიური ნაფიქრისადმი გულისხუმის ერთი საუკეთესო დასტურთაგანია.

დოღმატიკონი

ეტრათი
33,5 X 25,5 სმ.
XIII ს.
ქიემ

„დოღმატიკონად“ წოდებული კრებული, რომელიც აერთიანებს ქრისტიანობის ძირითადი დოღმატების წარმომჩენ და მათზე მწვალებლური აზრების განმარტებულ თხზულებებს, XI-XII საუკუნეების მიჯნაზე არსენი იყალთოელმა შეადგინა. ნუსხურით ნაწერი ეს მოზრდილი წიგნი (458 ფ.) გვიჩვენებს, რომ ამგვარი ნაწერები გელათის საძმოსთვისაც მომდევნო საუკუნეებშიც მნიშვნელოვანი უოფილა — ალბათ, გელათის აკადემიის მოსწავლეთათვისაც. სურ. 213

ოლარი

ნაქარგობა
1669-1673 წწ.
ქიემ

ეს გელათური ოლარი, ანუ ეპიტრახილი, სამღვდლო შესამოსელის ერთი შემადგენელთაგანი, წარწერის მიხედვით, ეფთვიმე კათალიკოსის (როგორც ფიქრობენ, XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ეფთვიმე საყვარელიძის) შენაწირია. ის ძალზე სადაა, ვერცხლით ამოქარგული ვნების იარაღებიანი ორი ძლევის ჯვრის და კიდევ ორი განედლებული ჯვრის გამოსახულებებით შემკული. ეს ლაკონური, მარტივად შესრულებული სახეები, საფიქრებელია, ოლარის სიმბოლიკას უკავშირდებდა, რომელიც მღვდლობის ორ მადლს — მაცხოვრებელი ზიარების აღსრულებასა და სამწყსოსთვის ტვირთულ ღვაწლს — აღნიშნავს. სურ. 196-197

კონდაკი

ეტრათი
ზომები: 800 X 22,3 სმ.
XVI ს.
ქიემ

ოქრომელნით შესრულებული ხელნაწერი წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვათა, ასევე წმ. გრიგოლ ჰრომთა ბაბის განგების შემცველია. მოგვიანო ხანაში გადანუსხული, ფორმით ის უძველეს ჩვეულებას მისდევს, როდესაც წირვის წესი ლურსმნისებრ ჯოხზე (ბერძნულად — კონტოს, აქედან კრებულის სახელწოდება — ბერძ. კონდაკიონ, ქართ. კონდაკი) დახვეულ გრაგნილზე იწერებოდა. საგანგებოდ მდიდრულად და, ალბათ, საგანგებოდ დაკვეთით შექმნილი ეს კონდაკი დასურათებულიც არის. თორმეტი ფურცლიდან (ძველქართულად — „კეფა“) ოთხზე გაწაფული მხატვრის ნახელავი გამოსახულებებია განთავსებული — მაცხოვარი, მოციქულები და უფლის სერობა;

of his son, Demetre I (1125-1156). The commission itself was exceptional. It was essentially conceived as a triptych for a 10th century icon of the Virgin, considered to be miraculous, once kept in Khakhuli Church and later transferred to the main church of Gelati, possibly by the will of Davit Aghmashenebeli himself. It is most likely that in Khakhuli too, the icon of Khakhuli Virgin was kept in a triptych, parts of which were used for the repoussé revêtement of the 12th century triptych.

The iconographic programme of the Khakhuli triptych was designed to highlight the idea of salvation, which unites the external and internal chasing. Among other themes, that of the Virgin is accentuated - it was the Virgin for whom the triptych was created and who is addressed in the inscription.

The artistic composition of the triptych is defined by centrality, symmetry and by the undulating rhythm of the rounded shapes. The chased floral ornamentation, covering the entire background of the triptych, also complies with the musical rhythm of the composition. It features a wave-like, broadening and narrowing of the ornaments which fit into enamel cases and into separate ornaments.



The immense value of the Khakhuli triptych is also defined by a large number of medieval cloisonné enamel pieces embellishing it. In all, it contains around 115 pieces of Georgian and Byzantine art. These cloisonné enamel pieces were originally part of the adornment of the triptych. In the 19th century, some of the now missing items were replaced by painted enamels.

The upper corners of the middle part of the triptych and its lower protruding segment are also embellished with large rosettes.

The richness, magnificence and decorative-picturesque style of the Khakhuli triptych fully respond to the standards of its time.

Since 1952, the Khakhuli triptych has been kept at the Museum of Fine Arts of Georgia.

ill. 94

ყველა მათგანი — განსაკუთრებით თვალნათლივ კი უკანასკნელი — ქრისტიანული ღვთისმსახურების გულისგულზე, ზიარებაზე მიგვითითებს, იესუ ქრისტეს მიერ მოწაფეებთან უკანასკნელი პურობისას დადგენილს.

სურ. 151

ხახულის კარედი

XII ს.-ის I ნახ., ქართული ხელოება

ზომები: გახსნილი სახით — 1,47 X 2,02 სმ.

სხსმ

ხახულის კარედი ხატი გელათის საგანძურში დაცულ ხელოვნების ქმნილებათაგან ერთი უგამორჩეულესთაგანია. ეს ჰარმონიული ანსამბლი მდიდრულად არის შემკული ჭედური ორნამენტით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით, დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის (VIII-დან XII საუკუნის I ნახევრამდე) უამრავი ტიხრული და მცირერიცხოვანი გვიანდელი ფერწერული მინაწრით. ხახულის კარედი ყველაზე მეტად, ალბათ, ჭედური ხელოვნების მსოფლიო შედეგს, ვენეციის პალა დ'ოროს თუ მოგვაგონებს. ორივე ეს ძეგლი, მართლაც, გამორჩეული და განუმეორებელია. სხვა ამგვარი ანსამბლი ზომებით იქნება ეს, მორთულობის სიუხვით თუ შესრულების დახვეწილი ოსტატობით, ალბათ, არც შექმნილა. ხახულის ხატის სიმდიდრე მის მასალაშიაც გამოიხატება — გასაოცარია, თუნდაც ის, რომ ასეთი დიდი ზომის ტრიპტიქონის ცენტრალური ნაწილი სუფთა ოქროსგანაა დამზადებული.

ხახულის კარედის ფრთებზე განაწილებული მწყობრი ასომთავრული წარწერით ჩანს, რომ მისი შექმნის მოთავე მეფე დავით აღმაშენებელია; „სრულქმნა ხატისა“ კი, მისი მემკვიდრის, დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) დროს უნდა გასრულებულიყო. სამეფო დაკვეთის განსაკუთრებულობას მიუთითებს ის, რომ შუასაუკუნეების ხელოვნების ეს შედეგრი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ჩასასვენებელი კარედი სასწაულთმოქმედად მიჩნეული X საუკუნის ღმრთისმშობლის ხატისა, რომელიც ერთ დროს ხახულის ტაძარში იყო დასვენებული, შემდგომ კი, შესაძლოა, სულაც დავით აღმაშენებლის მიერ, გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში იქნა გადმოტანილი. ხახულის ღმრთისმშობლის ხატი, როგორც ჩანს, ხახულშიც შესანახ კარედში ესვენა, რომლის ნაწილები XII საუკუნის კარედის გარემოჭედილობაზე იქნა გამოყენებული.

ხახულის კარედის იკონოგრაფიული პროგრამა ისეა ჩაფიქრებული, რომ უპირველესად წარმოჩინდეს სხნის იდეა, რომელიც აერთიანებს ტრიპტიქონის გარე და შიდა მოჭედილობის ნაწილებს. რა თქმა უნდა, სხვა თემებს შორის, აქცენტირებულია აგრეთვე ღმრთისმშობლის თემაც — კარედი ხომ ღმრთისმშობლის ხატისთვისაა შექმნილი და წარწერაც სწორედ მას მიმართავს.

ძეგლის მხატვრული აგება ცენტრულობას, სიმეტრიასა და მომრგვალებული ფორმების

Repoussé Revêtement of the Khakhuli Triptych

The silver repoussé revêtement of the lateral panels, executed in the form of bas-reliefs, is what survives of the triptych, on which the Icon of the Virgin was originally mounted in Khakhuli Monastery. The compositions adorning the wings are identical – a fairly large, gilt cross marks the centre between a branching and blossoming tree. This signifies the tree of life standing in paradise and symbolizes salvation, the idea connected with the icon of intercessory Virgin in the centre of the triptych.

The shape of the crosses, the elements of the ornamental motifs and the ornaments themselves, with their plain surfaces marked off with a fine contour, establish parallels with Georgian metalwork of the 10th-11th century. Remote associations also lead to the mosaic vault decoration of the 4th century Santa Constanza, but still, it is difficult to find exact parallels.

The external revêtement of the triptych, as well as the icon of the Khakhuli Virgin related to it, date from the 10th century.

ill. 95



The Khakhuli Icon

10th century, Georgian work

Dimensions: fragments - 11,6 and 9,5cm

The enamelled face and hands are what survive of the central icon of the Khakhuli triptych. N. Kondakov identified these fragments as parts of a miracle-working icon, transferred from Khakhuli, for which the triptych was created. The fragments are also noteworthy in so far as they form part of the largest piece of enamelwork in the world.

It was back in the 17th century that the Russian envoys Nikiphor Tolochanov and Alexei Yevlev, on a visit to Imereti, expressed their excitement with the icon, as well as the richness of the adornment of the icon – ‘nut-size’ rubies, emeralds and diamonds. The coloured brightness of the face of the Virgin, the use of pink and

თანახმიერ დინებას ემყარება. კომპოზიციის მუსიკალურ რიტმს მისდევს ფონად მოცემული, მრავალფეროვანი ჭედური მცენარეული ორნამენტიც. მისი დინება, ხან ფართო, ხანაც შევიწროვებული, ძირითადად, შეწყობილია მინანქრის ბუდეებსა და ცალკეულ სართავებს.

ხახულის კარედის განსაკუთრებული ღირებულება მასზე წარმოდგენილი შუა საუკუნეების ტიხრული მინანქრების დიდი რაოდენობითაც განისაზღვრება. მთლიანობაში იგი შეიცავს როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ხელოვნების 115 ნიმუშს. ეს მინანქრები თავიდანვე ჩართული იყო ტრიპტიკონის დეკორატიულ სისტემაში. რამდენიმე დაკარგული ძველი ორიგინალი XIX საუკუნის ფერწერული მინანქრებითაა შეცვლილი.

ტრიპტიკონის შუა ნაწილის ზედა კუთხეები და ქვედა გამოწეული ნაწილი აგრეთვე დიდი აუზრული ვარდულებითაც არის მორთული.

ხახულის კარედის სიმდიდრე, პარადულობა, მისი დეკორატიულ-ფერწერული სტილი სავსებით პასუხობს თავისი დროის მოთხოვნებს.

1952 წლიდან ხახულის კარედი თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

სურ. 94

ხახულის კარედის გარემოჭედილობა

კარედის ფრთების გარეთა მოჭედილობა ვერცხლზე დაბალი რელიეფითაა შესრულებული. ეს იმ ტრიპტიკონის შემორჩენილი ნაწილია, რომელშიც თავიდანვე, ხახულის მონასტერშივე, ჩასვენებული იყო ღმრთისმშობლის ხატი. ფრთების კომპოზიციები ერთმანეთის იდენტურია — განტოტილ და შეფოთლილ ხეებს შორის, ცენტრში, საკმაოდ მოზრდილი მოოქრული ჯვარია მოთავსებული. იგი განასახიერებს სამოთხეში მდგომ სიცოცხლის ხეს — ხსნის სიმბოლოს, რომელიც იდეურად უკავშირდება კარედის ცენტრალური ხატის მავედრებულ ღმრთისმშობელს.

ჯვრების ფორმა, ორნამენტული მოტივების ელემენტები და თვით ორნამენტის შესრულება წმინდა კონტურით შემოწერილი სადა ზედაპირებით ანალოგიებს პოულობს X-XI საუკუნეების ქართულ ჭედურ ძეგლებზე. შორეული ასოციაციით ამ კომპოზიციას რომის სანტა კონსტანცას მოხაიკური კამარის დეკორამდეც (IV საუკ.) კი მივყავართ, მაგრამ მთლიანობაში მას ძნელია პარალელი მოუძებნო.

კარედის გარემოჭედილობა, ისევე როგორც მასთან იდეურად დაკავშირებული ხახულის ღმრთისმშობლის ჩასადგამი ხატი, X საუკუნით თარიღდება.

სურ. 95

purple tones for the skin, 'enlivening' the representation, is transparent and clear – it is also lighted up by a convex plaque of pure gold, covered with fine threads of gold. The type of face itself, with a heavy chin, a long, prominent nose, is characteristic of the Georgian metalwork of the 10th and 11th centuries. The hands of the Virgin, with their slender fingers and nails rendered in white enamel, are distinguished for their refinement. The attire of the Virgin and the background of the icon was to have been chased.

It is most likely that the main representation of the icon, like the Deesis Virgin, addressed the also enamelled half-figure of the Saviour shown in the background of the right segment of the sky, an arrangement that characterises the repoussé icon of the 10th century Virgin of Khobi and the Byzantine Maastricht reliquary of the 11th century.

No wonder that an icon, valuable as such, became a target of looters. It was plundered during the 1859 planned robbery of Gelati Monastery. Later, the enamelled fragments, which were discovered in M. Botkin's collection, were returned to Georgia and thus they continue to adorn the Khakhuli triptych.

ill. 96

Quadrifolium Depicting the Crucifixion

8th century, Georgian work

Dimensions: 5x5cm

The quadrifolium displays the crucified Christ, as well as the Virgin and St John the Evangelist, the soaring angels, the right hand of God blessing from the sky and representations of the sun and moon. The depiction of the angels at full length and the introduction of God's right hand are important from the iconographic point of view and is almost unparalleled in Oriental Christendom. However, such a programme is typical of 8th-9th century western works and ivory carvings

The primitive execution of the faces, the enamelled background, the colour gamut formed by the moderate compilation of transparent dark brownish-purple and emerald shades, the tones of the background and the simplified drawing of partitions suggest the age of the Khakhuli quadrifolium. Moreover, together with Fiesky-Morgan Syria Stauratheque, it is considered to be the earliest anthropomorphic enamelwork in the entire Oriental Christendom.

On the other hand, the quadrifolium is closely related to contemporary Georgian works of art and especially to plastic art, which was characterised by simplified and stylized representations.

ill. 97

The Enthroned Virgin with the Child, Archangels and Apostles

10th century, Byzantine work

Dimensions: 4,7 x 3,7 cm

The Khakhuli Icon of the Virgin is flanked by a sequence

ხახულის ხატი

X ს., ქართული ხელოება

ზომები: ფრაგმენტებისა — 11,6 და 9,5 სმ.

ხახულის კარედის ცენტრალური ხატისგან დღეს მხოლოდ ღმრთისმშობლის მინაწერული სახე და ხელუბია შემორჩენილი. ეს ფრაგმენტები თავის დროზე ნ. კონდაკოვის მიერ ხახულიდან ჩამოტანილ სასწაულმოქმედ ღმრთისმშობლის ხატად იქნა მიჩნეული, რომლისთვისაც შეიქმნა ეს ტრიპტიქონი. ხატის ფრაგმენტები იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ისინი შემადგენელი ნაწილებია მსოფლიოში ყველაზე დიდი მინაწერული გამოსახულებისა.

ხატისადმი აღფრთოვანება ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იმერეთში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და ალექსი იეველევმა გამოთქვეს. მათ ანცვიფრებს ხატის მორთულობის სიმდიდრეც — „კაკლისოდენა“ იაგუნდები, ზურმუხტები და აღმასები. ღმრთისმშობლის სახის ფერადოვანი უღერადობა, გამოსახულების „მაცოცხლებელი“ კანის ალაგ-ალაგ ლილისფერდაკრული ვარდისფერი, გამჭვირვალე და ნათელი, ოქროს წვრილი მავთულებით მოფენილი ამოზურცულისუფთა ოქროს ფირფიტითა და ნათელფენილი, მართლაც განსაკუთრებულია. თვით სახის ტიპი მძიმე ნიკაპით, გრძელი, მასიური ცხვირით, ფართოდაა გავრცელებული X-XI საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში. ნახატის განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩევა ღმრთისმშობლის ხელები, ნატიფად გამოყვანილი გრძელი თითებითა და თეთრი მონაწერით აღნიშნული ფრჩხილებით. ღმრთისმშობლის სამოსი და ხატის ფონი ჭედური უნდა ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ ხატის მთავარი გამოსახულება ვედრების ღმრთისმშობელივით, მარჯვნივ ცის სეგმენტის ფონზე გამოსახული მაცხოვრის მინაწერულსავე ნახევარფიგურას მიმართავდა, მსგავსად ხობის ღმრთისმშობლის ჭედური ხატისა (X ს.), ანდა ბიზანტიური მასტრიხტის რელიეფარიუმისა (XI ს.).

არც არის გასაკვირი, რომ ასეთი ძვირფასი ხატი მძარცველთა სამიზნე გამხდარიყო. 1859 წელს, გელათის მონასტრის საგანგებოდ მომზადებული ძარცვის დროს მოხდა მისი გატაცება. შემდგომში მ. ბოტკინის კოლექციაში აღმოჩენილი მინაწერული ფრაგმენტები, 1923 წელს დაუბრუნდა საქართველოს და დღეს ამკობს ხახულის კარედს.

სურ. 96

კვადრიფოლიუმი ჯვარცმის გამოსახულებით

VIII ს., ქართული ხელოება

ზომები: 5 X 5 სმ.

კვადრიფოლიუმი ჯვარს მიმსჭვალულ მაცხოვარს, ღმრთისმშობელსა და წმ. იოანე მახარებელს, მფრინვალ ანგელოზებს, ციდან გარდამოსულ მაკურთხეველ მარჯვენასა და მხისა და მთვარის გამოსახულებებს წარმოგვიდგენს.

of rectangular plaques, which, against the gold background, feature the frontal, full-length figures of the archangels Michael and Gabriel and pairs of the apostles Peter and Paul, Luke and Matthew, John and Markus, Andrew and Jacob, Bartholomew and Simon, Philip and Thomas. The Virgin with Child, now located separately, below the central icon, is part of the ensemble.

The style of the enamelled representations and the free, 'pictorial' execution of the striped, blue attire is related to the Byzantine art of the 10th century, such as can be seen in the e.g. Limburg Stauratheque and in plaques kept in the Metropolitan Museum, New York.

ill. 98-106

'Kvirike's Cross'

10th century, Georgian work

Dimensions: 12,8x9,3cm

The cross, divided into two parts, occupies both wings of the Khakhuli triptych. The left side panel displays the crucified Christ and busts of the Virgin and St John the Evangelist. Above the Saviour the Archangel Michael and below Him Golgotha are depicted.

The reverse of the cross, i.e. the right wing, shows St John the Baptist's brilliant figure at full length, with the half-figures of the apostles Mark, Luke, Peter and Paul. All explanatory inscriptions are in Greek, except the one on the horizontal arm of the cross, which is in asomtavruli script.

The cross with the gold background follows the Byzantine tradition of the 10th century and finds affinity with the works of this art. As an example, the half naked and heavy body of crucified Christ shows similarity with the 10th century reliquary from San Marco, Venice, while the deep and light blue attire and the network of multiple folds and partitions in the garments of John the Baptist affiliate this work with the representations of the famous Limburg Stauratheque.

And yet, Kvirike's Cross is considered to be the work of a Georgian master. This is attested by the Georgian inscription ('Christ, exalt King Kvirike') and the wrong spelling of 'Kvirike' referred to as Magistros in Greek. An analysis of palaeographic and historical records has enabled Georgian scholars to identify the commissioner of the cross, mentioned in the inscriptions, as being the 10th century Georgian ruler, Kvirike II King of Kakheti. Thus, Kvirike's cross is a 10th century piece of Georgian enamelwork of Byzantine influence.

ill. 107-108

Plaque Representing Michael VII Ducas and his Wife Mariam

11th century, Byzantine work

Dimensions: 7,2 x 7 cm

The plaque, representing the blessing of the Emperor and the Empress by Christ, is the culminating point of the central part of the triptych and reminds us of the divine provenance of the authority of emperors. Such scenes

საინტერესო იკონოგრაფიული დეტალებია ანგელოზების მთელი ტანით გამოსახვა და მაკურთხეველი მარჯვენის შემოყვანა, რაც თითქოს არ გვხვდება აღმოსავლეთქრისტიანულ სამუაროში, თუმცა, ასეთი მაგალითები ბევრია VIII-X სს. დასავლურ სპილოს ძვლის ნაწარმსა და მინიატურაში.

კოლორიტი, რომელიც შექმნილია მუქი მეწამულ-ყავისფრისა და ფონის ზურმუხტისფერი გამჭვირვალე ტონების თავშეკავებული შეხამებით და ტიხრების გამარტივებული ნახატი ხახულის კვადრიფოლიუმის სიძველეს მოწმობს. მეტიც, ფიესკი-მორგანის სირიულ სტავროთეკასთან ერთად, იგი მთელი აღმოსავლეთქრისტიანული სამუაროს ანტროპომორფული მინანქრული ხელოვნების ყველაზე ადრინდელ ძეგლად ითვლება.

მეორე მხრივ, იგი მჭიდროდ უკავშირდება თანადროულ ქართულ ხელოვნებას, კერძოდ, პლასტიკას, რომელიც გამოსახულებათა გამარტივებითა და პირობითობით ხასიათდება.
სურ. 97

აღსაყდრებული ჩვილედი ღმრთისმშობელი, მთავარანგელოზებითა და მოციქულთა წყვილებით
X ს., ბიზანტიური ხელობა
ზომები: 4,7 X 3,7 სმ.

ხახულის ღმრთისმშობლის ხატის ორივე მხარეს მოთავსებულია რიგი სწორკუთხა ფირფიტებისა, რომელთა ოქროს ფონზე, მთელი ტანით, ფრონტალურად არიან წარმოდგენილი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები და დაწვილებული მოციქულები (პეტრე და პავლე, ლუკა და მათე, იოანე და მარკოზი, ანდრია და იაკობი, ბართლომე და სიმონი, ფილიპე და თომა). ამავე ანსამბლის შემადგენელია ღმრთისმშობელი ყრმით, რომელიც ახლა ცალკე, ცენტრალური ხატის ქვეშაა მოქცეული.

მინანქრულ გამოსახულებათა მხატვრული სტილი, განსაკუთრებით ზოლიანი, ლურჯ-ცისფერი სამოსის თავისუფლად, „ფერწერულად“ შესრულება X საუკუნის ბიზანტიური ხელოვნების ისეთ ცნობილ ნიმუშებს უკავშირდება, როგორიცაა ლიმბურგის სტავროთეკა თუ მეტროპოლიტან მუზეუმში დაცული ფირფიტები.
სურ. 98-106

ე.წ. კვირიკეს ჯვარი
X ს., ქართული ხელობა
ზომები: 12,8 X 9,3 სმ.

ხახულის კარედის ორივე ფრთაზე ორად გაყოფილი სანაწილე ჯვარია მოთავსებული. მარცხენა ფრთაზე ჯვრის წინა პირია ჯვარცმულის, ასევე ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლის ნახევარფიგურების, ქრისტეს ზემოთ მთავარანგელოზ მიქელის ბიუსტით, ხოლო ქვემოთ — გოლგოთის გამოსახულებით.
ჯვრის უკანა მხარეს (მარჯვენა ფრთა) წმ. იოანე

occur frequently on Byzantine miniatures and on ivory carvings. The Khakhuli triptych assumes particular significance due to the representation of the daughter of the Georgian King Bagrat IV, Mariam, together with her husband, the Byzantine Emperor Michael VII Ducas, referred to as Parapynacos. The 'portrait' of the Empress is also represented on an 11th century miniature in a Greek manuscript of the works by St John Chrysostom preserved in the Paris Bibliotheque National, where she is shown with her second husband, Nicephorus Botaniat. It must have been difficult to convey the beauty of the daughter of the Georgian king through stylized rendering typical of the Middle Ages, yet the artist managed to render the refined features of the Empress, her slender nose, arching eyebrows, luminous, large black eyes, and the delicacy of her skin treated in translucent pinky shade.

The frontal depiction of the figures, the rich attire, the large emerald-green, semi-translucent halos, the light-blue sky studded with stars and covering the half-figure of Christ, and the common gold background with large brownish-red Greek letters forming an inscription in the centre, lend festivity to the composition. Stylistic features affiliate the representations with the enamels of St Stephen's Byzantine crown and suggest that they should be considered as the workmanship of Constantinople masters. The plaque must have been brought to Georgia by Mariam in 1072, when she arrived to visit her dying father, Bagrat IV.
ill. 109



Three Plaques Forming the Deesis Composition
11th century, Byzantine work
Dimensions: Plaque with the image of Christ - 7,5 x 4,2cm
Plaques with the images of the Virgin and John the Baptist - 8 x 4,4cm

The three plaques in the upper part of the middle section of the triptych, immediately underneath the arch, form the scene of The Deesis. The Enthroned Christ is unrelated to the figures of the Virgin and to St John the Baptist. Moreover the plaques depicting them also show the hand of God, projecting from the sky, a detail

ნათლისმცემლის დიდებული ფიგურა მთელი ტანით წარმოდგენილი, მოციქულთა მარკოზის, ლუკას, პეტრესა და პავლეს ნახევარფიგურებითურთ. ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავზე მიძღვნილი ასომთავრული წარწერაა, სხვა დანარჩენი განმარტებითი წარწერები კი ბერძნულია..

ოქროს ფონეზიანი ჯვარი მთლიანად X საუკუნის ბიზანტიურ პრინციპებს მისდევს და სწორედ ამ ხელოვნების ნიმუშებთან პოულობს ანალოგიებს. ასე მაგ., ჯვარცმულის შიშველი სხეული, მძიმე და წონადი, დიდ მსგავსებას ამუღავნებს ვენეციის სან-მარკოს X საუკუნის რელიქვარიუმთან, ხოლო წმ. იოანე ნათლისმცემლის ლურჯ-ცისფერი სამოსი და მრავალრიცხოვანი ნაოჭებისტიხრების წვრილი ქსელი აშკარად ახლოსაა ცნობილი ლიმბურგის სტავროთეკის გამოსახულებებთან.

და მაინც, კვირიკეს ჯვრის შესრულება ქართველ ოსტატს უნდა მიეწეროს. ამაზე არა მხოლოდ ქართული წარწერა მეტყველებს („ქრისტე, ადიდე კვირიკე მეფე“) არამედ ისიც, რომ ბერძნულში მაგისტროსად წოდებული კვირიკეს სახელი არასწორადაა დაწერილი. ქართველმა მეცნიერებმა, პალეოგრაფიისა და ისტორიული საბუთების ანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ წარწერებში მოხსენიებული ჯვრის დამკვეთი X საუკუნის ქართველი ხელისუფალი, კახეთის მეფე მაგისტროსი კვირიკე II-ა. ამდენად, ე.წ. კვირიკეს ჯვარი ბიზანტიური ორიენტაციის X საუკუნის ქართულ მინანქრად უნდა მივიჩნიოთ.
სურ. 107-108

ფირფიტა მიხეილ VII დუკასა და მისი მეუღლის მარიამის გამოსახულებით
XI ს., ბიზანტიური ხელობა
ზომები: 7,2 X 7 სმ.

კარედის ცენტრალურ ნაწილს მხატვრულად აგვირგვინებს ფირფიტა ქრისტეს მიერ იმპერატორთა წუვილის კურთხევის გამოსახულებით. თემატურად იგი იმპერატორის ძალაუფლების ღმრთითობოძებულობას შეგვახსენებს. ამგვარი სცენები ხშირია ბიზანტიურ მინიატურებსა თუ სპილოს ძვლის ნაკეთობებზე. ხახულის კარედზე წარმოდგენილ პირთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ჩვენში იმითაა გამოწვეული, რომ აქ, პარაპინაქად წოდებულ ბიზანტიელ იმპერატორ მიხეილ VII დუკასთან ერთად გამოსახულია მისი მეუღლე, ქართველი მეფის ბაგრატ IV ასული, მარიამი. მისი „პორტრეტი“ აღბეჭდილია აგრეთვე XI საუკუნის ერთ-ერთ მინიატურაზე (წმ. იოანე ოქროპირის თხზულებათა ბერძნული ხელნაწერი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკა), სადაც იგი თავის მეორე მეუღლესთან, ნიკიფორე ბოტანიატთან ერთად წარმოგვიდგება. შუა საუკუნეების პირობით გამოსახულებებში, ძნელია, ალბათ, იმ სილამაზის გადმოცემა, რომლითაც ცნობილი იყო ქართველი მეფის ასული. მაგრამ ოსტატი გარკვეულად მაინც მიგვანიშნებს დედოფლის დახვეწილ ნაკვთებს, მის თხელ ცხვირს, მოქნილ წარბებს, დიდ სხივმფენ შავ თვალებს, მოვარდ-

atypical of this scene. The plaques are still interpreted as The Deesis which, being located in a central area, highlights the main idea of the triptych.

The refinement of all three plaques, the sophistication with which they are executed, the austere chevron pattern of the attire, the accurately drawn spiral on the knees, and restrained deep blue and light blue colours are typical of Byzantine representations of the 11th century. These plaques must be a royal commission and should have come from the best workshops of Constantinople. The plaque of the Saviour is attributed to those where St Stephen's and Monomachos' famous crowns were created. These brilliant artworks must have been brought to Georgia in 1072 by Mariam, daughter of Bagrat IV.
ill. 111



Two Plaques Representing the Virgin and the Archangel Michael Holding Crowns
11th century, Byzantine work
Dimensions: 3x3cm

These two plaques adorn the triptych beneath the central icon. The Virgin holding a woman's crown is depicted on the right, while the Archangel Michael with a man's crown is shown on the left. The figures are rendered at half-length, against the gold background. The manner of their execution and the colour gamut (blue, light blue and emerald-green) relate them to the plaques of Michael Ducas and Empress Mariam. This affinity may

ისფრო გამჭვირვალე ტონით მონიშნული მისი სახის კანის სინაზეს.

ფრონტალურობა, მდიდრული სამეფო სამოსი, დიდი ზურმუხტისფერი ნახევრადგამჭვირვალე შარავანდები, ქრისტეს ნახევარფიგურის მომცველი ოქროსფერი ვარსკვლავებით მოჭედილი ღია ცისფერი „ცა“, საერთო ოქროს ფონი ცენტრში დიდი მოყავისფრო-წითელი ბერძნული ასოებით გამოყვანილი წარწერით, კომპოზიციის სახეიმო ხასიათს განსაზღვრავს. სტილისტური ნიშნებით იგი ეხმიანება მონომახოსისა და წმ. სტეფანეს ბიზანტიური გვირგვინების მინაწერებს და კონსტანტინოპოლის სახელოსნოში უნდა იყოს დამზადებული. საქართველოში ის, უთუოდ, მარიამ დედოფლის 1072 წელს სამშობლოში მომავლადგი მამის, მეფე ბაგრატ IV-ის, მოსანახულე-ბლად ჩამოსვლისას უნდა მოხვედრილიყო. სურ. 110

ვედრების სახით დაჯგუფებული სამი ფირფიტა

XI ს., ბიზანტიური ხელობა

ზომები: ფირფიტა ქრისტეს გამოსახულებით — 7,5 X 4,2 სმ.

ფირფიტები მარიამისა და იოანეს გამოსახულებით — 8 X 4,4 სმ.

კარედის შუა არეზე, მის ზედა ნაწილში, უშუალოდ თაღის ქვეშ მოთავსებული სამი ფირფიტა ისეა განლაგებული, რომ „ვედრების“ სცენად მივიჩნიოთ. თუმცა დაკვირვებით ჩანს, რომ შუაში წარმოდგენილი აღსაყდრებული მაცხოვარი მხატვრულად ვერ უკავშირდება ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურებს. ამასთან, სცენას თან ახლავს ამ კომპოზიციისთვის უჩვეულო იკონოგრაფიული დეტალი — ცის სემენტრიდან გამოსული ღმრთის მარჯვენა. ამის მიუხედავად, საბოლოოდ, ფირფიტები მაინც ვედრებად აღიქმება, რითაც, მათი თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით, კიდევ ერთხელ ხაზგასმულია კარედის მთავარი თეოლოგიური იდეა.

სამივე ფირფიტის ფიგურების დახვეწილობა, შესრულების სინატიფე, სამოსთა მკაცრი „თევზიფხური“ ნახატი, მუხლებზე დახვეწილი ოსტატობით გამოყვანილი სპირალი, თავშეკავებული ლურჯ-ცისფერი კოლორიტი ამ დარგის XI საუკუნის ბიზანტიური მანუშევრებისთვისაა დამახასიათებელი. ეს ფირფიტები სამეფო დაკვეთით კონსტანტინოპოლის საუკეთესო სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული. მეტიც, მაცხოვრის ფირფიტა სულაც იმ სახელოსნოს უკავშირდება, სადაც წმ. სტეფანეს თუ მონომახის სახელგანთქმული გვირგვინები შეიქმნა. ეს შესანიშნავი ნაწარმოებებიც მეფე ბაგრატ IV ასულის, მარიამ დედოფლის მიერ, 1072 წელს უნდა იყოს საქართველოში ჩამოტანილი. სურ. 110

ორი ფორფიტა ღმრთისმშობლისა და მიქელ მთავარანგელოზისა, გვირგვინებით ხელში

XI ს., ბიზანტიური ხელობა

ზომები: 3 — 3 სმ.

also contain certain implications – the Virgin might be holding a crown of her namesake Empress Mariam, while the Archangel Michael that of Michael Ducas. They might have originally formed a certain ‘ensemble’, as pointed out by D. Gordeev.

ill. 111-112

Oval Medallion representing the Receiving of Benediction from the Virgin

11th century, Georgian work

Dimensions: 5x4,4cm

The medallion, adorning the left panel of the Khakhuli triptych, presents two queens, receiving benediction from the Virgin. The deep blue maphorium and light blue stola, in which the Virgin is clad, are treated with a chevron pattern. Identical images of queens are shown on two more oval medallions located on the right panel of the triptych. None of them bears an inscription, which makes the identification of the persons represented difficult.

The manner of treatment and the careless execution allow us to affiliate all three oval medallions to the same set. Noteworthy is the location of the crown over the veil, which, according to the observation of N. Kondakov and I. Javakhishvili, is not characteristic of Byzantine dress - the veil here is interpreted as a mandili, a traditional Georgian headdress for women.

The style of the medallions reveals Greek orientation, though the way in which these works are executed clearly point to Georgian craftsmanship.

ill. 113

Two Plaques Representing the Apostles

11th century, Byzantine art

Dimensions: 8x55cm

The rounded gold plaques, featuring the pairs of apostles (John the Theologian and St Peter on the left, and St Paul and St Mathew on the right) shown at full length, turned to the centre against a gold background, are located on the lower, protruding part of the triptych, on both sides of the central rosette. The nail holes visible here suggest that they used to be fixed to another part of the triptych.

The refined line and drawing marking the figures, as well as the bright colour gamut, point to the mature Byzantine style of the 11th century. The attire is treated with chevron design (so-called Chevronstil) patterned with stripes of four colours.

ill. 114-115

Plaque Representing Christ Pantokrator

First half of the 12th century, Georgian work

Dimensions: 8x7cm

The plaque with Christ Pantokrator is the second largest enamel of the triptych, the largest being the central icon of the Virgin. Located in the upper right corner, near the main representation, the image violates the symmetry

ცენტრალური ხატის ქვემოთ ორი ფირფიტაა ოქროს ფონზე გამოსახული წელხვევითი ფიგურები: მარჯვნივ, ღმრთისმშობელი, რომელსაც სადედოფლო გვირგვინი უჭირავს, მარცხნივ კი, მიქელ მთავარნაგელოზი სამეფო გვირგვინით ხელში. მათი შესრულების მანერა, კოლორიტი (ლურჯი, ცისფერი, ზურმუხტისფერი) აახლოვებს მათ მიხეილ დუკასა და დედოფალ მარიამის ფირფიტებთან. შესაძლოა, ეს სიახლოვე შინაარსობრივიც იყოს — ღმრთისმშობელს ხელში მისი სუხნიის, მარიამ დედოფლის გვირგვინი ეჭიროს, ხოლო მთავარნაგელოზ მიქელს, მიხეილ დუკასი. იქნებ ისინი, მართლაც, როგორც დ. გორდევი ფიქრობს, ერთ დროს რაღაც საგანგებო „ანსამბლს“ ქმნიდა.
სურ. 111-112

ოვალური მედალიონი დედოფლების კურთხევის გამოსახულებით

XI ს., ქართული ხელობა
ზომები: 5 X 4,4 სმ.

მედალიონი ამკობს ხახულის ტრიპტიქონის მარცხენა ფრთას. იგი წარმოგვიდგენს ორ დედოფალს, რომელთაც ღმრთისმშობელი აკურთხებს. ღმრთისმშობლის მუქი ლურჯი მაფორიუმი და ცისფერი სტოლა XI საუკუნისთვის ჩვეული „თევზიფხური“ ნახატივითაა დამუშავებული. დედოფალთა ამგვარივე გამოსახულებები გვაქვს კიდევ ორ ოვალურ მედალიონზე, რომლებიც კარედის მარჯვენა ფრთაზეა განთავსებული. წარწერის გარეშე წარმოდგენილ გამოსახულებათა ვინაობის დადგენა ჭირს.

სამივე ოვალური მედალიონი, დამუშავების ხასიათითა თუ შესრულების დაუდევრობით, ერთი კომპლექტისაა. ყურადღებას იპყრობს დედოფალთა გვირგვინის დადგმა თავშალს ზემოთ, რაც ნ. კონდაკოვისა და ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, არ არის დამახასიათებელი ბიზანტიური კოსტუმისთვის — თავშალი აქ ქართულ მანდილად აღიქმება.

მედალიონთა მხატვრული სტილი თუმც ბერძნული ორიენტაციისა, მაგრამ მათი შემსრულებელი მაინც აშკარად ქართველი ოსტატი უნდა იყოს.
სურ. 113

ორი ფირფიტა მოციქულთა წვეილებით

XI ს., ბიზანტიური ხელობა
ზომები: 8 X 5,5 სმ.

ხახულის კარედის ქვედა გამოწეულ ნაწილზე, ცენტრალური ვარდულის ორსავე მხარეს თავმომრგვალებული ოქროს ფირფიტებია, რომლებზედაც მოციქულთა სრული ტანით წარმოდგენილი ორ-ორი ფიგურაა (მარცხნივ — იოანე ღმრთისმეტყველი და წმ. პეტრე, მარჯვნივ — წმ. პავლე და წმ. მათე). ძველი ნალურსმის კვალი მიუთითებს, რომ ადრე ისინი სხვაგან იყო დამაგრებული.

ფიგურების მკვეთრი დახვეწილი ხაზის და ნახა-

of the arrangement of the enamels. The half-figure of Christ Pantokrator catches the eye due to its colour and expressiveness, which makes this work distinct from Byzantine samples of the early 12th century, even from the Stavelot triptych similar to it.

The combination of brownish-purple and blue with gold and orange, the large eyes brightened with dilated black pupils, hook-like folds of the himation, and the expressive contrajuxtaposition between the dynamic flow of the folds on the right hand with the gesture add brightness and tension to the representation.

The craftsmanship of the plaque is excellent, though there are numerous pores, which is typical of many Georgian enamels. This plaque of Georgian enamel art with its image of the Pantokrator, revealing Byzantine orientation, must be attributed to the first half of the 12th century.
ill. 116

Medallions Representing St Peter, St Mathew and St Simon

First half of the 12th century, Georgian art
Dimensions: diameter – approx. 6cm

The medallions adorning the wings of the Khakhuli triptych are characterised by the same size, similar manner of execution and the use of identical artistic and technical devices. The general stylistic peculiarities relate them to the Byzantine medallions of the Stavelot triptych and of the Viššy-Brod staurotheque, though greater mildness, and the expressiveness rendered through a nervous line, frequent use of wine-colour tint enlivening the complexion, as well as numerous pores, affiliate these medallions with Georgian enamels.

The similar images of St Peter and St Mathew, characterised by noble appearances, expressiveness rendered through luminous eyes, tense looks and masterful craftsmanship, are ranked among the best samples of enamel art. The half-figure of St Simon, slightly differs from these images, being drawn with a more nervous line, depicted in dark colours and filled with emotion.
ill. 117-119

Decorative Cross in a Medallion

First half of the 12th century, Byzantine work
Dimensions: 17,5 x 11,5cm; medallion diameter – 2,5cm

One of the finest decorative crosses embellishing the Khakhuli triptych is located in the right corner of the central part. Its arms are covered with refined ornaments, while the centre is accentuated with a medallion featuring the half-figure of Christ. The ornamentation is formed by a succession of small, blue and red circles with flowers inscribed in them, as well as cross-like figures and emerald-green inclusions, all shown against a white background. This ornamentation, distinguished for its richness and noble colouring, finds analogues with the famous Byzantine samples, such as those of the Limburg staurotheque and the icon of the Archangel

ტის ხასიათი, გალიადფერებული პალიტრა შესანიშნავად წარმოგვიდგენს XI საუკუნის მომწიფებულ ბიზანტიურ სტილს. ნიშანდობლივია სამოსის დამუშავება ოთხი ფერის ზოლებით შედგენილი „თევზიფხური“ ნახატი — მანერა, რომელიც შვერონსტილ-ის სახელითაა ცნობილი. სურ. 114-115

ფირფიტა ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულებით

XII ს.-ის I ნახ., ქართული ხელობა
ზომები: 8 X 7 სმ.

კარედის მინანქართა შორის, ღმრთისმშობლის ცენტრალური ხატის შემდეგ, ყველაზე დიდი ქრისტე-პანტოკრატორის ფირფიტაა, რომელიც მთავარი გამოსახულების სიახლოვეს, ზედა მარჯვენა კუთხეშია განთავსებული ისე, რომ გარკვეულად არღვევს მინანქართა სიმეტრიული განაწილების წესს. ქრისტე-პანტოკრატორის ნახევარფიგურა ყურადღებას იპყრობს თავისი განსაკუთრებული ფერადოვნებითა და ექსპრესიით, რითაც იგი XII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიური ძეგლებისგან გამოირჩევა (მაგ., მისი მსგავსი სტაველო-ტრიპტიქონისგან). გამოსახულებას განსაკუთრებულ ჟღერადობას და გარკვეულ დაძაბულობასაც ანიჭებს მეწამულ-ყავისფრისა და ლურჯის ოქროსთან და ფორთოხლისფერთან შეხამება, მაცხოვრის გაფართოებული, დიდი შავი გუგებით ანთებული თვალები, ჰიმნათონის კაუჭისმაგვარი ნაოჭების მოუსვენარი დინების მაცხოვრის მარჯვენის ჟესტთან ექსპრესიული დაპირისპირება.

ფირფიტის შესრულება მაღალი დონისაა, თუმც მრავლადაა ფორები, რაც საკმაოდ ხშირია ქართულ მინანქარში. ამრიგად, პანტოკრატორის ფირფიტა XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მინანქრული ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ბიზანტიური ორიენტაციის ჯგუფს მიეკუთვნება. სურ. 116

მედალიონები წმ. პეტრეს, წმ. მათეს და წმ. სვიმონის გამოსახულებებით

XII ს.-ის I ნახ., ქართული ხელობა
ზომები: დიამეტრი — დაახლოებით 6 სმ.

ხახულის კარედის ფრთებზე განთავსებულ წმინდანთა მედალიონებს ერთნაირი ზომები, შესრულების მანერის მსგავსება, მხატვრული და ტექნიკური ხერხების ერთგვარი ერთსახოვნება აერთიანებს. ზოგადი სტილისტური ნიშნებით ისინი სტაველო-ტრიპტიქონისა და ვიში ბროდის სტავროთეკის ბიზანტიურ მედალიონებს ემსგავსება. მაგრამ მათი მეტი სირბილე, ანდა ნერვული ხახით გადმოცემული ექსპრესია, კანის ფერად სახეთა გამაცხოვრებელი მოღვინისფროს ხშირი გამოუენება, თუ მრავალრიცხოვანი ფორები ამ მედალიონებს ქართულ მინანქრებთან აახლოვებს.

ერთი ტიპისაა წმ. პეტრესა და წმ. მათეს გამოსახ-

Michael kept in the treasury of San Marco.

The outline of the face of Christ Pantokrator displayed on the medallion and the drawing of hook-like folds remind us of the saints arranged circularly on the Khakhuli triptych. The cross is a Byzantine work dating from the first half of the 12th century.

ill. 120



The Gelati Icon of the Saviour

First Half of the 12th century, Georgian work
Dimensions: 40 x 30 cm
Museum of Fine Arts

Of the painted half-figure of Christ, retouched later, only the face, the neck, a small fragment of the attire, the right hand of God and the gold plaque of the Gospel inlaid with amethysts and sapphires, survive. The large halo of the Saviour and the quadripholium with the initial of Christ are enamelled. The vegetative ornaments with the colouring of arms against a white background and with its drawing reminding of the ornaments typical of eastern fabrics, are made with a unique standard of workmanship.

The representation has a chased, gold-plated background and is decorated with ornaments engraved against a punched background. The circles, formed by the undulating stalks, contain a long leaf with its end part rolled over a stalk, and this pattern first occurred in Georgian repoussé art in the 10th century e.g. in the icon of the Khobi Virgin commissioned by King Leon, while the earliest ornaments of the chamfer can be seen on the 11th century icons, such as on the Botchorma icon.

The frame of the icon is lavishly adorned. It is divided into recurrent segments formed of the central medallion and two pairs of small circles patterned with niello. A large inscription in asomtavruli script is also made using the niello technique. The cloisonné enamel medallions form effective colourful accents. The niello medallions used to be embellished with transversally aligned gems.

ულელები — სახეთა კეთილშობილებით, ანთებულ თვალეზის ექსპრესიით, დაძაბული გამოხედვით, ხელობის მაღალი ღირსებით გამორჩეულნი, ისინი მინანქრის საუკეთესო ნიმუშთაგანია. რამდენადმე განსხვავებულია — ხახის მეტი ნერვულობით, კოლორიტის სიმუქით, თუმც მაღალ დონეზე შესრულებული და გარკვეული ემოციური მუხტის მატარებელი წმ. სვიმონის ნახევარფიგურა.
სურ. 117-119

დეკორატიული ჯვარი მედალიონში

XII ს.-ის I ნახ., ბიზანტიური ხელობა

ზომები: 17,5 X 11,5 სმ; მედალიონის დიამეტრი — 2,5 სმ.

ხახულის კარედის დეკორატიულ ჯვრებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური არის მარჯვენა კუთხეშია მოთავსებული. მისი მკლავები ერთიანად ფაქიზი ორნამენტითაა დაფარული, მათ გასაყარზე კი მედალიონია, რომლის ოქროს ფონზე ქრისტეს ნახევარფიგურაა გამოსახული. თვით ორნამენტი თეთრ ფონზე ლურჯი და წითელი მომცრო წრეების რიგით, მათში ჩაწერილი უვავილებითა და მათ შორის მოქცეული ჯრული სახეებითა და ზურმუხტისფერი ჩანარებითაა შედგენილი. სიმდიდრითა და კეთილშობილური ფერადოვნებით გამორჩეული ამ ჯვრის ანალოგიური ორნამენტი გვხვდება ბიზანტიური ხელოვნების ისეთ ცნობილ ნიმუშებზე, როგორცაა ლიმბურგის სტავროთეკა და სან-მარკოს საგანძურში დაცული მდგომარე მიქელ მთავარანგელოზის ხატი.

მედალიონში გამოსახული ქრისტე-ყოვლისმძეურობელის სახის მონახაზი თუ კაუჭისმაგვარი ნაკეცების ნახატი ხახულის კარედზე წრიულად განლაგებულ მედალიონთა წმინდანებს ჰგავს. ჯვარი XII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიური ნაწარმოებია.
სურ. 120

გელათის მაცხოვრის ხატი

XII ს.-ის I ნახ., ქართული ხელობა

ზომები: 40 X 30 სმ.

სხსმ (№12, გრ. 37)

ეს ფერწერული, მოგვიანებით გადაწერილი ხატი მაცხოვრის გამოსახულებით არც თუ პირვანდელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული (შერჩენილია სახე, კისერი, სამოსის მცირე ფრაგმენტი, მაკურთხეველი მარჯვენა და სახარების ოქროს ფრიფიტა ამეთვისტოსა და საფირონის ქვებით). მაცხოვრის დიდი შარავანდი და კვადრიფოლიუმი ქრისტეს ინიციალით მინანქრულია. შარავანდის მუქ-ლურჯ ფონზე გაშლილი მცენარეული ორნამენტი თეთრფონიანი მკლავების ფერადოვნებითა და ნახატით, აღმოსავლური ქსოვილის მსგავსი დეკორით ნატიფადაა შესრულებული.

გამოსახულების ფონი ჭედურია, მოოქრული, აქ პუნსონირებულ ფონზე დახვეწილი გრავი-

The type of the framing of the Gelati icon – the mathematical precision with which it is structured, the austere geometric division, the increased interest in ornament, the accurate and dry, austere drawing and the use of colourful accents – fully complies with the standards of the period referred to in the inscription. The mentioning of Svimon Tchqondideli, bishop of Tchqondidi, a great public figure of the first half of the 12th century, under the title of Tchqondideli Mtsignobartukhutsesi (the Great Chancellor), attributes the icon of the Gelati Saviour to the period between 1125 and 1141. According to the inscription, Svimon Tchqondideli (Svimon of Tchqondidi) had another Byzantine title, that of Iperimos, which is not mentioned in any other record. The inscription also mentions the master of the framing – Asan of Tchqondidi – which is very rare in medieval art.
ill. 130

Medallions Representing the Images of Saints and the Hetoimasia

First half of the 12th century, Georgian work

Dimensions: diameter – approx. 3,4cm

The frame of the Gelati icon is adorned with five medallions, four of which are accompanied with inscriptions in asomtavruli script.

The medallion with the Hetoimasia accentuating the centre of the upper part of the frame is remarkable for its bold combination of red and yellow with dark blue. In terms of colouring, this medallion most resembles the image of St Luke located on the later frame to the left. The strongly characteristic, resolute face almost looks like a portrait.

The faces of St Peter on the right and St Paul on the left, are rendered through a different colour gamut, ranging mainly from green and to blue, and are more emotional: St Paul has a glance more diverted inside, while St Peter emanates more warmth and kindness.

The slipshod lines of the folds of the attire of the saints and contrasting local colour spots lend expressiveness and dynamism to the images. The medallions must have been made by a Georgian master in a Georgian workshop in the first half of the 12th century. It can be assumed that they were created especially for the frame of the Gelati Saviour. They, as well as the entire frame, are the works of the best masters of that time and also reflect the advanced aspirations of the period.
ill. 131-134

Medallion Representing the Archangel

First half of the 12th century, Georgian work

Dimensions: diameter – 3,4cm

The medallion with the half-figure of the archangel is now kept separately. With its colour, the rendering and the size of the face, this medallion reveals an affinity with the medallions of the Gelati icon accompanied with Georgian inscriptions, and especially with the representations of St Luke and the Hetoimasia.

რებული ორნამენტია გაშლილი. ულორტის დინებით შექმნილ წრეებში ჩართული გრძელცხვირა ფოთოლი, ულორტზე დახვეული ბოლოთი ქართულ ჭედურობაში ჯერ კიდევ X საუკუნიდან არის ცნობილი (მაგ., ლეონ მეფისეული ხობის ღმრთისმშობლის ხატი), ცერობის ორნამენტი კი XI საუკუნის ხატებზე გვხვდება (მაგ., ბოჭორმის ხატი).

ხატის მოჩარჩოება მდიდრულადაა მორთული. იგი დაყოფილია განმეორებად მონაცვლე მონაკვეთებად, რომელნიც ოქროს ფონზე სევადით გამოყვანილი ცენტრალური მედალიონისა და ორ-ორი წყვილი პატარა წრეებისგან შედგება. სევადითაა გამოყვანილი აგრეთვე ხატის ვრცელი ასომთავრული წარწერა. ეფექტურ ფერადოვან აქცენტებს ქმნის ტიხრული მინანქრით შესრულებული მედალიონები. სევადის მედალიონებს განვიად ჩამწკრივებული თვლები ამდიდრებდა.

გელათის ხატის ჩარჩოს ხასიათი — აგების სრული სიზუსტე, გეომეტრიული დაყოფის სიმკაცრე, ორნამენტისადმი გაზრდილი ინტერესი, ზუსტი და მშრალი ნახატი და ფერადოვანი აქცენტების გამოყენება — სავსებით შესატყვისება დროის იმ მონაკვეთს, რომელსაც წარწერა გვიდასტურებს. XII საუკუნის პირველი ნახევრის დიდი მოღვაწის, სვიმონ ჭყონდიდელის აქ მოხსენიება ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ტიტულატურით გელათის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს თარიღს 1125-1141 წლებით განსაზღვრავს. წარწერიდან ირკვევა, რომ სვიმონ ჭყონდიდელს ჰქონია კიდევ ბიზანტიური ტიტული — იპერტიმოსი, რაც სხვა საბუთებში არ ჩანს. წარწერაში მოხსენებულია ჩარჩოს შემამკობელი ოსტატიც — ასანი ჭყონდიდიდან — რაც არც ისე ხშირია შუა საუკუნეების ხელოვნებაში.
სურ. 130

მედალიონები წმინდანთა გამოსახულებით და „განმზადებული საყდრით“

XII ს. I ნახ., ქართული ხელობა

ზომები: დიამეტრი — დაახლ. 3,4 სმ.

გელათის ხატის ჩარჩოს დღეს ხუთი მინანქრული მედალიონი ამკობს, რომელთაგან ოთხს ქართული ასომთავრული წარწერა ახლავს.

ჩარჩოს ზედა ნაწილის ცენტრში მოთავსებული მედალიონი ჰეტიმასიას („საყდარს განმზადებულს“) წარმოგვიდგენს. ფერადოვნების მხრივ (წითლისა და ყვითლის მუქ ლურჯთან თამამი შეხამება) ამ მედალიონს ყველაზე მეტად ეხმანება მარცხნივ გვერდით არშიაზე მოცემული წმ. ლუკას გამოსახულება, რომლის სახასიათო, თითქმის „პორტრეტული“ სახე თავიდანვე იქცევს მნახველის ყურადღებას.

სხვაგვარი ფერადოვანი გადაწყვეტა ჩანს წმინდანების, პეტრესა (მარჯვნივ) და პავლეს (მარცხნივ) სახეების გამოსახვისას — აქ მომწვანო-მოლურჯო ჭარბობს, - და, ამდენად, ისინიც სხვაგვარ ემოციურ მუხტს გადმოსცემენ (წმ. პავ-

This is the medallion, mentioned by N. Kondakov, D. Bakradze and D. Gordeev, which used to adorn the right upper corner of the triptych frame.

ill. 135

Medallion Representing St George

First half of the 12th century, Byzantine Work

Dimensions: diameter – 3,4cm

The medallion with the image of St George is located in the centre of the lower part of the frame of the Gelati icon. It must have replaced the original medallion.

The austere and refined execution, accurate rendering of St George's features, emerald and dark blue colouring, as well as the accompanying Greek inscription, sharply distinguish the medallion from the Georgian enamels embellishing the Gelati frame and relate it to contemporary Byzantine samples, namely the medallions of the Stavelot triptych and Viššy-Brod staurotheque. Thus, the medallion of St George must be affiliated with the Byzantine works of the first half of the 12th century.

ill. 135

Mitre

Embroidery, gems

28,5 x 19,5 cm

17th century

Museum of Fine Arts

This mitre from Gelati, commissioned by a certain Bishop Mitropane, and, among others, worn by the Catholicos of Apkhazeti, is characterised by a highly original form and adornment. Unlike other mitres, it is not a complete, folding headband, but rather appears to contain two parts – the 'hood' itself, which is almost rectangular, is placed within the four-dentil 'crown', with thin gemmed crosses erected on its peak and on the central part, as well as on each of the teethes. Both the 'crown' and the 'hood' contain representations of the apostles, the Communion of the Apostles, the Washing of Feet, embroidered with gold and ringed with pearls. Numerous translucent and opaque gems, inserted randomly, surround the representations and fill the upper surface of the mitre, the greenish-blue turquoise in particular catching the eye. This adornment lends extraordinary richness and festivity to the mitre. With its colouring, the mitre reminds us of the Kakhetian icons of the second half of the 16th century, such as the Virgin of Atsquri, which can be explained when we assume that this mitre was commissioned by Mitropane of Alaverdi, who moved to West Georgia in the middle of the 17th century.

ill. 198

Cover

Gilt silver

15,5 x 14,5 cm

18th century

Museum of Fine Arts

The cruciform 'lid' placed over the Eucharistic offerings, bearing the inscription of King Solomon and Queen

ლე, თითქოს, თავის თავშია ჩაღრმავებული, წმ. პეტრე კი უფრო გულითადი და თბილია).

წმინდანთა სამოსის ნაოჭების ნებისმიერად გამოყვანილი ხაზები, ლოკალური ლაქების დაპირისპირება ხაზს უსვამს გამოსახულებათა ექსპრესიულობასა და დინამიკურობას. მედალიონები ქართველი ოსტატის მიერ ქართულ სახელოსნოში XII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შესრულებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი საგანგებოდ გელათის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს მოსართავადაა დამზადებული. ისინი, ისევე როგორც მთელი ჩარჩო, იმ დროის საუკეთესო ოსტატების ნახელავია და ეპოქის მოწინავე მისწრაფებებს ასახავს.
სურ. 131-134

მედალიონი მთავარანგელოზის გამოსახულებით

XII ს.-ის I ნახ., ქართული ხელობა
ზომები: დიამეტრი — 3,4 სმ.

მედალიონი მთავარანგელოზის ნახევარგიფურით დღეს ცალკე ინახება. ფერადოვნებით, მომრგვალებული სახის გამოყვანის წესით, მისი საერთო, ოდნავ ლირიული, ოდნავ ნაივური განწყობითა და ზომით ეს მედალიონი გელათის ხატის ჩარჩოს ქართულწარწერიან მედალიონებს, ყველაზე მეტად წმ. ლუკასა და „განმზადებული საყდრის“ გამოსახულებებს უახლოვდება.

ეს ის მედალიონია, რომელიც კარედის ჩარჩოს ზედა მარჯვენა კუთხეში იყო მოთავსებული და რომელსაც იხსენიებენ ნ. კონდაკოვი, დ. ბაქრაძე და დ. გორდევი.
სურ. 136

მედალიონი წმ. გიორგის გამოსახულებით

XII ს.-ის I ნახ., ბიზანტიური ხელობა
ზომები: დიამეტრი — 3,4 სმ.

მედალიონი წმ. გიორგის გამოსახულებით მოთავსებულია გელათის ხატის ჩარჩოს ქვედა ნაწილის ცენტრში. თავდაპირველად აქ, ეტყობა, სხვა მედალიონი უნდა ყოფილიყო განთავსებული.

შესრულების სიმკაცრითა და დახვეწილობით გამორჩეული, წმ. გიორგის გამოსახულება როგორც ნაკვეთების აკურატული გამოყვანით, ასევე ზურმუხტისფერ-მუქი ლურჯი ფერადოვნებითა თუ ბერძნული წარწერით, აშკარად განსხვავდება გელათის ჩარჩოს ქართული მინაწერებისაგან და ენათესავება მის თანადროულ ბიზანტიურ ნიმუშებს — სტაველო-ტრიბტიქონსა და ვიში ბროდის სტავროთეკის მედალიონებს.

წმ. გიორგის მედალიონი XII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიურ ნაწარმოებთა რიგში ექცევა.
სურ. 135

Mariam, is plain. Being of neat workmanship, it reminds us of the attention paid by the last kings of Imereti to Gelati. It must have been the kings who donated, after the invasion of the monastery in 1759, the majority of liturgical vessels, icon-lamps, chandeliers, etc kept in the monastery as late as the early 20th century.
ill. 163

Cover
silver Gilt, niello
12,5 x 12 cm
18th century
Museum of Fine Arts

The 'star', inscribed by Imeretian King Solomon is more sophisticated than the first – the arms are rendered unevenly, in Baroque style, the area of their intersection features the nielloed representation of the Saviour, while the edges of the arms are adorned with figures of the saints. The Slavonic inscriptions (only the name of the king is in Georgian) and the drawing of the figures attest to the use of Russian samples or to the Russian origin of the object.
ill. 164



Mitre
Embroidery, gems
22 x 17 cm
17th century
Museum of Fine Arts

The headdress displays three representations: the lateral sides have the Annunciation, where the Archangel Gabriel, delivering the Annunciation, and the Virgin

მიტრა

ნაქარგობა, ძვირფასი თვლები
28,5 X 19,5 სმ
XVII ს.
სხსმ

ეს გელათური მიტრა, რომელიც მიტროფანე მღვდელთმთავარს შეუმკობინებია და აფხაზეთის მწვემსმთავარსაც უტარებია, სხვებისგან ფორმითაც განირჩევა და მორთულობითაც. დანარჩენებისგან განსხვავებით, ის ერთიანი, მომრგვალებული თავსაბურავი კი არ არის, არამედ თითქოს ორნაწილიანია — საკუთრივ (თითქმის ოთხკუთხა) „ქუდი“ ოთხკბილა „გვირგვინშია“ ჩასმული; მის თავზე, შუაში და ყოველ კბილთაგანზე ძვირფასი თვლებისგან ასხმული წვრილი ჯვრები აღიმართება; „გვირგვინზე“ და „ქუდზე“ ოქრომკედით ნაქარგი და მარგალიტმოვლებული გამოსახულებებია (მახარებელნი, მოციქულთა ზიარება, ფერხთაბანა და ა.შ.), მათ ირგვლივ კი, ისევე როგორც ცაზე, სხდასხხვა ფერის (თვალს ფირუხების მომწვანო-მოლურჯო ხვდება), გაუმჭვრი და გამჭვირვალე თვლებია მიმოზნული. ყოველივე ეს სამღვდელთმთავრო თავსაბურავს განსაკუთრებულ სიმდიდრესა და ზეიმურობას სძენს. ფერადოვნებით მიტრა XVI საუკუნის მეორე ნახევრის კახურ ხატებსაც — თუგინდ აწყურის ღმრთისმშობლისას — მოგვაგონებს, რაც გასაგები ხდება, თუ დამკვეთად XVI საუკუნის შუახანში დასავლეთ საქართველოში გადმოხვეწილი ალავერდელი მიტროფანე ვიგულვეთ.

სურ. 198

ვარსკვლავ-კამარა

მოოქრული ვერცხლი
15,5 — 14,5 სმ.
XVIII ს.
სხსმ

საუფლო ძღვენზე დასადგმელი ჯვრისებრი „ხუფი“, რომელზეც სოლომონ მეფისა და მარიამ დედოფლის მხედრული ზედაწერილია, სრულებით სადაა. მხატვრული თვალსაზრისით ის ბევრს არაფერს წარმოადგენს (თუმცა, სუფთადაა შესრულებული), ამასთან კი შეგვახსენებს, როგორ ზრუნავდნენ გელათზე იმერეთის უკანასკნელი მეფეები — სწორედ მათი შეწირული იყო — როგორც ჩანს, 1759 წელს მონასტრის აკლესიის შემდეგ — აქ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაცული სამღვდელთმსახურო ჭურჭლის, „კანდელების, ქორკანდელების და ა.შ. უმრავლესობა.

სურ. 163

ვარსკვლავ-კამარა

მოოქრული ვერცხლი, სვეადი
12,5 X 12 სმ.
XVIII ს.
სხსმ

იმერეთის მეფე სოლომონის მიერ წარწერილი „ვარსკვლავი“ პირველზე უფრო რთულია. მკლავები ევროპული ბაროკოს უადახე შეჭრილ-

have a hexapterygon between them; the upper surface of the mitre features the figure of Christ Pantokrator. The embroidered representations are adorned with pearls, while the mitre itself is embellished with a row of mostly blue gems. Compared with the rest of the head-dresses preserved in Gelati, this one seems to be more restrained and modest.

ill. 160

Mitre

Embroidery, enamel, gems
19x17cm
18th century
Museum of Fine Arts

The gold cloth is embellished with floral ornaments formed by firmly sewn on pearls among which the painted enamel representations of the Glory of the Virgin, the Saviour and the Saints can be seen. The upper and lower portions of the mitre are adorned with a succession of gems and gilt figures of angels rendered, in Baroque tradition, as a head with small wings. Gems are inserted among the enamels. A cross formed by blue stones accentuates the upper surface of the mitre. In general, the mitre reveals the striving for luxury and resembles Russian objects d'art marked by European influence.

ill. 161

Epignation

Embroidery
35x35cm
1765
KMHE

This part of the ecclesiastical vestment was donated by the wife of Paata Abashidze, Tinatin Chichua, to Ioseb of Genati, later Catholicos. The figures of vine stalks, grapes and leaves, appearing to be 'decorative' to the modern eye, imply reference to the eternal life. The style of execution reveals the trend towards voluminosity, the latter being indicative of the Russian-European influence.

ill. 166

Cross Candle

Silver Gilt
17,5 x 8,5 cm
17th century
Museum of Fine Arts

In the 17th century, Suimeon, Bishop of Gelati, son of the Imeretian King Constantine and brother of King Giorgi III, called this object a 'cross candle'. With its rounded ends and sculptural representation of the Saviour it at present resembles a cross. The object is characterised by fairly good craftsmanship but is not particularly remarkable. Noteworthy are the donor and the original function of the item.

ill. 156-157

შემოჭრილია, გადაკვეთაზე უფლის, მკლავების ბოლოებში კი წმინდანების, სევადით დატანილი, გამოსახულებებია. სლავური წარწერები (ქართულად მხოლოდ მეფის სახელი წერია) და ფიგურების ნახატი რუსული ნიმუშების გამოყენებას ან ნივთის რუსულობას მიუთითებს.
სურ. 164

მიტრა

ნაქარგობა, ძვირფასი თვლები
22 X 17 სმ.
XVII ს.
სხსმ

სამღვდელმთავრო თავსაბურავზე სამი ძირითადი გამოსახულებაა: მის გვერდებზე — „ხარება“; მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზი და ღმრთისმშობელი, მათ შორის ექვსფრდედითურთ, ზემოთ, „ცაზე“ კი — მაცხოვარი უოლისმპყრობელი. ნაქარგ გამოსახულებებს მარგალიტი ევლება, თვით მიტრას კი, ძვირფასი (უმთავრესად მოლურჯო) თვლების რიგები. სხვა გელათურ სამღვდელმთავრო თავსაბურავებთან შედარებით, ეს, ერთგვარად, თავშეკავებულიც და მოკრძალებულიც ჩანს.
სურ. 160

მიტრა

ნაქარგობა, მინანქარი, ძვირფასი თვლები
19 X 17 სმ.
XVIII ს.
სხსმ

ოქროსფერ ქსოვილზე მჭიდროდ დაკერებული მარგალიტებით გამოყვანილ მცენარეულ სახეებს შორის მოთავსებულია ოვალური ფერწერული მინანქრები ღმრთისმშობლის დიდების, მაცხოვრის, წმინდანების გამოსახულებით. მიტრას ზევით-ქვევით თვლებისა და მოოქრული ანგელოზების (ბაროკულ უაიდაზე ბავშვის თავი პატარა ფრთებითურთ) მონაცვლეობით, თვლების რიგებია ჩაყოლებული მინანქრებს შორისაც და ლურჯი ქვებით გამოყვანილი ჯვარი მიტრას „ცაზე“. მთლიანობაში მიტრა ფუფუნების სურვილითაა აღბეჭდილი და ევროპული გავლენით შექმნილ რუსულ ნივთებსაც ჰგავს.
სურ. 161

ენჭერი

ნაქარგობა
35 X 35 სმ.
1765 წ.
ქიემ

მღვდელმთავრის შესამოსლის ეს ნაწილი თინათინ ჩიჩუას, პატა აბაშიძის მეუღლეს, გენათელი იოსების, შემდგომ კათალიკოსისთვის, მიურთმევა. დღევანდელი თვალისთვის „დეკორატიულ“, ვაზის ულორტისა და მტევან-ფოთლების სახეებში სიმბოლური საზრისი, მარადის ცხოვრებაზე მინიშნებაა ნაგულისხმევი. თვით შესრულებაში უკვე მოჩანს წინა საუკუნეებზე მეტი მიდრეკილება მოცულობითობისადმი, რაც რუსულ-ევროპულ

Epitaphion

Embroidery
109 x 165cm
1657-1660
KMHE

An epitaphion is a liturgical cloth with the image of the dead Christ. This epitaphion, preserved in Gelati in early times, and most likely even created especially for the monastery, was ordered by one of the donors of the main church of the monastery, Genateli, later Catholicos of Apkhazeti, Zakaria Kvariani. The cloth dates from the period when he ruled as catholicos.

The representation is relatively simple and, apart from the deposed Christ flanked by the Virgin and St John the Theologian, contains the images of the celestial powers and the evangelists, the latter being depicted in the corners. The reddish-brown, bluish and yellow figures, as well as the ornamental band enclosing the representations, shown against dark velvet, abound in gold and silver. The icon bears the signs of its time, such as the drawing reminiscent of some of the repoussé icons of the 17th century and the elongated shape of the letters forming an inscription. The composition itself is not new – it stands close to the epitaphion commissioned by Imeretian King Bagrat III, restorer of Gelati, almost a century earlier.
ill. 158

Epitaphion

Embroidery
131 x 190cm
1664
KMHE

This epitaphion has been embroidered by a certain Tinatin, a noble woman and a daughter of Kaikhosro, ‘for the intercession of our souls’ and ‘for the guidance of our son Davit’. No record survives concerning to whom she donated the object. The only note from a later inscription informs us that in the 18th century the Imeretian King Solomon presented the epitaphion to Gogna Desert. The object must have appeared in Gelati after the abolition of the latter in 1859.

The representation shows the version known only in Georgia – apart from The Lamentation of Christ by the Holy Women and the Apostles, it also depicts the Myrrhbearing Women at the Tomb and St Peter. The epitaphion embroidered on white silk with coloured threads and with a little use of gold, is remarkable for its very light colours, which, considering a certain naivety of the drawing, lends expressiveness to the object.
ill. 199

Chalice Cover

Embroidery
65-75cm
1763
KMHE

Chalice covers were made in large numbers in Gelati.

ლი გავლენის მოწმობაც არის.
სურ. 166

გვარ-სანთელი

მოოქრული ვერცხლი
17,5 X 8,5 სმ.
XVII ს.
სხსმ

იმერეთის მეფის კონსტანტინეს ძე და მეფისვე, გიორგი III-ის ძმა, XVII საუკუნის დასაწყისში გელათის საეპისკოპოსო საყდრის მპყრობელი სუიმეონ ამ ნივთს „გვარ-სანთელს“ უწოდებს. ახლა იგი აღარაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ჯვრისგან — ბოლოებმომრგვალებულია, ზედ ვნებული მაცხოვრის ქანდაკოვანი გამოსახულებით. ხელობა რიგიანია, თუმც არაფრით გამორჩეული. საგულისხმო ჩვენთვის მისი შემომწირველია და ოდინდელი დანიშნულება.
სურ. 156-157

გარდამოხსნა

ნაქარგობა
109 X 165 სმ.
1657-1660 წწ.
ქიემ

გარდამოხსნა (ბერძ. ეპიტაფიონ), როგორც ცნობილია, ლიტურგიული ქსოვილია აღსრულებული ქრისტეს გამოსახულებით. ადრე გელათის მონასტერში დაცული ეს გარდამოხსნა, იქნებ მისთვისვე შექმნილი, მონასტრის მთავარი ტაძრის ერთი მომხატველთაგანის, ჯერ გენათელის, შემდგომ კი აფხაზეთის კათალიკოსის, ზაქარია ქვარიაანის დაკვეთაა. სწორედ მისი კათალიკოსობით არის იგი დათარიღებული.

გამოსახულება შედარებით მარტივია — გარდამოხსნილი მაცხოვრისა და აქეთ-იქით ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველის გარდა, ზეციური ძალნი და (კუთხეებში) მახარებელნი. მუქ ხავერდზე მოწითალო-უავისფრით, მოცისფროთი და უვითლით გამოყვანილი ფიგურებიც, შემომფარგლავი ორნამენტული არშიაც ჭარბად ოქრო, ასევე ვერცხლნარევიან. დროის ნიშანთაგან ნახატის ხასიათიც შეიძლება ვახსენოთ (იგი XVII საუკუნის ზოგიერთ ჭედურ ხატს გაგახსენებთ) და წარწერის წაგრძელებული ასოების მოხაზულობაც. თვით ამგვარ კომპოზიციას საქართველოში გარკვეული წინასტორია აქვს — იგი ძალზე ახლოსაა მაგ., ასიოდ წლით ძველ, გელათის აღმდგენელის, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის დაკვეთილ გარდამოხსნასთან.
სურ. 158

გარდამოხსნა

ნაქარგობა
131 X 190 სმ.
1664 წ.
ქიემ

წარჩინებულ ქალბატონს, ვინმე თინათინ ქაიხოსროს ასულს, ეს გარდამოხსნა „სულისა ჩვენი-

Among the surviving ones, the most noteworthy are two, donated to Gelati and to the Khakhuli Virgin in 1763 by the daughter of King of Kartli-Kakheti Kingdom Teimuraz and the sister of King Erekle II, Ana. Gelati is designated in an inscription as the 'guardian church of Kakhetian tribes, descendants of David' and 'magnificent Gaenati'. These chalice covers are also embroidered with symbolic images - a cross, the passion objects, a cock indicating the denial of Christ by St Peter and the hexapteryga - as was the tradition at that time. Along with the traditional approach, the craftsmanship also reveals the influence of European art of a later period (e.g. elements of a linear perspective).
ill. 165

The Gelati Gospels

Parchment
25,5 x 18, 5cm
12th century
IM

The Gelati Gospels is one of the most celebrated Georgian manuscripts of which neither the donor, nor the copier, nor the original location or later adventure is known. The book, copied in nuskhuri (minuscule) script, finds an affinity with 11th century codices made either in the Georgian scriptorium of Calypso, near Antioch, or by calligraphers and painters of this school. This can be judged according to the number of canon tables, the character of the adornment of the capital letters, etc. It shows the most obvious similarity to the Alvardi Gospels, executed between 1053 and 1054, which, like that of Gelati, is provided with an apocryphal story of King Avgaroz and the icon of the Holy Face, which is a Georgian tradition. The book of Four Gospels is adorned with fourteen canon tables, The Deesis, the four evangelists, painted decorative elements and initials, two-hundred and fifty scenes from the life of Christ and ten miniatures relating the correspondence between Avgaroz and Christ. The Gelati Gospels is one of the books in which the miniatures follow the narration and through laconic compositions, clearly representing depicted events, and dramatic juxtaposition of vivid colours with the gold background, tell about the earthly life of the Saviour.
ill. 137-140

Cross of Davit Aghmashenebeli

Silver, gold
18x 34cm
9th-10th century
Museum of Fine Arts

Throughout the centuries, at different times and due to various reasons, the Gelati treasure was enriched with items that were neither created in Gelati nor were donated to its churches. Some of the pieces had been created even before the foundation of the monastery.

The earliest among the surviving gold and silver pieces is a small processional cross, which, according to tradition, always accompanied King Davit Aghmashenebeli on his military campaigns. The silver cross has a small

სა საყდრად” და „ძისა ჩუენისა დავითის წარსამართებლად” თვითონ ამოუჭარგავს. არ ვიცით, სად შესწირა მან იგი თავდაპირველად, მოგვიანო წარწერა იმასლა გვეუბნება, რომ უკვე XVIII საუკუნეში გარდამოხსნა იმერეთის მეფე სოლომონს გოგნის უდაბნოსთვის გადაუცია. გელათში იგი, ალბათ, ამ უკანასკნელის 1859 წელს გაუქმების შემდეგ მოხვდებოდა.

გამოსახულება მხოლოდ საქართველოში ცნობილ რედაქციას გვთავაზობს — წმ. დედათა და მოციქულთა მიერ (ანგელოზთა დასებისა და მხარებელთა სიმბოლოების თანხლებით) მაცხოვრის დატირების გარდა, აქ ქვედა კიდუზე აღმდგარი უფლის საფლავთან მისული მენელსაცხებლე დედანი და წმ. პეტრეა წარმოდგენილი. თეთრ აბრეშუმზე ფერადი ძაფებით, ოქროს მცირედი გამოყენებით, ნაქარგი გარდამოხსნა იშვიათად ღია ფერადოვნებით გამოირჩევა, რომელიც მას, ნახატის ერთგვარი გულუბრყვილობისას, თავისებურ გამომსახველობას სძენს.

სურ. 159

დაფარნა
ნაქარგობა
65 X 75 სმ.
1763 წ.
ქიემ

საუფლო ძღვენზე გადასაფარებელი ქსოვილე-ბი, დაფარნები, გელათში მრავლად იქნებოდა. შემორჩენილთაგან საუურადღებოა ორი, რომელნიც წარწერაში „დავითიანთა კახელ ტომთა ფარველ ზილად მიმნიჭებულ ტაძრად” და „განსაკრთომელ გაენათად” წოდებულ გელათსა და ხახულის ღმრთისმშობელს ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზის ასულმა და ერეკლე II-ის დამ, ანამ 1763 წელს შესწირა. ჩვეულებისამებრ, აქაც ქრისტეს მაცხოვრებელ მსხვერპლზე მიმანიშნებელი სიმბოლოური გამოსახულებანია ამოქარგული (გვარი, ვნების იარაღები, წმ. პეტრესგან მაცხოვრის უარყოფის აღმნიშვნელი მამალი, ექვსფრედები). შესრულებას საკმაოდ ატყვია ახალი დროის ევროპული ხელოვნების ზემოქმედება (იხ., მაგ., „სწორი პერსპექტივის” ელემენტები), ძველ ტრადიციულ მიდგომასთან შერწყმული.

სურ. 165

გელათის ოთხთავი
ეტრატე
25,5 X 18, 5 სმ.
XII ს.
ბი

გელათის ოთხთავი ერთი უცნობილესი ქართული ხელნაწერია, თუმცა არც მისი დამკვეთი თუ გადამწერი ვიცით, არც თავდაპირველი ადგილსამყოფელი, არც შემდგომი თავგადასავალი. ნუსხურით გადაწერილი წიგნი ანტიოქიის მახლობლად, კალიპოსის ქართულ სკრიტორიუმსა თუ იქიდან გამოსული კალიგრაფ-მომხატველების მიერ XI საუკუნეში შესრულებულ კოდექსებს ენათესავება (კამარების რიცხვი, სახედაო

golden plaque fixed to the end of its lower arm, featuring the following inscription in asomtavruli script: 'Lord, the creator of all, exalt Davit, King of Apkhazs, Hers and Kakhs, crowned by You, the sun of Christianity. Amen'. Ekvtime Taqaishvili noted that 'it is without doubt that the inscription ... is dedicated to Davit Aghmashenebeli'. The cross itself dates from a later period, from the 10th or maybe even from the 9th century. This is attested by the figure reliefs, their full conventionalism, and the composition of the entire ornamentation atypical of processional crosses. The centre features a large semisphere, contrary to the custom beginning from the 10th century onwards, when this section depicted the crucified Christ; the arms display the angels, the apostles and the evangelists; the lower arm highlights the figure of St Barbare. Such repoussé compositions occur on large altar crosses, which mostly survive in Svanetian (West Georgian highlands) churches. Noteworthy, Barbare is a saint widely venerated in Svaneti.

ill. 122-123

Stylus
Silver
24x24cm
10th century
KMHE

This small rhipidion is characterised by the same shape and composition as other samples surviving from the same period. It is made up of two silver leaves, tied in five circles, and shaped in the form of a cross. The handle does not survive – both sides of the rhipidion display the same composition. The middle part is furnished with an apocalyptic tetramorph, with the pair of archangels surrounded by a large circle. Each of the archangels is accompanied by an inscription mentioning his name. The figures are almost entirely flat and identical. Some hold a rhipidion as a deacon would hold it during various liturgical services. The figure compositions are embellished with ornamental bands. According to its characteristics, the cross should be attributed to the 10th century.

ill. 121

Cross of Marivalt Tsirkvaleli
Silver Gilt
Length of the handle – 96cm
Cross - 28,1 x 23,6cm
First quarter of the 11th century; handle – 16th century
Museum of Fine Arts; KMHE

The reverse side of the processional cross bears an inscription indicating the donor: 'I, Marivalt, daughter of Vachina Tsirkualeli, mother of Kvirike, created this cross for the Okona shrine...'. No other historical record has preserved the names of the persons mentioned. Okona and his shrine, to which the cross was donated, is located in East Georgia as is also of Tsirkuali. Nothing is known whatsoever on when and how the cross of Marivalt came to be kept in Gelati. But it was in the monastery as early as in the 16th century. The handle of the cross, thanks to which it became a bishop's crozier, bears this inscription in asomtavruli script: '...May

ასოების მორთვის წესი და ა.შ.). განსაკუთრებით ახლოს დგას იგი 1053-1054 წლების ალავერდის ოთხთავთან, რომელსაც, გელათურივით, ავგაროზ მეფისა და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის აპოკრიფი ერთვის (რაც, თავისთავად, ქართული ტრადიციაა). სახარება ძალზე უხვადაა შემკული: 14 კამარა, ვედრება, 4 მახარებელი, მოხატული თავსართები და საზედაო ასოები, ქრისტეს ცხოვრების გადმომცემი 250 და 10 ავგაროზისა და მაცხოვრის მიმოწერის ამსახველი მინიატურა. გელათის ოთხთავი ერთი იმათაგანია, სადაც წიგნის მხატვრობა ფეხდაფეხ მიჰყვება სიტყვიერ თხრობას და თავადაც საკმაოდ ლაკონური, მაგრამ ქმედების ნათლად გადმომცემი კომპოზიციებით, ოქროს ფონზე დაძაბულად აულერებული ფერებით გვიყვება მაცხოვრის ამქვეყნად ყოფნის ამბავს.

სურ. 137-140

დავით აღმაშენებლის ჯვარი

ვერცხლი, ოქრო

18 x 34 სმ.

IX-X სს.

სხსმ

საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზთა გამო, გელათის საგანძურში ისეთი ნივთებიც აღმოჩნდა, რომლებიც არც არის საკუთრივ გელათური, უშუალოდ გელათის ეკლესიებისთვის შენაწირი. ზოგი მათგანი გელათში მონასტრის დაარსებამდეცაა გაკეთებული.

გელათის ოქრო-ვერცხლულიდან ქრნოლოგიურად უველახე ადრეული მომცრო ზომის საწინამძღვრო ჯვარია, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მუდამ თან ახლდა დავით აღმაშენებელს ომიანობის უამს. ვერცხლის ჯვარს, ქვედა მკლავის ბოლოზე, მიმაგრებული აქვს ოქროს პატარა ფირფიტა ასომთავრული წარწერით: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირ-გუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტიანობისაჲ, „ამინ“. ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილმა განსახლგრა — „სრულიად უეჭველია, რომ წარწერა . . . მიძღვნილია დავით აღმაშენებლისადმი“. საკუთრივ ჯვარი ბევრად ადრინდელია — X, შესაძლოა IX საუკუნისაც კი. ამ ადრინდელ დროზე მეტყველებს ფიგუროვანი რელიეფები, მათი სრული პირობითობა, მთელი დეკორის, საწინამძღვრო ჯვრებისთვის სრულიად უჩვეულო შედგენილობა. ცენტრში — მოხრდილი ნახევარსფერო (X ს. მოყოლებული, როგორც წესი, აქ ჯვარცმული ქრისტეა ხოლმე), მკლავებზე კი — ანგელოზები, მახარებლები, მოციქულები; ქვედა მკლავზე, საგანგებოდ გამოყოფილი, წმ. ბარბარეს ფიგურა. მოჭედის ამდაგვარი კომპოზიცია დიდ სასურთხევლისწინა ჯვრებზე გვაქვს, უპირატესად სვანეთის ეკლესიებში შემორჩენილი. ბარბარეც სვანეთში დიდად გავრცელებული წმინდანია.

სურ. 122-123

God have mercy on Bishop Melchisedec Saqvarelidze of Gaenati. We created this Sioni reliquary ... for the intercession and mercy of our souls and for the glorification of the Virgin (the church of Gaenati)'. Melchisedec led the congregation of Gelati between 1519 and 1529.

The face of the cross features a sculptured figure of the crucified Christ and bears a large, single cornelian on each edge. In the centre of the back displays the Virgin and Child surrounded by the half-figures of the angels, St John the Baptist and the evangelists in the medallions are depicted. A few other crosses with similar decoration can be found elsewhere in Georgia. What makes this cross different from all the others is its original shape – each arm, slightly widening towards the edges, is enclosed by a semicircular curve to which three small medallions, accentuated with a precious stone and seed pearl, are attached. Unfortunately, most of the are now missing.

ill. 124-126



St Mamas

Silver Gilt

Diameter 20cm

First half of the 11th century

The roundel with the image of St Mamas must have been part of a large ecclesiastical item. This is the only chased image of St Mamas mounted on a lion in Georgia. However, the scene can be observed on other types of works of art, such as monumental paintings, manuscript illuminations including Georgian ones, namely the Manglisi murals of the 11th century and the works of St Gregory the Theologian of the 12th century. Where and when this iconographic image of St Mamas was introduced in Christian art and how an 11th century Georgian goldsmith was able to contribute it is hard to establish. Yet, the Gelati roundel has long been considered, both in and outside Georgia as a highly valuable work of medieval goldsmith art. The roundel is truly expressive – the simple, easily perceptible and laconic composition, the figure forming haut-relief at certain places, with sculptural forms against the plain background and bright silver and gold parts obviously designed to create an effect.

ill. 128

სამწერობელი

ვერცხლი
24 X 24 სმ.
X ს.
ქიემ

რიპიდა, ანუ სამწერობელი, როგორც ამ ტიპის სხვა ქართულ ძეგლებზე იხსენიება, საქტიტორო წარწერაში („... შევქმენ ესე სამწერობელი...“) პატარა ზომისაა, ზოგადად ისეთივე ფორმის და აგებულების, როგორც ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა დროის ნიმუშები: ვერცხლის ორი ფურცლისგან შედგენილი, ხუთ წრედ შეკრული, ჯვრისებრი მოყვანილობით. ტარი არ შემოგვრჩა — სამწერობლის ორივე მხარეს ერთი და იგივე სუეტური კომპოზიციისა. შუაში აპოკალიფსური ტეტრამორფია, გარშემო კი, ოთხსავე უფრო მზრდილ წრეში — მთავარანგელოზთა წყვილი. თითოეულს თავისი სახელი აქვს მიწერილი. მაგრამ ყველა ფიგურა ერთნაირია, თითქმის სრულიად ბრტყელი, ზოგადი ფორმა იქნება ეს, ცალკეული ნაწილები თუ სხვადასხვა საგნები. ზოგ მათგანს რიპიდა უჭირავს, ისევე, როგორც ჩვეულებრივ დიაკვანს ეპურა იგი ხელთ რეალურ სინამდვილეში, სხვადასხვა საღვთისმსახურო რიტუალის დროს. ფიგუროვან კომპოზიციებს ჩარჩოდ ორნამენტული არშიები ევლება. ყველა ნიშნით — ეს X საუკუნის ნაწარმოებია.

სურ. 121

მარივალტ წირქვალელის ჯვარი

მოოქრული ვერცხლი
ტარის სიგრძე — 96 სმ.
კვარი — 28,1 X 23,6 სმ.

XI ს.-ის პირველი მეოთხედი; ტარი — XVI ს.
სხსმ; ქიემ

საწინამძღვრო ჯვრის ზურგზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერიდან მისი დამკვეთი ირკვევა: „მე, მარივალტმან, ასულმან ვაჩინა წირქვალელისამან, დედამ კვირიკესმან, შევქმენ ჯუარი ესე ხატისა ოქონისაი...“ ამ ისტორიულ პირთა შესახებ სხვა რამ ცნობა არც გაგვაჩნია. მოხსენებული ოქონა და მისი ხატი, ანუ სალოცავი, რომლისთვისაც ჯვარი შეუწირავთ, აღმოსავლეთ საქართველოშია (ისევე როგორც წირქვალის). არაფერი ვიცით, როგორ, როდის მოხვდა მარივალტის ჯვარი გელათში. მაგრამ XVI საუკუნიდან იგი უკვე აქ არის. ჯვრის ტარზე — მისი მეოხებით ის სამღვდელმთავრო კვერთხის ნაწილად იქცა — ასომთავრული წარწერა: „... დიდისა საყდრისა გაენათის მღვდელმთავარებისკობოსსა მელქისედეგს საყვარელიძეს შეუნდოს ღმერთმან. შევქმენით კუბო ესე (სიონის სანაწილე) ... სულისა ჩუენისა საოხად და შესანდობელად, საყდრისა გაენათისა ღმრთისმშობლისათვის სადიდებულად.“ მელქისედეგი გელათის სამწყსოს 1519-1529 წლებში განაგებდა.


ჯვრის წინა პირზე ერთადერთი სკულპტურული ფიგურაა — ჯვარზე გაკრული მაცხოვარი, კიდევზე — თითო მსხვილი სარდიონის ქვა. ცენტრში — ღმრთისმშობელი ყრმით, გარშემო

Icon of the Saviour

Silver
137 x 100cm
Early 11th century
Museum of Fine Arts

The artistic merits of the repoussé work and the craftsmanship of the large icon of the Saviour was pointed out already by N. Kondakov. The repoussé revêtement of the icon is distinguished for its artistic treatment and technical execution. The icon is characterised by perfectly organised composition. Some parts are plastically marked and purposefully enlarged, and the gilt halo is embellished with diverse ornamental motifs. The masterfully chased narrow frames of the icon are filled with identical, so-called 'nail-like' ornaments.

ill. 129



Beshken Opizari
Cover of the Berta Gospel

Silver Gilt
22,5 x 17 cm
12th century

Beka Opizari
Cover of the Tsqarostavi Gospel

Silver Gilt
20 x 17 cm
12th century IM

Along with various manuscript books preserved at Gelati, two are masterpieces of art of the goldsmith. These are the covers of the Berta and Tsqariostavi Gospels, chased by Beka and Beshken Opizari in the second half of the 12th century. A large number of similarities among the parts executed in repoussé technique, despite slight differences, would be enough to suggest their creation by a same master if the names had not been mentioned in the inscriptions. The inscription on

კი მედალიონებში ჩამკდარი ნახევარფიგურები (ანგელოზები, წმ. იოანე ნათლისმცემელი, მახარებლები). ამდაგვარი მორთულობის ჯგუფი სხვაც გვაქვს საქართველოში, მართალია, სულ რამდენიმე. მაგრამ თავად ჯგუფის ფორმა გამონაკლისია — თითოეული მკლავი, კიდებისკენ ოდნავ გაფართოებული, შემოფარგლულია ნახევარწრიული რკალით, რომელსაც სამი მომცრო მედალიონი ებმის (უმეტესობა მოვარდნილია) შუაგულში ძვირფასი თვლით და მარგალიტების მძივით.

სურ. 124-127

წმ. მამია

მოოქრული ვერცხლი

დიამეტრი 20 სმ.

XI ს.-ის პირველი მეოთხედი

სხსმ

ტონდო წმ. მამიას გამოსახულებით რაღაც მოზრდილი საეკლესიო საგნის ნაწილი უნდა იყოს. ლომზე შემკდარი წმ. მამიას ჭედური გამოსახულება არც საქართველოშია ცნობილი, არც სხვაგან სადმე (გვხვდება მაგალითები სხვა დარგებიდან — მონუმენტური მხატვრობა, ხელნაწერი წიგნის დასურათება, მათ შორის რამდენიმე ქართული ნიმუშიც: მანგლისის მოხატულობა, XI ს., მინიატურა, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, XII ს.). ძნელია დაბეჯითებით ითქვას, სად ან როდის შემოდის პირველად ქრისტიანულ ხელოვნებაში წმ. მამიას ეს იკონოგრაფიული სახე ან რა წვლილი მიუძღვის ამ მიმართებით XI საუკუნის ქართველ ოქრომჭედელ ოსტატს. მაგრამ გელათის ტონდო უკვე კარგა ხანია და არა მარტო ჩვენში არის აღიარებული შუასაუკუნოვანი ოქრომჭედლობის მაღალხარისხიდან ნაწარმოებად. აქ მართლაც ყველაფერი მეტყველია — მარტივი, ადვილად აღსაქმელი, ლაკონური კომპოზიცია, სადა ფონზე მკვეთრი სკულპტურული ფორმებით „გამოძერწილი“ (ალაგ-ალაგ თითქმის ჰორელიეფური) გამოსახულება, აშკარად ეფექტზე გათვლილი ვერცხლისა და მოოქრული ნაწილების მუდური ფერადოვნება.

სურ. 128

მაცხოვრის ხატი

ვერცხლი

137 X 100 სმ.

XI ს.-ის დასაწყისი

სხსმ

მაცხოვრის დიდი ხატის მოჭედილობის მხატვრული ღირსებანი და საშემსრულებლო დონე ჯერ კიდევ ნ. კონდაკოვს აქვს ჩანიშნული. ხატის ჭედურობა მართლაც შთამბეჭდავია, მხატვრული ხარისხოვნებითაც, ტექნიკური ოსტატობითაც. ზედმიწევნითაა მოწესრიგებული ზოგადი კომპოზიციური აგებულება, მაცხოვრის ნახევარფიგურა ძლიერია, მონუმენტური, ცალკეული ნაწილები პლასტიკურად გამოკვეთილი, საგანგებოდ გადიდებული და მოოქრული შარავანდი მრავალსახა ორნამენტული მოტივებით მორთული. ხატის მოჩარჩოების ვიწრო არშიები სრულ-

the repoussé revêtement of the Berta Gospel contains the following words: 'this Gospel was chased with the donation of Okropiri ...by the hand of Beshken Opizari'. The Tsqarostavi inscription, apart from the master's signature 'Christ, have mercy on the goldsmith Beka Opizari', specifies the identity of the donor – 'humble lovane Saparel-Mtbevari, Bishop of Tbeti'. Furthermore, one of the notes supporting the inscription says that this Gospel was copied by loane Pukaralisdze and Giorgi Setaisdze in 1195. The repoussé work appears to be from the same period, which is suggested by another inscription, containing highly valuable information: '...This Gospel is plated with silver worth two hundred drahmae and gold of twenty drahmae, gems and pearls and the fee for the goldsmith 23...'. Beka Opizari's reputation is also attested by the fact that loane, Bishop of Ancha, 'on the order of and with a donation' from Queen Tamar, commissioned to Beka Opizari to adorn the renowned Anchi icon of the Saviour.

ill. 141-144

Icon of the Saviour

Silver Gilt

137 x 95 sm

13th century

Museum of Fine Arts

The icon of the Saviour is related to Davit Narin and thus dates from the second half of the 13th century. The frame bears an inscription in asomtavruli script: 'I, abbot loane, humble servant of Davit, the great king of kings and the son of Rusudan, decorate the image of the Saviour by transferrng and chasing it for the renewed glory of their kingship, so that...'. As it appears, the confessor of Davit, loane, had 'transferred' this painted icon on a new board and chased it anew for the glorification of the king.

The surviving layer of paint is of a later date. The repoussé work of the 13th century, the entire silver gilt surface, the halo and the background around the representation, as well as the framings are covered with floral ornaments. The repoussé adornment is extensive, so that even the smooth medallions inserted in the framing fail to reduce the effect. Such lavish use of ornamentation is typical of Georgian goldsmith art of the 12th and 13th centuries, which is particularly noticeable when considering these works against earlier samples.

ill. 145

Icon of the Virgin

Silver

20x30cm

16th century

Museum of Fine Arts

The face of the icon of the Virgin, including the frame, is chased from a single silver plate. The faces of the figures were chased of the same plate. The surviving painting is a later addition. The icon features the Virgin Enthroned, also called the Virgin Eleousa. The repoussé constitutes a well consolidated, compact whole, with all features executed in masterly fashion. The re-

ლიად ერთფეროვანი ე.წ. ლურსმისებრი ორნამენტითაა შევსებული, მაგრამ ასევე ჩინებულად ნაჭედი.

სურ. 129

ბეშქენ ოპიზარი

ბერთის ოთხთავის

უდა

მოოქროული ვერცხლი
22,5 X 17 სმ.

XII ს.

ბი

ბეჭა ოპიზარი

წყაროსთავის

ოთხთავის უდა

მოოქროული ვერცხლი
20 X 17 სმ.

XII ს.

ბი

იმ ხელნაწერ წიგნთა შორის, რომლებიც გელათ-მა შემოგვინარჩუნა, ორი საოქრომჭედლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია — ბერთისა და წყაროსთავის ოთხთავთა უდაები, XII საუკუნის მეორე ნახევარში მოჭედილი ბეშქენ და ბეჭა ოპიზარების მიერ (ბერთიც, წყაროსთავიც, ოპიზაც ისტორიული ტაო-კლარჯეთია). ამ მოჭედილობათა შორის, მიუხედავად მცირეოდენი სხვაობისა, იმდენი და ისეთი ხასიათის მსგავსებაა, შეიძლება ითქვას, რომ ერთი ოსტატის ნახელავად მიგვეჩინა, რომ არა წარწერებში მოხსენიებული სახელები. ბერთის მოჭედილობის წარწერა გვაუწყებს, რომ „ოქროპირისა ნივითა მოიჭედა სახარება ესე . . . უდელითა ბეშქენ ოპიზარისათა“. წყაროსთავის წარწერაში, გარდა ოსტატის ხელმოწერისა („ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბეჭად ოპიზარი“), უფრო დაზუსტებულია დამკვეთის ვინაობა — „ტბეთის ეპისკოპოსი, გლახაკი იოვანე საფარელ-მტბევარი“. და, რაც კიდევ უფრო ღირებულია, თავად ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში მითითებულია, რომ ეს ოთხთავი გადაწერილია იოანე ფუკარალისძისა და გიორგი სეთაძისძის მიერ 1195 წელს. ამავე წლებსაა მოჭედილობაც. ასე ჩანს კიდევ ერთი, თავისი შინაარსით უიშვიათესი, მინაწერიდანაც: „. . . ამას ოთხთავსა ზედა არს ორასი დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროდ, თვლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა კულფასი 23. . .“ ბეჭა ოპიზარის ხელოვნებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ იოანე ანჩელმა ეპისკოპოსმა, თამარ მეფის „ბრძანებითა და ნიუთისა ბოძებითა“, განთქმული ანჩის მაცხოვრის ხატის „პატივით მოჭედა“ სწორედ ბეჭას დაავალა.

სურ. 141-144

მაცხოვრის ხატი

მოოქროული ვერცხლი

137 X 95 სმ

XIII ს.

სხსმ

მაცხოვრის ხატი, რომელიც დავით ნარინის სახელთან არის დაკავშირებული, ე.ი. XIII საუკუნის მეორე ნახევარისაა. ასომთავრული წარწერა მორჩარების არშიაზეა: „ქ. დედესა მეფეთ მეფისა დავითესს, ძისა რუსუდანისი, მიწაჲ წინამძღუარი იოანე ვამკობ სახესა ღვთისა მაცხოვრისასა გარდაყვანითა და მოჭედიტა ახლად სადბდებულად მეფობისა მათისა, რაჲთა ორ. . .“ როგორც ირკვევა, დავითის მოძღვარს, იოანეს,, ეს ფერწ-

verse of the icon and the inscription are made up of thick, decoratively arranged letters of asomtavruli script made with the same precision. The text mentions the donor of the icon, Vakhtang, son of King Alexandre II of Imereti (1484-1510), brother of Bagrat III.

ill. 146

Sokhasteri Icons

Silver

Savior's (69,5 x 52,2 sm.)

Virgin's (71 x 50 sm.)

16th century

KMHE

These two icons which, according to N. Kondakov, were transferred to Gelati from Sokhasteri Nunnery, date from the first third of the 16th century by one and the same master. The icon of the Saviour has even preserved the name of the artist – ‘sinful goldsmith Nikoloz’a’. Another inscription, larger in size, made by the same hand, mentions the donors of the icon: the treasurer Sargis Mkhetsidze (died 1531) and his wife, ‘Elene, formerly Ekaterine, daughter of Amilakhor Zedgenidze’, and niece of Bagrat III. These two icons are more than similar – the general character of the reposed work, the treatment of figure representations, the ornamental adornment on the halo and framing, and the prevailing motifs are almost identical. However, certain differences can be observed in the arrangement. Noteworthy are the figures of donors inserted in the donor’s inscription which must originally have been present on the icon of the Saviour as well. These small figures and especially their attire reveal attempts of observations of the reality. Only a veil survives of Elene’s attire, which is plain and tightly fitted. The rich attire of Sargis appears to reflect the traditional nobles’ dress in Georgia at that time.

ill. 218-219

Icon of the Virgin

Silver

70 x 50 cm

16th century

KMHE

The icon of the Virgin had already been in Sokhasteri when Mari Brosset visited the place in the mid-19th century, while N. Kondakov and D. Bakradze found it preserved in the great church of Gelati in the 1880s. It shows the standing Virgin and Child, flanked by five medallions on each side, featuring the half-figures of saints in various postures and with different gestures. The entire background and the three bands on the frame are covered with floral ornaments. The fourth band bears an inscription in asomtavruli script: ‘We, Mkhetsidze Piran and my wife Elene, the daughter of Abashidze, had this holy icon chased and adorned with gems and pearls, and contributed three peasants...’. Piran was a son of Sargis Mkhetsidze.

ill. 220

ერული ხატი ახალ დაფაზე „გარდაუქვანია“ და ახლად მოუჭედავს მეფის სადიდელად.

ამჟამინდელი ფერწერული ფენა გვიანდელია. XIII საუკუნის მოჭედილობა, მოოქრული ვერცხლის მთელი ზედაპირი, შარავანდი და ფონი გამოსახულების გარშემო, ჩარჩოს არშიები, შვესებულა მცენარეული ორნამენტით. ჭედური სამკაული მეტისმეტად გადატვირთულია, რასაც ვერანაირად ვერ ანელებს არშიებზე ჩართული გლუვი მედალიონები. ასეთი მიდგომა, ორნამენტით დეკორის ასე დახვავება XII-XIII საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის მახასიათებელი ნიმუშია, განსაკუთრებით თვალშისაცემი წინარე საუკუნეების ძეგლების გვერდით.

სურ. 145

ღმრთისმშობლის ხატი

ვერცხლი

23 X 20 სმ.

XVI ს.

სსსმ

ღმრთისმშობლის ხატის წინა პირი ვერცხლის ერთი ფურცლისგან არის გამოჭედილი, ჩარჩოიანად. ამავე ფირფიტისგან იყო ნაქანდაკევი გამოსახულებათა პირისახეები, ახლანდელი ფერწერა გვიანდელი ჩანამატია. წარმოდგენილია „ღმრთისმშობელი აღჩვილებისა“, ე.წ. ელუსა. ერთიანად ეს მოჭედილობა კარგად შეკრული, კომპაქტური მთლიანობაა, რელიეფური სკულპტურის და ორნამენტის სახოვანი ფორმებით, ყველაფერი ოსტატურად შესრულებული. ასეთივე გულმოდგინებით არის დამუშავებული ხატის ზურგიც, ასომთავრული წარწერა, მსხვილი დეკორატიულად გაწყობილი ასოებით. ტექსტში მოხსენიებულია ხატის შემწირველი, ალექსანდრე II იმერეთის მეფის (1484-1510) ძე ვახტანგი, ბაგრატ III-ის ძმა.

სურ. 146

სოხასტერის ხატები

ვერცხლი

მაცხოვრის (69,5 X 52,2 სმ.)

ღმრთისმშობლის (71 X 50 სმ.)

XVI ს.

ქიემ

ორი ხატი, რომლებიც, ნ. კონდაკოვის ცნობით, სოხასტერის დედათა მონასტრიდან გადმოუტანიათ გელათში; ორივე ეს ხატი XVI საუკუნის პირველ მესამედშია გაკეთებული, ორივე ერთი ოსტატის ნახელავია; მაცხოვრის ხატზე შემორჩენილია მისი სახელიც — „ფრიად ცოდვილი ოქრომჭედელი ნიკოლოზა“. ამავე ხელით შესრულებული სხვა უფრო ვრცელი წარწერებიდან ცნობილია ხატების დამკვეთნიც: მოლარეთუხუცესი სარგის მხეცისძე (რომელიც 1531 წელს გარდაიცვალა) და მისი თანამეცხედრე, ბაგრატ III-ის დისწული, „ამილახორისა ზედგინიძისა ამირინდოს ასული, ელენე ყოფილი, ეკატერინე“. ამ ორ ხატს შორის არათუ დიდი მსგავსებაა, თითქმის ერთნაირი სიხუსტით მეორდება მოჭედილო-

The Bitchvinta Virgin

Gold

40 x 32 cm

1568

Museum of Fine Arts

In 1651, the Russian Ambassador, Tolochanov, found the icon of the Bitchvinta Virgin, a widely celebrated icon many times mentioned in historical records, kept in a large silver casing in the Church of the Virgin at Gelati. The triptych, the panels of which, according to Tolochanov, were embossed with scenes from the life of the Virgin, were already missing when N. Kondakov and D. Bakradze visited the site in the 1880s. The inscription carved on the reverse, notes that this icon of the Virgin 'was chased by the order of Evdemon Chkhetidze, Catholicos of All North and Apkhazeti and was adorned with gold and jewels and embellished with pearls, while the silver-plated doors were donated to the Church of the Holy Virgin at Bitchvinta'. The date of the chasing, 1568, is also mentioned. Evdemon Chkhetidze was a renowned ecclesiastical figure, who greatly contributed to the enhancement of Gelati churches and the advancement of cultural life at the monastery.

The Bitchvinta Virgin is loaded with relief figures: the Virgin and Child, flanked by the angels, St John the Baptist and St John Chrysostom along two registers, with gems, and ornaments. Because of this, the master placed the explanatory inscriptions on the frame and included them in the row of ornamental framing bands.

ill. 147



Processional Cross

Gold

Dimensions - 25,5 x 17,3 cm

16th century

Museum of Fine Arts

The inscriptions on the processional cross of Evdemon Chkhetidze on the reverse side and on the handle balls allows us to establish the period of 1568-1572 within which the repoussé revêtement was made. It was the time when Evdemon ascended the throne of the Ge-

ბის ზოგადი ასახულობაც, ფიგუროვანი გამო-სახულებების დამუშავებაც, შარავანდებზე და ჩარჩოს არშიებზე გაფენილი ორნამენტული სამკაული, გავრცელებული მოტივები, მაგრამ თავისებურად კომპონირებული და სახეშეცვლი-ლი. უურადღებას იქცევს საქტიტორო წარწერებში ჩართული შემწირველთა ფიგურები (მაცხოვრ-ის ხატზეც უთუოდ იქნებოდა). ამ პატარა ფიგ-ურებში, კერძოდ, ჩაცმულობაში, მაინც აისახა სინამდვილეზე უშუალო დაკვირვების ცდები. ელენეს სამოსიდან მხოლოდ თავშალია დარჩე-ნილი, სრულიად სადა, მჭიდროდ შემოხვეული, სარგისის მდიდრული ტანისამოსი კი, უთუოდ, იმდროინდელ საქართველოს წარჩინებულთა ჩაცმა-დახურვის წესის ანარეკლია.
სურ. 218-219

ღმრთისმშობლის ხატი

ვერცხლი
70 X 50 სმ.
XVI ს.
ქიემ

ღმრთისმშობლის ხატი სოხასტერში დახვდა მარი ბროსეს (ე.ი. XIX საუკუნის შუახანებში), ხოლო ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის მოგზაურობის დროს იგი გელათის დიდ ტაძარში ესვენა. მასზე წარმოდგენილია ფეხზე მდგომი ღმრთისმშო-ბელი ყრმით, აქეთ-იქით კი ხუთ-ხუთი მედალიონი წმინდანთა, პოხებითა და უესტიკულაციით საკმაოდ განსხვავებული, ნახევარფიგურებით. გარშემო მთელი ფონი და ჩარჩოს სამი არშია მცენარეული ორნამენტითაა მოფენილი. მეო-თხე, ქვედა არშიაზე ასომთავრული წარწერაა: „ჩვენ, მხეცსიძემან ფირან და თანამეცხედრემან ჩვენმა აბაშიძის ასულმან ელენე, მოვაჭედინეთ ხატი უოვლად წმიდაი და შევაძვევით თვალითა და მარგალიტითა, და შევსწირეთ გლენხნი სამნი . . .“ ფირანი სარგის მხეცსიძის ვაჟიშვილია.
სურ. 220

ბიჭვინტის ღმრთისმშობელი

ოქრო
40 X 32 სმ.
1568 წ.
სხსმ

ბიჭვინტის ღმრთისმშობელი, დიდად განთქმული ხატი, არაერთხელ მოხსენიებული ძველ საბუთებ-ში, 1651 წელს რუსეთის ელჩს, ტოლოჩანოვს, გელათის ღმრთისმშობლის ტაძარში უნახავს, ვერცხლის დიდ სახატეში ჩასვენებული. კარედი, რომლის ფრთებზე, ტოლოჩანოვის გადმოცე-მით, ამოტივრული უოფილა ღმრთისმშობ-ლის ცხოვრების სცენები, უკვე აღარ დახვდათ XIX საუკუნის 80-იან წლებში ნ. კონდაკოვსა და დ. ბაქრაძეს. როგორც ხურგზე ამოკვეთილი წარწერა გვაუწყებს, ღმრთისმშობლის ეს ხატი „უოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათა-ლიკოზმან ევდემონ ჩხეტიძემან მოაჭედინა და შეამკო ოქროთა და თუალთა მიერ და მარ-გალიტთა ბრწყინვალედ განაშვენა, ხოლო გა-რეშემო კარნი ვეცხლითა დაასვენა ტაძრისა

lati Catholicate and the Bitchvinta icon of the Virgin had already been transferred to Gelati. One of the inscriptions on the cross reads as follows: 'Highest in the sky, Bitchvinta Virgin, please have mercy on the soul of Catholicos Evdemon, who created this cross'. One of the balls even bears the name of the master: 'Holy Virgin, please have mercy on the soul of the goldsmith Mamne'. Mamne the Goldsmith, who had earlier worked in Samtskhe, had already gained fame and established himself in Gelati. He created this cross and two more objects. The gems, randomly inserted in the decoration of the cross, are undoubtedly a later addition. 'Sioni' sculptural reliefs must be the work of another master, standing next to him and most likely, being his own apprentice, though the asomtavruli inscription on 'Sioni' was made by Mamne himself.
ill. 148-150

The Gelati Virgin

Gold, Silver
130 x 170 cm
16th century
KMHE

The centre of the large silver triptych features a gold repoussé icon, also known as the icon of the Gelati Virgin. It shows the Enthroned Virgin with the Child, flanked by one archangel on each side above and by the king and the queen below. An inscription in asomtavruli script can be seen on a leg of the throne: 'We have created this icon of the Gelati Virgin to protect us'. Depicted are Imeretian king Bagrat III (1510-1565) and his wife, Queen Elene. The gems were inserted later and the original repoussé work of the icon was defined by sculptural reliefs. The icon does not display any features that, in terms of pure plasticity, would be unusual for a Georgian goldsmith of the late Middle Ages. Striking are the heads of the images – a strongly elevated, almost convex, solid volume, with an entirely smooth surface.

The repoussé work of the triptych dates from the first half of the 18th century. The composition of the Entry into Jerusalem, shown in the lower register of the central door, is flanked by the figures of the donors, the Imeretian king Alexandre V (1740-1746) and his wife, Mariami, daughter of Bezhan Dadiani. Their images are entirely different, both in terms of sculptural treatment and clothing, from the 16th century royal couple. The scenes of the feast cycles, as well as the ornaments adorning the framing, repeat the old, traditional patterns.
ill. 152-153

Icon of the Virgin

Gold, Silver
45x68cm
16th century
Museum of Fine Arts

This triptych of the Virgin was in early times kept in the Church of St George at Gelati where it was found by N. Kondakov and D. Bakradze. The triptych, which is not large, is chased with silver, while the figures of the

წმიდისა ღმრთისმშობლისასა ბიჭვინტას". აღნიშნულია მოჭედილობის თარიღიც — 1568 წელი. ევდემონ ჩხეტიძე კი კარგად ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა, რომელმაც ბევრი რამ მოიმოქმედა გელათის ეკლესიების გასამშვენებლად და, საერთოდ, გელათის კულტურული ცხოვრების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად.

ბიჭვინტის ღმრთისმშობელი მაქსიმალურად არის დატვირთული რელიეფური გამოსახულებებით (ღმრთისმშობელი ყრმით, აქეთ-იქით, ორ რეგისტრად, ანგელოზები და წმ. იოანე ოქროპირი), თვალ-მარგალიტით, ორნამენტით. ამის გამო ოსტატმა ფიგურაზე განმმართველი წარწერები ჩარჩოზე გაიტანა და ორნამენტირებულ არშიათ რიგში ჩართო.

საწინამძღვრო ჯვარი

ოქრო
XVI ს.
ჯვრის ზომები — 25,5 X 17,3 სმ.
სხსმ

ევდემონ ჩხეტიძის საწინამძღვრო ჯვრის წარწერებით (ზურგზე, სახელურის ბურთობებზე) დადგენილია მთელი მოჭედილობის ქრონოლოგიური მონაკვეთი, 1568-1572 წლები. ეს ის დროა, როდესაც გელათის საკათალიკოსო ტახტზე ევდემონი ზის, ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ხატიც უკვე გელათშია გადმოტანილი. ჯვრის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია: „ცათა უმაღლესო, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელი, შეიწყალე სულითა კათალიკოზი ევდემონი, რომელმან შექმნა ჯვარი ესე“. ერთ-ერთ ბურთობზე ოსტატის სახელიცაა მიწერილი: „წმიდაო ღმრთისმშობელი, შეიწყალე სული ოქრომჭედლისა მამნესი“. მამნე ოქრომჭედელი, რომელიც ადრე სამცხეში მოღვაწეობდა, საამდროოდ, უკვე სახელიანი, გელათშია გადმოსახლებული. გელათში შეასრულა მან, კიდევ ორ სხვა ნაწარმოებთან ერთად, ეს ჯვარიც. ჯვრის დეკორში სრულიად უანგარიშოდ ჩაჭედილი თვლები გვიანი დანამატია „სიონის“ სკულპტურული რელიეფები სხვა ოსტატის, მამნეს გვერდით მდგომი მისივე შეგირდის ნახელავი უნდა იყოს, თუმცა, ყველა ასომთავრული წარწერა „სიონზე“ მამნეს ხელით არის შესრულებული.

გელათის ღმრთისმშობელი

ოქრო, ვერცხლი
130 X 170 სმ.
XVI ს.
ქიემ

ვერცხლის დიდი კარედის შუაგულში გელათის ღმრთისმშობლის სახელით ცნობილი ოქროსგან ნაჭედი ხატია ჩადგმული. იგი გამოსახავს ტახტზე მჯდომ ჩვილედ ღმრთისმშობელს, აქეთ-იქით — ზემოთ, თითო ანგელოზს, ქვემოთ კი, მეფედედოფალს. ტახტის ფეხებთან ასომთავრული წარწერაა: „ქ. შევქმენითა ხატი ესე გელათისა

Virgin and Child and of the king and the queen, inserted in the centre, are of gold. The reverse side of the icon bears an inscription in asomtavruli script, according to which, the icon was a donation of the Imeretian king Giorgi II (1565-1583), son of Bagrat III and of his second wife (from 1578) Tamar, 'daughter of Diasamidze, the renowned Shermazan'.

